

მ ი ჯ ნ ა

№1 (21) იანვარი, 2022 წელი



უცნაურ ბურჟუას შევეჩვიე და შევებავი,
და განიფინა მოცხადებანება,
აქ ყოველივე - ჟეოლოგი და მონათესავე –
სულს ნათლითმოსილს დაემგვანება

მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 1 (21), იანვარი, 2022


დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X



ს ა რ ჩ ე ვ ი

მილოცვა ნათელით უფლისა... .. 3	გია სუბუა მზერანათელი კოლხი	55
კლასიკა	ციალა მისხია ზეცის ქალაქი	57
გალაკტიონ ტაბიაძე ქებათა ქება ნიკორწმინდას	მიმოზა ცანავა გემშვიდობები!.. ..	58
ნათელი დაადგეს	ზაირა სამუშია კეთილშობილი განათლებული... ..	59
მაცვალა გონაშვილი სანთელივით ენთო... ..	გური ოტოზია ჩემი სულიერი ძმა	61
რევაზ მიშვალაძე ზაური ბრწყინვალე პოეტი იყო	ბათუ დანელია მუდამ ნათელივითი ანთებული	66
მწერალთა კავშირის სამაგრილოს რეპრონალური ორგანიზაცია... მოსაგონარი.....	როსტომ შამუგია სამშვერალი მამულიშვილი	67
სერგო ვარდოსანიძე * * *	ზურაბ კვარაცხელია გულმხურვალე პატრიოტი	67
ლავა გვასალია ცრემლმა იცის უპირველესად, რაა სიყვარული... ..	მანუელ სუბუა ერთგული თანამებრძოლი	68
შემოქმედება	ვასტანო ხარჩილაძე საერთო გაზეთიდან	68
ჯემალ შონია „აცელავს დილა ღამეულ ჩრდილებს“	ზაალ ჯალაღონია მარადისობის ბინადარი.....	69
ზაურ მოლაშხია ლექსები	რევაზ დანელია მადიდებელი.....	69
მურმან ზაქარაია „ჩემი ფესვები... უზრობელია და უხმობელი“	თორნიკე ქავუშაია ლექსი	70
მადლობა ვწირავთ უფალს	როლანდ აბულაძე ლექსი	71
გვანცა მოლაშხია მადლობა ყველას!.....	ეთერ აბარონოვა პოეზია უპირველეს ყოვლისა	72
გურამ მოლაშხია მცირეოდენი მოგონება	РАИСА МУЗЫЧЕНКО ДОРОГИ ВЫЮТСЯ КАК ЛЮЗА.....	75
ნინო მოლაშხია შემოქმედება	ჯემალ ქირია მეგობარმა წიგნი მაჩუქა	79
სიმართლით ნათელი პოეტი	ზაურ მოლაშხია ახალი ლექსები.....	81
ტაშკანტის 25-ის სახელით	ჯემალ შონია სამშობლოზე მოფიქრალი შემოქმედი.....	82
ლავა გვასალია იყო უბრალო, როგორც უფალი... ..	რეპლიკა	
გიორგი სიჭინავა კაცი, რომელსაც სიძულვილი არ შეეძლო	მურმან სურცილაძე ღვინის ფესტივალი	83
რაულ ჩილაჩავა ზაურ მოლაშხიას გამოსათხოვარი	დაგვიანებული მილოცვა	
ტიტა მოსია სანუხარ არს ესე!	ჯუმბარ აბრამია გაუტეხელი კაცი.....	85
ნოვადი ბართაია ზაურ მოლაშხია	ჩვენი გულისტკივილი მიდიან უსაყვარლესი ადამიანები	87
ედიმ კვიციანი დაგვიანებული სამძიმარი		

ნათელი უფლის...



გარდასულ შობა-ახალწელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, ღმერთმა სიკეთე, ბედნიერება სიხარული, ჯანმრთელობა და ბარაქა მოგვინაგროს გამჩენმა, უფლისმიერ სიყვარულთან თანამზეურად.

იმისათვის, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს...“ სამამულე და საერო საქმეს უნდა მოვეკიდოთ გულისყურით, ჩვენივე საკმარი „რამე-რუმეები“ ჩვენივე შრომითა და ოფლით მოვიპოვოთ, მინას უცილობელი ფუნქცია აღვუდგინოთ და პურ-ღვინის ქვეყანა რომ ვართ კიდევე ერთხელ დავამტკიცოთ.

მოყვარეს მოყვრულად დავხვდეთ, მტერს კიდევე მტრულად. ზეციერზე დიდ მოაზროვნე-მეცნიერებად ნუ დავისახავთ საკუთარ თავს და გვახსოვდეს: „აღბდების რაიც წერილ არს...“

ჩვენი გზა, როგორც ერთმა უდიდესმა ქართველმა ბრძანა: „ქრისტეს გზაა...“ ამ გზაზე

კი ყველაფერია მოსალოდნელი, რადგან ის მარადიული ბრძოლისა და ტანჯვა-წამების სანიერია.

მხარეთმოზე წამონოლილი, ჩვენი ზღაპარგმირის, ნაცარქექიას წარმოდგენაა კარგი, თორემ „ნამდვილ“ ქართველს დროის წასაგებად სადა სცალიან. თუ ყველაფერზე არ ავმალდით და საქმეში უწინარესობა ვერ შევიძელით, ცუდად მაშინ წაგვივა საქმე და ნანატრი სამამულო წადილიც გაგვინყალდება!..

ღმერთო მაღალო, შენ მოუშვებე ყოველ ქართველს და სრულიად საქართველოს ცას მიმწვდომი სიხარული და ბედნიერება...

მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ...

სადავოი კირიალესა-ცისა და მინის სადღეგრძელოვ,

ღმერთისა და კაცის მღერად გასაგონარო, აკვნის სიმრავლეც და ჯან-ძალისად მოარულო,

სიყვარულის მემზევეც და სიძულვილის დამმარცხებელო,

ამომშანთავო ბოროტებისავ, სიკეთის მეკვლევე.

ანგელოზთა ბაგეთაგან გადმოდენილო ანკარა წყაროვ.

ჩვენო მეკუჩხურო და მეკეთილე, ამინად შეგენიოს-

ხმაი უფლისა, ჩვენზე ბედნიერების მოსურვილეს...

შენაც გვყავდე იმედად და გვესალტე რწმენად

მარადიული, დაუსრულებელი ბედნიერებისა...

ამინ, ამინ და ამინ...

გვითბილე, უფალო ჩვენო, გვისხივე ნათელი შენი!..

* * *

გაგვიგია და გვინახავს უამრავი შობანი, ნარმართული ყოფის პანთეონიდან გადმომზევებული საოცრებანი.

იყო ჰინანა – შუმერული ქარაგმულიდან, იყო მედეა, ამური და მშობელი ზევსის...

გვინახავს „ილიადას“ საზღაპრულეთში გმირთა ხატების გენიალიზმი. ვიხილეთ – მტერთა უმონყალოდ მჟღეფ აქილევსს ვით გამოედევნა მდინარე, რათა ეძია შური დახოცილთა სისხლით „შემთვრალს“...

როგორი დედები არ გვინახავს?!..

როგორი შვილები არ გვიხილავს?!..

როგორი შობის მომსწრენი და გამგონენი არ ვყოფილვართ, მაგრამ მსგავსისა, მარიამ ღვთისმშობლის ქალწულებრივად უმნიკვლოდ სასწაულებრივ შობისა – არასოდეს!..

როგორი გმირი არ გვიხილავს: გილგამეში თუ ენქიდუ, აიეტი თუ ფარტაზი, კუხულაინი თუ ღვთისავარი, პრომეთეოსი თუ ამირანი, ტარიელი თუ ავთანდილი... რა არ ჩაუდენიათ,რო-

გორ არ უგმირკაციათ, რა არ გაუკეთებიათ, რარიგად არ უმეტყველიათ, მაგრამ ისე არავის და ვერავის, როგორც მაცხოვარს ჩვენსას, სიყვარულს მარადისს- იესო ქრისტეს...

აბა რომელი მათგანი იტყოდა: “გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი”. ან “მარცხენა ლოყაზე რომ გაგარტყამენ, მარჯვენა მიუშვირეთ”..

შენა ხარ საფანელი სულისა და მრწამსი მერმისისა, შენა ხარ სისავსე და მარადისობა, შენა ხარ უსასრულობა და მომავალი,

ძალა და რწმენა, იმედი და ამაღლება...

დიდება შენს გაჩენას, უფალო იესო!..

დიდება ნაყოფს შენსას წმინდაო დედაო, სათუთო და უნეტარესო მარიამ, წილ-მეგულევ სულიერი და ხორციელი საქართველოსა!..

დიდება გზასა შენსა, მაღალო ღმერთო, ვინაც გვიბოძე სიცოცხლე და გვიშვი სიყვარული!..

მრავალ შობას ქართველებო და საქართველოვ!..



ბალაკტიონ ტაბიძე

ქებათა ქება
ნიკორწმინდას

მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა.

გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამკარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მალლა ნიკორწმინდა!

რა განძი გვექონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქვის ჰარმონია –
დარობს რამდი დარი.
კარგად გამოჰკვეთა,
ვინაც გამოჰკვეთა,
სიბრძნით გამოჰკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი – ნიკორწმინდა!

ვგრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო,
რომ გრძნობით აანთო
და ნლებს გადაანდო
ნათლად ნიკორწმინდა!
ხვეულთ დიადება
ვხედავ – რა უხვია,
დრომ მას დიადება
კრძალვით შეუხვია.
ნეტა ვინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა,
შიგ მიჰქარგ-მოჰქარგა
გზნება – ნიკორწმინდა!

მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება
არის ამოდქმნილი
ნატვრის ასრულება.
ეს ის სიმკვეთრეა,
ეს ის სიმდიდრეა,
რაითაც მკვიდრია
ძეგლი – ნიკორწმინდა!

შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი,
გშვენის, ნიკორწმინდა!

მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს ნიკორწმინდა!

შენ ფრთამოღულუნეს
ჟამთა სიმალღეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი.
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება –
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

1947





სანთელივით ენთო...



და ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეით,
მათი ხელდასხმით, ლოცვა კურთხევით
მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია – ქართველი!

მართლაც რომ სანთელივით ენთო ეს სანთელივით სუფთა და შეურყვანელი პოეტი და თავისი ცხოვრებისეული წესით, თავისი შემოქმედებით მშვენიერ მაგალითს აძლევდა თანამოკალმეთ, თანამოძმეთ, თურა ნაბიჯებით უნდა იარო ამ გაუდაბნობულ სამყაროში, სადაც ყოველ წამს ათასნაირ მახეს გიგებს ეშმა და შენს ცდუნებას ცდილობს.

ერთი სახელი მქვია – ქართველი ვარ და ამ წმინდა სახელს ვუფრთხილდებიო, წერდა გიორგი ჭყონდიდელის, კონსტანტინე გამსახურდიას, არნოლდ ჩიქობავას ჭეშმარიტი შთამომავალი და საქართველოს უმშვენიერესი და მრავალჭირნახული კუთხის – სამეგრელოს მკვიდრთ აფრთხილებდა, არ წამოჰგებოდნენ საქართველოს მოძულეთა ანკესზე, რაც თუნდაც იოტისოდენა ზიანს მიაყენებდა ჩვენი საესავი სამშობლოს სახელსა და ინტერესებს.

დიახ, ბატონებო, ზაურ მოლაშხია

ჭეშმარიტი ქართველი გახლდათ, ქართველი პოეტი და შეიძლება თამამად ითქვას, რომ დუტუ მეგრელის შემდეგ იშვიათად თუ გამოუხატავს ვისმე ასე მგზნებარედ და პოეტურად ქართველთა ერთად ყოფნის, ერთსულად და ერთმუშტად შეკვრის სურვილი.

პოეტი იყო და საოცარი ხილვები ჰქონდა. იმის დანახვა შეეძლო, თუ როგორ მიაღივლივებს დრო მარტვილთა სულებს მარადისობის მშვიდ უბეში დასავანებლად. ამიტომაც აფორიაქებდა ლაჟვარდების უტყვი სიშორე, თავადაც სულ იქითკენ მიიწევდა და გაფრენას ლამობდა. იგივე დრო კი სივრცეებს წლებით ქსელავდა და ბაბაჭუას ქსელს ამსგავსებდა...

ზაურ მოლაშხიამ მაინც შეძლო ამ ჯადოსნური ქსელის გარღვევა და ახლა მისი სული ზეციურ თავანებშია დაბინავებული.

უფალმა მარადიულ ნათელში ამყოფოს ეს უმშვენიერესი პოეტი.

გაყვალა გონაშვილი

15.12.2021წ.



ზაური ბრწყინვალე პოეტი იყო



ჩემს მეგობართა შორის ზაურ მოლაშხია იმ პიროვნებათა რიცხვში ითვლება, ვისზეც წარსულს დროში ლაპარაკი ძალიან მიჭირს.

ზაური ბრწყინვალე პოეტი იყო.

წავიდა იგი, თან წაიღო სამშობლოსთვის ატკივებულის, უაღრესად მგრძნობიარე გული. საუკუნის სენმა საქართველოსაც ღრმა კვალი დაატყო და ახლა ზაური იქ ნათობს, სადაც ამ ბოლო დროს წასული ერისთვის დამაშვრალი ადამიანები განისვენებენ. თავზარი დამცა მისმა წასვლამ, რადგანაც ჩვენ, უნივერსიტეტიდან დაწყებული, განსაკუთრებული სიახლოვე გვქონდა ერთმანეთთან.

ზაური ეროვნულ მოძრაობაში გახლდათ ჩაბმული სტუდენტობიდანვე და ეს გარემოება კიდევ უფრო გვაახლოებდა.

ვისხედით უნივერსიტეტის ბაღში და ჩვენი ქვეყნის უბედო ბედზე ვსაუბრობდით, სულ ოცი-ოცდახუთიოდე ახალგაზრდა ვიყავით „უნივერსიტეტის ბაღელები“.

ხშირად მოდიოდნენ უნივერსიტეტის ბაღში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ნოდარ ნულებისკირი და სხვანი. ჩვენ სია არ ჩამოგვინერია და ეს ერთობა არც ოფიციალურად და არც კონსპირაციულად არ გაგვიფორმებია, მაგრამ ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით და ხვალინდელი თავისუფალი საქართველოსთვის ყველანი იმას ვაკეთებდით, რაც შეგვეძლო და შეიძლება იმაზე მეტსაც, რისი გაკეთების საშუალებაა დრო და გარემოება გვაძლევდა. იქნებ ამიტომაც იყო, რომ უნივერსიტეტის ბაღთა ჯგუფიდან პირველებს ზურაბ გოგიას

და ზაურ მოლაშხიას ჩაავლეს ხელი. ზურაბი ციხეში ჩასვეს, ზაური კი სამსახურიდან გაათავისუფლეს, მისი საცხოვრებელი ბინა გაჩხრიკეს და წამდაუნუმ დაკითხვაზე იბარებდნენ.

დრო რომ გავიდა და საშინოებამ თითქოსდა გაიარა, რადგან ეროვნული მოძრაობის მოთოკვა ხელისუფლებას უკვე აღარ შეეძლო, შეხვედრისას ორივენი, ზაურიც და ზურაბიც მიამბობდნენ, გამომძიებლები გაუთავებლად როგორ ეკითხებოდნენ, იყო თუ არა რევაზ მიშველაძე რაზმის მეთაური და გარიგებასაც როგორ სთავაზობდნენ: დაასახელეთ რევაზ მიშველაძე და ორივეს თავს დაგანებებთ. ჩვენ ვპასუხობდით, რევაზ მიშველაძე ჩვენი ლექტორი იყო, სხვა დროს ლექციებს გარეთ მას არასოდეს შევხვედრივართ, უნივერსიტეტის ბაღში ჩამოსასვლელად ბატონ რეზოს არ ცალიაო.

აი, ასეთი მამაცი და გაუტყეხელი იყო ჩემი ზაურ მოლაშხია და მასთან ერთად საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი მისი რაზმი.

მე ყოველთვის ვიამაყებ ზაურ მოლაშხიას სახელით, მისი მართალი და მებრძოლი პოეზიით. ვისთვის მიუგია საზოგადოებას ჯეროვანი პატივი, რომ ზაურ მოლაშხიასთვის მიეგო, მაგრამ ნუგეშად ისლა მრჩება, რომ მე მოვანერე ხელი იმ მაღალ ლიტერატურულ ჯილდოს, რომელსაც აკაკი წერეთლის პრემია ჰქვია და რაიც ზაურ მოლაშხიამ ჭეშმარიტად დაიმსახურა.

უაღრესად სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ზაურის ღირსეული მეუღლე ქალბატონი ნატო და მე ზოგჯერ ტელეფონით ვეხმაურებით ერთმანეთს და ერთად ვმსჯელობთ იმაზე, მომავალში თუ რა გავაკეთოთ ქვეყნისთვის თავდადებული ამ ერთი სახელგანთქმული პოეტის უკვდავყოფისთვის.

ნათელი დაადგეს ზაურ მოლაშხიას სულს.

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

13.12.2021 წ.

მოსაგონარი

წელიწადი მიიღია გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონი ზაურ მოლაშხიას გარდაცვალებიდან. ქართველ მწერალთა ზეციურ კოჰორტას შეუერთდა ღვთივგანდობილი მწერალი, პატრიოტი მამულიშვილი და ერთგული ჯარისკაცი თავისი ქვეყნისა. ადამიანი, რომელიც უმნიშვნელო და უზადო პატიოსნებით ემსახურა თავის უმთავრეს საქმესა და საყვარელ სამშობლოს.

სიკვდილის შემდგომ სიცოცხლე ადვილი როდია, ამას მთელი ცხოვრება უნდა მოახმარო. დიახ, გარდაცვალების შემდგომაც ცოცხლობს ზაურ მოლაშხია, როგორც პოეტი, მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი და თანამოქალაქე. ეს კი რჩეულთა ხვედრია მხოლოდ.

ბატონო ზაურ, თქვენი მართალი ლექსები ჩაუქრობელ კელაპტრებად ენთებიან მამულის სანათელოდ, თქვენი სიტყვა და ხმა მარადისად იზუბუნებს ქართული ლიტერატურის ხსოვნაში.

ნათელი დაგადგეთ, ძვიფასო მეგობარო, კოლეგავ და თანამებრძოლო. გვაკლიხართ, გიგონებთ და ვეფერებით თქვენს შემოქმედებას, ანუ თქვენ.

მარადიული ხსოვნა თქვენს სახელს!

პატივისცემით:

საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაცია;
საქართველოს მწერალთა და მაცნეთა ეროვნული ასოციაციის სამეგრელო-ჯემო სპანეთის რეგიონალური განყოფილება.



2019 წლის 17 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში შეხვედრა გავუმართეთ, მოვეფერეთ, საკუთარი ლექსები წავაკითხეთ, ძალიან გაიხარა, "არ ვარ ასეთ ყურადღებას მიჩვეულიო", მთელი ცხოვრება მოკრძალებულად გაატარა, თავის

სათქმელს კი არაჩვეულებრივი ლექსებით გვეუბნებოდა...

სამწუხაროდ, ბატონი ზაურ მოლაშხიაც კოვიდინფექციის მსხვერპლია, 2021 წლის 7 იანვარს მისი ნეშტი თბილისში მახათას მიწამ მიიბარა.

ვუსამძიმრებ საქართველოს.


ვუსამძიმრებ!

სერგო პარღოსანიძე



კრემლმა იცის უბირკვლესად, რაა სიყვარული...

ზაურ მოლაშხია გარდაიცვალა...



ვერაგმა კორონავირუსმა კიდევ ერთი ღირსეული ქართველის სიცოცხლე შეიწირა. წავიდა ჩვენგან ზაურ მოლაშხია, ბრწყინვალე ლირიკოსი, დიდებული პუბლიცისტი, გემოვნებიანი რედაქტორი, სანდო მთარგმნელი, ღირსეული, ეროვნულსულოვანი მამულიშვილი... და ვინ იცის კიდევ რამდენი ეპითეტი, რეგალია თუ საქებარი სიტყვა აკლია ამ დახასიათებას, მაგრამ უმთავრესი, რითაც ის გამორჩეულად უყვარდათ მის კოლეგებსა და მეგობრებს, მისი უშუალოება, უღალატობა და ნაღდი კაცობა გახლდათ...

თანამდებობა და ეკონომიკური ბედნიერება არასდროს უძებნია, თავის ქვეყანასავით უბრალოდ და ჩვეულებრივად ცხოვრობდა. მეცნიერებაშიც შეეძლო ღირებული სიტყვის თქმა შოთა მესხიას გამორჩეულ სტუდენტს, ავტორს ისტორიული ნარკვევებისა: „რუხის ბრძოლა“, „ მოხირისიდან დიდგორის ბრძოლამდე“, „ისტორიული კანონზომიერებანი“ და ა. შ. მაგრამ სულიდან ამომზევებულ სიტყვათა ხელქმნას ვერ შეეღია. პოეზია იყო მისი სტიქიონი და მთელი ცხოვრება მის მსახურებას შეაღია.

მისი მოკრძალებული ბინა მთაწმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე, გახლდათ ყველა ახალჩამოსული უბინაო სტუდენტისა თუ მწერლის ნავ-

საყუდელი, აქ განსაკუთრებული როლი ჰქონდა მიკუთვნებული მის უერთგულეს თანამეცხედრეს, მისი ბოჰემური ცხოვრების მესაიდუმლეს... შემდგომად კი მის უსაყვარლეს შვილებს: ორ ვაჟსა და ქალიშვილს...

იმ ერთ პატარა სამყოფლოში ეტეოდა ყველაფერი: სიყვარული, ოჯახობა, მეგობრობა, მიმსვლელ- მომსვლელი საქართველო, უმდიდრესი ბილიოთეკა, არქივი მწერლისა და აულაგებელი სუფრა ღია კარებით (გვენანება, რომ ფართო საზოგადოებამ არ უწყის სულმნათი პოეტის არჩილ ფირცხალავასა და ბატონი ზაურის უნიკალური მეგობრობის ისტორია და არა მხოლოდ ეს).

აღბათ მთელ საქართველოში, ლეგენდარული „ტაშკენტის – 25“-ის შემდგომ ყველაზე ნათელი და ღია ფანჯარა ამ სახლს ჰქონდა...

წერდა და ქმნიდა უნიკალურ ლირიკულ ნიმუშებს, საჭირო და მიზანმიმართულ პუბლიცისტიკას, რეცენზიებს... იყო გემოვნებიანი რედაქტორი და მისანდო გამომცემელი...

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჟურნალების: „აია“-სა და „ირიათონი“-ს რედაქტორობა, მის სულისჩამდგმელ და მთავარ რედაქტორთან, გამორჩენილ მწერალ გიორგი სიჭინავასთან ერთად. ამ ჟურნალებმა შექმნეს ახალი ერა როგორც ქართულ პუბლიცისტიკასა და მწერლობაში, ასევე მეცნიერებაში, გადალახულ იქნა ტაბუირებული რუბიკონი სიცრუისა... „აია“-მ გაიმარჯვა და მის ტრიუმფში უდიდესი წვლილი შეიტანა ზაურ მოლაშხიამ, ამ ჩუმმა და მართალმა კაცმა, უთქმელად და უხმამალალოდ უამრავი კეთილი და ღიდი საქმეების მკეთებელმა შემოქმედმა.

ვუსამძიმრებთ მის ძვირფას ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, დედამიშვილებს და ყველას... განსაკუთრებით მის უფროს ძმას, მისი ნაფეხურების მლოცველ გურამ მოლაშხიას...

ვუსამძიმრებთ ძველ აბასთუმანს- რაულ ჩილაჩავას „წინსახობით“...

მთელ სამეგობროს, საქართველოს მწერალთა ოჯახს, ქართველ მწერლებს, მკითხველებს...

„ტაშკენტის– 25“-ს...

მშობლიურ ზუგდიდს, საფიცარ თბილისს და საქართველოს სრულიად, რომელმაც დაკარგა უერთგულესი შვილი, თხემით ტერფამდე ქართველი, კოლხი... დიდი ადამიანი ზაურ მოლაშხია.

ჩვენ დავკარგეთ კეთილისმყოფელი და მეგულტკივილე მეგობარი, რომელთანაც ძმობასთან და მარადიულ პროფესიასთან – მწერლო-

ბასთან და შემოქმედებით პროცესებთან ერთად, გვაკავშირებდა ეროვნული მოძრაობა... ზვიადისა და მერაბის გზა და უღალატო, განუმეორებელი სიყვარული იმ ერთადერთი საოცრებისა, სამშობლო რომ უწოდებია ჩვენს ბრძენ წინაპარსა თუ მაღალ ღმერთს...


ნათელი დაადგეს, ძვირფასო ადამიანო, ჩვენო კეთილო, უშურველო და ხვეჩერია მეგობარო...

მოგვენატრები...

სინანულითა და სიყვარულით

ლაშა გვასალია





„ატკლავს დილა ღამეულ ზრდილებს“

ძვირფასო მკითხველო! წიგნი, რომელიც ახლა ხელთ გიჭირავს, ცნობილი და საყვარელი პოეტის ზაურ მოლაშხიას ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედების ერთგვარი ანგარიშია, რომელსაც იგი ჩვენ სიყვარულითა და მოწინებით გვაბარებს.

მე მქონდა ბედნიერება, როგორც ერთ-ერთ რედაქტორს, ჯერ კიდევ ანაბეჭდებში წამეკითხა ეს წიგნი და წინ კიდევ ახალი აღმოჩენებით მოგვრილი სიამოვნებანი მელოდება, როდესაც უკვე სტამბიდან გამოსულს, სტამბის სურნელში გახვეულს ავიღებ ხელში. დიას, ზაურ მოლაშხიას ლექსები ისეთია, – რამდენჯერაც მიუბრუნდები, ყოველთვის აღმოაჩენ რაღაც ახალს, შეიცნობ მანამდე შეუცნობელს, უფრო და უფრო სწვდები მის იდუმალ პოეტურ სამყაროს.

ეს ერთტომეული, ერთი მხრივ, ზაურ მოლაშხიას ცხოვრების წიგნია – მისი გრძნობებით, მისი სიხარულითა და ტკივილით, მისი სიყვარულით, იმედით თუ განზილებით გამოთქმული; მეორე მხრივ, ამ ლექსებში ყოველი ჩვენგანი დაინახავს საკუთარ თავს, რადგან პოეტი ჩვენს სათქმელსაც ამბობს, ჩვენს სალხენსა და სატკივარზეც ლაპარაკობს; ლაპარაკობს ისე წრფელად, ისეთი უშუალო-



ბით, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენი გონებიდან ამოკრია პოეტმა.

– „რა უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს ჩემი ყოფნა და ჩემი ლექსები“ – ეს სიტყვები ზაურ მოლაშხიას ცხოვრებისეულმა სინამდვილემ სრულიად ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ათქმევინა, ჩვენ კი ამ სტრიქონებში სხვა, უფრო რთული და ძნელად მისაღწევი სინამდვილე უნდა დავინახოთ, კერძოდ ის, რომ მთელი ამ ორმოცდაათი წლის ქართველიან გზაზე პო-

ეტს ერთხელაც არ წამოსცდენია ყალბი სიტყვა, არასოდეს დაუყენებია საკუთარი თავი ხელოვნურ, რაღაც სახელისა და დიდების მოხვეჭისათვის გამიზნულ პოეზიაში; სათქმელს იგი გვეუბნება გულწრფელად, საოცარი სიალალით, დიდი სიყვარულითა და ოსტატობით, რაც მთავარია, სტრიქონებში ჩაქსოვილი საკუთარი გრძნობები და აზრები ისეთი განზოგადებული სახით დაგვიბრუნა



პოეტმა, თითქოს ეს ყველაფერი მასთან ერთად ჩვენც გვეტყვას; ჩვენ აუცილებლად დავინახავთ ჩვენივე თავს ამ ლექსების ლირიკულ გმირში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ, მის მკითხველებსაც, შემოქმედად გვაქცევს ნიჭიერი შემოქმედის კალამი.

მანამდე კი ამ საოცარ გარემოს პოეტი, რა თქმა უნდა, გვიქმნიდა საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, ქართულ სიტყვას მარტოდ შეჭიდებული, გვიქმნიდა სულიდან სინათლის და გულიდან სისხლის გამონურვით, ამ ნახევარი საუკუნის ყოველი დღისა და ღამის ფუტკარივით გარჯაში გასწორებით. ასეთმა თავდაუზოგავმა შრომამ განაპირობა მისი შემოქმედების ყოვლისმომცველობა, მრავალმხრივობა, მრავალთემიანობა; ძნელად თუ მოიპოვება ჩვენი ყოფიერების რაიმე ისეთი საკითხი, რომელსაც პოეტი არ შეხმიანებოდეს.

ჩემი სიტყვების სიმართლეში მკითხველს ეს წიგნი დაარწმუნებს.

* * *

ამ წერილს ზაურ მოლაშხიას ერთტომეულის მიმოხილვის პრეტენზია არა აქვს; საამისოდ მეტი დრო და სივრცეა საჭირო. ამჟამად გვინდა ზოგადად აღვნიშნოთ იმ პირველ შთაბეჭდილებათა შესახებ, რაც აუცილებლად დარჩება მკითხველს.

მანამდე მინდა თვით ავტორის შესახებ ორიოდ სიტყვით მოგიტხროთ.

ზაურ მოლაშხია კოლხეთში დაბადებული და თბილისში დაღვინებული შემოქმედი, უაღრესად პატიოსანი და კეთილშობილი, გულმართალი და ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულით თხემით ტერფამდე დამუხტული პიროვნებაა. მისი ეს ერთტომეულიც სიყვარულის წიგნია, რომელსაც იგი უშურველად გასცემს და ამასვე მოითხოვს ჩვენგანაც. გარდა ამისა, პოეტი პირველი ლექსებიდანვე გამოირჩევა დიდი პასუხისმგებლობით მკითხველის მიმართ; ამიტომაც არა აქვს მას სასხვათაშორისოდ თქმული, კალამს დაუფიქრებლად მოსხლეტილი სტრიქონები. **„ლექსის კითხვით თუ თქვენ**

იგრძნობთ დალლას, თუ ვერ ნახავთ სიტყვას აღერსიანს, თუ ვერ იგრძნობთ ლექსში რაღაც ახალს, ისე ლექსი, აბა, რა ლექსია!“ – ეს სტრიქონები შემოქმედებითი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე დაწერილი და ისინი დღემდე აწერია ზაურ მოლაშხიას **„რიჟრაჟებით შეკერილ დროშას.“**

პოეტის მთელი შემოქმედება მაღალი მორალისა და ზნეობის მქადაგებელია, ანუ იმ პრინციპებისა, რითაც თვით შემოქმედი ცხოვრობს. **„თუ ქართველი ვარ, ქართველურად უნდა ვიმღერო,“** – გვეუბნება იგი და გვიხსნის, რომ ასეთი სიმღერა თუ ცხოვრება ნიშნავს თავდადებას, გამუდმებულ ფიქრსა და ზრუნვას სამშობლოზე: **„სამშობლოა მარად ტკბილი ჟრჟოლა, სულის კანკალი.“** ეს აზრი სხვა ლექსში ასეა განვითარებული: **„სამშობლო, რწმენა და პოეზია – აი, ეს არის უპირველესი“.**

ზაურ მოლაშხია უაღრესად თავმდაბალი ადამიანია, მას არ სჩვევია არც გულზე მჯილის ცემა და არც ადგილების გადანაცვლება ვინმეს მხერის არეში მოსახვედრად. თავისი ცხოვრების გზაზე იგი საკმაოდ ორიგინალურად ასე გვეუბნება: **„მე ყოველ დილით და საღამოთი მიმოვდივარ ტროტუარზე – შენობათა გასწვრივ! თან ვცდილობ, ვინმეს არ შევეჩიხო... მეგობრებივით მომყვებიან გზაზე ფიქრები და სტრიქონებიც ჟივჯივებენ, როგორც გვრიტები...“** ამ სიტყვებმა პოეტის კიდევ სხვა ლექსი გამახსენა, სადაც იგი ამბობს: **„თბილისში დადის სასწორით ხელში – თვალბაკრული ქალი“;** გამახსენა იმიტომ რომ ტროტუარზე მიმავალი ის ადამიანი, რომელიც ცდილობს, რომ სხვებს სიარულში ხელი არ შეუშალოს და რომლის გონებაშიც გვრიტებივით ჟივჯივებენ სტრიქონები, სულაც არ არის მარტო: მას ის „თვალბაკრული ქალიც“ – მისი უდიდებულესობა თემიდა გვერდით ახლავს, მისთვის ჩაუჭიდა ხელი და დაატარებს.

ცხოვრების გზაზე პოეტს თავისი ოჯახიც განუყრელად ახლავს. ეს ბუნებრივია და ამაზე შეიძლებოდა ყურადღება არ გაგვემახვილებინა, რომ არა ერთი მშვენიერი ლექსი, ისიც, შეიძლება ითქვას, „ქუჩის თემაზე“ დაწერილი:

ზამთრის სუსხიან დღეს პოეტს, რომელსაც ბავშვები სკოლიდან მოჰყავს, გზად ნაცნობი ხედება და კარგ, უზრუნველ, მანქანიან, ფულიან ცხოვრებაზე ესაუბრება. პოეტი კი უყურებს თავის სიცივისგან მოზუზულ შვილებს და ხედავს, რომ „**იციინოდნენ, იციინოდნენ მათი პატარა, ძირმორღვეული ფეხსაცმელები**“. აი, ასეთი შთამბეჭდავი პოეტური სახე მოუძებნა ზაურ მოლაშხიამ საპასუხოდ ნაცნობის ნათქვამსა და ამავე დროს თავისი მდგომარეობაც დაგვიხატა, ოღონდ მდგომარეობა ეკონომიკურად შეჭირვებული, მაგრამ პატიოსანი, სულიერად ამაღლებული და ამაყი ადამიანისა.

სწორედ ასეთი სულიერი სიმაღლეა ის მთავარი განძი, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. მშობელმაც ხომ ასეთი ანდერძი დაუტოვა პოეტს: „**არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!**“ – მე ეს სიტყვები დამიტოვა მამამ განძივით...“ მამის ანდერძის უზადოდ შემსრულებელი ახლა უკვე თავის შვილებს ასე არიგებს: „**სიტყვა ბასრი ააელვე და აგემე მტყუნანს; ცხენი მზისკენ გააგელვე, ეჭვი, ბაბა სკუა! შენი ხალხი გელოდება – მტერი გაუთელე; უსინათლო გელოდება – ბნელი გაუთენე; გულდაჭრილი გელოდება – წყლული გაუმრთელე...**“

თაობებს შორის კავშირს ზაურ მოლაშხია თავისი სტრიქონებით აბამს. ეს არის არა მარტო გენეტიკური, არამედ სულიერი კავშირი, რომელიც თვით პოეზიის ხასიათსაც განაპირობებს: „**მე ვიტყვი, ჩემი სიტყვა გადარჩა... თუკი შერჩება სტრიქონს მარადჟამს მამისეული კერიის სითბო...**“

ზაურ მოლაშხია ნუგეშის პოეტია, „**ვის ნატერფლებზეც წყლულები არ აღმოცენდება**“; იგი გვერდით გიდგას, გამხნეებს, სიკეთისაკენ მოგიხმობს, შეცთომილი მოძმის უფლის გზაზე მობრუნებას ცდილობს: „**ხამს კაცი კაცად დარჩეს ბოლომდე, სხვის გულისცემას თვისად ითვლიდეს... რა ადვილია შენთვის ცხოვრობდე, – სულ ეროსავით შენკენ ითლიდე**“. ყოველთვის ექნება ზუსტი მისამართი პოეტის შეძახილს: „**თავიდანვე ამოთხარე! თავიდანვე ამოგლიჯე! თავიდანვე ამოძირკვე ის სარეველა – შენს სულ-**

ში რომ მიიპარება“. ზოგიერთების გასაგონად იგი პირდაპირ და დაუფარავად ამბობს: „**თქვენთვის მძიმეა, ბატონო ჩემო, მამულიშვილის უნმინდესი წამოსასხამი**“.

* * *

ქართველი ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: „**მამული უნდა იდგეს ბეთლემად**“; მისი სიტყვებით, შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს: სიტყვაც, ფიციც, გზებიც, სივრცეც, მაგრამ „**არ შეიცვლება ენა სხვა ენით, მინა სხვა მინით**“.

ზაურ მოლაშხია სიმართლისა და სამართლიანობის მომღერალია, ყველამ კარგად ვიცით მისი მოქალაქეობრივი პოზიცია; იგი იდგა და დგას იქ, სადაც ქართველი ხალხია, ბასრი კალმით ამხელს და ებრძვის ორგულთ, მოლაღატეთ და სულმდაბალთ, ანუხებს .. მოყვარეთა მცირობა“, იმ ვაი ქართველთა სულნასულობა, რომლებსაც არ ანუხებთ, რომ „**დამსგავსებია საქართველო ვრცელ სასაკლავოს**“ და სავარძლებისკენ „**მიჭინჭველობენ, მიქვემქვემობენ**“.

ამ ერთტომეულში ლექსები ქრონოლოგიურად არის დალაგებული და მე, ერთ-ერთი მკითხველი, ავი წინათგრძნობით ვადევნებ თვალს, თუ როგორ „**უახლოვდება**“ პოეტი 90–იან წლებს, თუ როგორ უნდა ემწაროს დამოუკიდებლობის მოპოვებით მოგვრილი ბედნიერება. მართლაც, ამ პერიოდის ლექსები სავსეა ტკივილით, აღშფოთებით, პროტესტით, შეურიგებლობით... პოეტის კალამი ხმალივითაა ალესილი და არ ინდობს ქვეყნის დამაქცევართ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ უსამართლობასთან ბრძოლა ზაურ მოლაშხიას მანამდეც უხდებოდა, საბჭოთა იმპერიის პირობებში; ერთ-ერთ ლექსში კიდევაც აღნიშნავს, თუ როგორ ჰქონდა მისჯილი შინაპატიმრობა და აკრძალული ჰქონდა დედაქალაქიდან გასვლა. მე, მაგალითად, პოეტის დამოკიდებულება კომუნისტური სინამდვილისადმი აშკარად დავინახე გარეგნულად თითქოს უწყინარ, მაგრამ

შინაგანად დიდი სულიერი ამბოხით დანაღმულ ამ სტრიქონებში: „ჩემს შვილს აშინებს წითელი ფერი, წითელი საბნის წითელი ფერი, სისხლი – წითელი, წითელი – სივრცე, თითქოს დაჭრილი მზე იწურება ზეცის თავანზე...“ 1975 წელს დაწერილ ამ ლექსში, ვფიქრობ, არაფერ შუაშია შვილის შიში წითელი ფერის მიმართ: „წითელ საბანში“ წითელი დროშა უნდა დავინახოთ, „წითელ სივრცეში“ – საბჭოთა კავშირი, ახლა უკვე ისტორიის სანაგვეზე გადასროლილი...

ამავე ლექსის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ სხვა დროს დაწერილი სტრიქონები: „მე სხვა ფერი მინდოდა, ო, ეს ფერი – არა! მე სხვა მოძმე მინდოდა, ო, ეს მტერი – არა!“

პოეტი სამართლიანად ბრახდებოდა, როცა ამგვარ „მოძმეს“ ასეთ ვითარებაში ხედავდა: „ძეგლთან ხარხარებს ვილაც ტურისტი, თვალიქედნური, არყით შფოთური... მოდი, გაბრაზდი და გაგულსდი: – გაულამაზე სახე ლოთური“.

სულ რამდენიმე სიტყვითაა გადმოცემული იმდროინდელი სინამდვილის მთელი მანკიერებანი: ურწმუნოება, სიყალბე, სიცრუე, დამონებულ-დაბეჩავებული ხალხი: „აი, სიზმარი უსიზმროთა! აი, ნიღბები! სიცრუის ძაფით მოქსოვილი წყება აღმების... უღვთო ტრიბუნებს ხელებს უქნევთ და ესალმებით! აჰა, დიდება უგუნურთა – წამს წარმავალი!“ მოდით, ამასაც დანერის თარიღი დავუსვათ: 1977 წელი.

სამიოდე წლის შემდეგ, კერძოდ, 1980 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, ზაურ მოლაშხია ავრცელებს ანტიიმპერიულ პროკლამაციებს, რომლებშიც „საქართველოს ანექსია – გასაბჭოების დღე – ოცდახუთი თებერვალი გლოვის დღედ“ იყო გამოცხადებული. იმავე წლის ზაფხულში ჯგუფთან ერთად აკავებენ. რამდენიმე თვის შემდეგ ლიდერებს ხუთ-ხუთი წელი მიუსაჯეს. დანარჩენებს, მათთან ერთად ზ. მოლაშხიას, შეუფარდეს ადმინისტრაციული სასჯელი, – მოხსნეს სამსახურიდან, შეუზღუდეს ბეჭდვა, აუკრძალეს ქალაქიდან გასვლა და სხვა.

1989 წლის აპრილში, „კომენდანტის საათის“ პირობებში, მონაწილეობს არალეგალური

ფურნალის „ფენიქსის“ გამოცემაში, რომელშიც ზ. მოლაშხიას ანტიიმპერიული ნაწარმოებებია გამოქვეყნებული...

* * *

ზაურ მოლაშხია მაძიებელი პოეტი. ის მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება. თვით ვერსიფიკაციის სფეროშიც ცდილობს და აღწევს კიდეც გარკვეულ წარმატებას.

გამოჩენილი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე **ლევან ბრეგაძე**, ზაურ მოლაშხიას ერთ-ერთ ნიგნზე („ვარსკვლავთა ტალანი“, 1988წ.) დიდი ხნის წინ დაწერილ რეცენზიაში – „პოეტის ხელწერა“ (გაზეთი „სიტყვა ქართული“, №5, 17 აპრილი, 1993 წ.) – აღნიშნავდა:

„თანამედროვე პოეტები იშვიათად მიმართავენ ექსპერიმენტებს ლექსთწყობის სფეროში – უფრო ტრადიციულ სალექსო ფორმებს ენდობიან. ზაურ მოლაშხია აქაც ეძიებს, ამ არემარეშიც, სადაც დღესდღეობით რაიმე მნიშვნელოვანი სიახლეები თითქოს ნაკლებ მოსალოდნელია.“

ნიგნში შესული **ლექსების ერთი დიდი ნაწილი ორიგინალური აღნაგობისაა**: სტროფი ხუთ ტაეპიანია, გარითმულია პირველი, მეორე, მეოთხე და მესამე, მეხუთე სტრიქონები. მთავარი კი ის გახლავთ, რომ მეოთხე სტრიქონი სხვებთან შედარებით მარცვლებნაკლულია, „კოჭლია“, იგი ძირითადად საზომის მარცვალთრაოდენობის მხოლოდ ნახევარს შეიცავს (ტაეპის ნაკლულ ნაწილს ავტორი წერტილებით ავსებს).

ეს ბოლოსწინა „ჩავარდნილი“ სტრიქონი საინტერესო რიტმულ სურათს ქმნის. ვნახოთ ნიმუშად ერთი სტროფი ლექსიდან „სიზმარი“:

**„ გაბედნიერდა ადამის მოდგმა,
არსით ნუხილი, ვაება, მოთქმა...
ზვირთებმა ხმელთა ლოხი წარეცხეს.
..... ნათელი მოდგა
და ჰგავდა ველი უფლის სარეცელს.“**

ბოლო სტრიქონი, რომელიც მარცვლებ-

ნაკლულ ტაეპს მოსდევს, დასკვნასავით აღიქმება და ამის გამო, ჩემი აზრით, უხდება მედიტაციურ, პოეტური რიტორიკის მანერით შესრულებულ ლექსს...”

კიდევ ერთ ამონაწერს მოვიყვან ბატონ ლევან ბრეგაძის დასახელებული რეცენზიიდან:

„და კიდევ ერთი საწუკვარი გულისნადილი აქვს ამ წიგნის ავტორს:

**„ ისევ იძახის ხმა იდუმალი,
განა ურწმუნოდ, განა გოროზად!
– მოვიდეს სოფლის დიდი სტუმარი
და თვით კრწანისიც აღიდგოროსა!“**

რა ბევრის დამტყვია პოეტური ფრაზა! რა საინტერესოდ არის აქ გადმოცემული ღრმა სათქმელი!.. დიდ დამარცხებათა დიდ გამარჯვებად მოქცევის მოთხოვნა რა შთამბეჭდავად არის გამოთქმული ლაკონურ ფორმულაში – **„და თვით კრწანისიც აღიდგოროსა!“**

ამ ლექსების ავტორისთვის არც მოვლენებისადმი ირონიული დამოკიდებულება გახლავთ უცხო. ეს ირონია ზოგჯერ ოდნავ იგრძნობა, მსუბუქად დაჰფარფატებს საგნებს თავზე, როგორც, მაგალითად, ამ სტრიქონებში: **„ჩვენთვის ყოველდღე სიურპრიზია – მზე და ჰაერი, სივრცე, ფერები... რომ არ გვემხოზა თავზე ცარგვალი, ესეც მადლია ბედნიერების!“** ზოგჯერ კი ირონიული დამოკიდებულება მკვეთრად არის გამოხატული... აი, თუნდაც, ამ ლექსში, ასეთი სათაური რომ აქვს: **„დილის გამამხნეველები ვარჯიშის რემინისცენცია“:**

„თავისუფლად ისუნთქე, თავისუფლად იმოძრავე, თავისუფლად ილაპარაკე, თავისუფლად... თავისუფლად... თავისუფლად... ამისთვის, მარტო ამისთვის, რამდენი სისხლი დაღვრილა და მაინც ვერ სუნთქავს თავისუფლად კა-ცობრი-ობა!“

* * *

ზაურ მოლაშხია მოვლენათა უბრალოდ აღმნუსხველი კი არა, პირველ რიგში ლირიკოსია. „ლექსი არასდროს მიწერია გრძნობის გარეშე“, – წერს იგი ერთ-ერთ ლექსში, თა-

ნაც მისი გრძნობები, განცდები ყოველთვის გონების სინათლითაა მადლმოსილი. იგი დაგვატარებს ტკივილებსა და სიხარულს შორის, უნუგემობასა და ნუგემს შორის: **„ხან დავყურებ მამის საფლავს, ხან მზითა და ყვავილებით ვსუნთქავ...“** თანაც ეს არის მოგზაურობა ადამიანის ღრმა სულიერ შრეებში, ადამიანის გონების მანამდე შეუღწევად ლაბირინთებში; ეს არის შეხვედრები ორიგინალურ მხატვრულ სახეებთან, რასაც პოეტი შესაშური ტროპული აზროვნების წყალობით ახერხებს. აი, მაგალითად, ზაურ მოლაშხიას ლექსებში „ტყეებს ზეცა ქოლგასავით უჭირავთ ხელში“, „მზე დილები ხელში აჰყავს გასაშვებად“, „დაქოხილა დაფიფქული ბარდი“, „აცელავს დილა ღამეულ ჩრდილებს“, კერა უეცრად გაფოთილი ასკილია, ცა – იდუმალი – ლაჟვარდს გვიქნევს და გვესალმება... რომელი ერთი ჩამოვთვალთ, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია ამ ერთტომეულში გაბნეული ტროპული სახეებიდან.

ზაურ მოლაშხია რწმენის და იმედის პოეტი. იგი ყოველთვის ახალი სამყაროსკენ მიგვატარებს და სულის ხსნის შანსს გვაძლევს: ჩვენც მასთან ერთად მივიღტვით შეყვარებული ვარსკვლავისკენ, რათა მან **„ათრთოლოს აუთრთოლარი და ყინულივით მკაცრი გულები“;** მას უნდა დავემგზავროთ განწმენდისა და განახლების **„ზეცის ქალაქში“:** **„უარი გემებს, ნუ მიცდიან მატარებლები... მივემგზავრები ჩემი მიწის და მზის ემბლემით... მომიტყვევთ ეს აღმაფრენა, მსურს ამოვიდე ნუთისოფლის მრუმე ხაროდან...“**

პოეტს სჯერა, რომ **„მზე ჩამოკიდებს ნანატრ სინათლეს ყველას სარკმელზე, ვითარცა ალამს“.** წერილის დასაწყისშივე ვახსენე მისი **„რიჟრაჟებით შეკერილი დროშა“;** ეს ალამი და დროშა ერთი და იგივეა, ეს ზნეობის, რწმენის, თანადგომისა და თანალმობის სიმბოლოა, რომლისკენაც პოეტი ყველას უხმობს: **„წმინდა დღეებით და ფიქრებით დაწნულ გვირგვინებს მე ვადგამ მწვერვალს, სამერმისოდ მალლა აზიდულს, და ვხედავ შორით... ჩემი დროშისკენ ეს სამყარო მოდის და მოდის!..“**

ყოველი ლექსის დაბადება ჩვილის გაჩენას ჰგავს იმ მხრივ, რომ ლექსიც ტკივილის, დიდი სულიერი ძვრების თანხლებით იბადება. ზაურ მოლაშხიასათვის ყოველი ლექსი ის ზღაპრული ფასკუნჯია, რომელიც საკუთარი გულ-ღვიძლით უნდა დააპუროს: **„მიმაფრენს ლექსი – ჩემი ფასკუნჯი – და ის ტკივილის განცდას მანიჭებს...“** ეს ტკივილი გაუნელებელია, იგი ლექსის გაჩენიდან ბოლომდე ჭრილობად ატყვია პოეტს: **„მატყვია ლექსი – ცხელი ჭრილობა – და ეს სანუთრო უკან მომკვიცს.“**

ასეთ წვასა და ტკივილში არის გასული ეს ნახევარი საუკუნე. წლები კეთილ მონაგართან ერთად ტკივილსაც ამრავლებენ. თუ ახალგაზრდობაში პოეტს „ფერთა თამაში“ ალაღებდა, უკვე სიჭარმაგის ხანაში იტყვის: **„წყენით ვუმზერ წუთისოფელს, მატყუარა ფერთა თამაშს...“** გახუნებულა ბევრი ოცნება, განბილებულა ბევრი იმედი, ჟამს წარუტაცია წრფელი სიყვარული, რაც ზაურ მოლაშხიას ათქმევინებს: **„... და ამ ზამთარში დიდთოვლობით დალენილ ბალებს გაზაფხულითაც ველარ ვაღვიძებ.“** ეს **„უყვავილწულო გაზაფხულებია“**, **„გზაც მწვერვალიდან დასჯილსავით გადმოგდებულა“**, მაგრამ ამ ტკივილებსაც ჩვენდა სანუგეშოდ წარმართავს პოეტი, სტრიქონებში აწრიალებული სული გვამშვიდებს, გვაიმედებს და გვეუბნება: **„მე ახლაც კლდეზე ვკიდევარ ჩქერად“**. ტანჯვისგან შველა კი ისევე უფლის სიყვარულში, რწმენასა და ლოცვაში უნდა ვეძიოთ, ჩვენც უნდა ვინვოდეთ ღვთიური ცეცხლით ბიბლიური მაყვლის მსგავსად: **„მზე მაყვლოვანში ანთია, ციური ცეცხლი ციმციმებს... ის არის, რაც გვინატრია, ის მოგვხსნის ტანჯვის სიმძიმეს“**.

ზაურ მოლაშხიას ლექსებში საკმაოდ ვნახავთ ასეთ შესიტყვებებს: „უსივრცობის სივრცე“, „სავსე სიცარიელე“, „გონიერის

სივრცე“, „დაუსაზღვრელის ნათელი“, „დასაზღვრული უსაზღვროება“... პოეტის გონება ახალი სივრცეებისკენაა მიმართული; ეს სივრცე ჩვენშიც არსებობს და ჩვენ გარეთაც. პოეტს სურს, რომ ეს სივრცე ცარიელი არ იყოს, არც დასაზღვრული, მას უნდა, რომ გაარღვიოს ყოველივე დასაზღვრული, გასწიოს და გაგვიფართოოს სამყარო და თვალსაწიერი. ეს მუდამ ახლის მაძიებელი შემოქმედის ბუნებაა, ახლის ძიებაში კი ზაურ მოლაშხია კვლავაც დაუმცხრალი და ჭაბუკურად შემართულია.

ზაურ მოლაშხიას ერთ-ერთ ლექსში არის ასეთი სტრიქონები: **„როს განვერიდე სიზმარს სრულებით, – გარეთ საამოდ ირწეოდა მწვანე ხეხილი და ქარს მოჰქონდა დაფნის სურნელი“**. დრომ ამ სიტყვებში ის შესწორება შეიტანა, რომ მის მშვენიერ შემოქმედებას უკვე დაფნის გვირგვინი მოაქვს ზაურ მოლაშხიასათვის, რომელიც უახლეს ქართულ პოეზიაში ღირსეულ ადგილს იკავებს და რისი დასტურიც მისი ეს ერთტომეულიც არის.

„დილის მნათივით იზრდება სული“, – გვიმჟღავნებს პოეტი ამ წიგნის ბოლოს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს „ბოლო“ ახალი გზების, ახალი სივრცეების, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების დასაწყისია. მჯერა, რომ ზაურ მოლაშხიას დილები „კვლავაც აცელავენ ღამეულ ჩრდილებს“, რომ ის მნათი **„გზადაგზა კვლავაც ააფეთქებს დანაღმულ ჩეროებს“**; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზაურ მოლაშხია კვლავაც მრავალჯერ გაგვახარებს თავისი დიდებული შემოქმედებით.

ღმერთმა დალოცოს მისი ნიჭი და კალამი, ჩვენ კი დიდხანს გვყავდეს იმედად და ნუგეშად ჩვენი საამაყო მეგობარი, ღვთისწიერი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ღირსეული მამულიშვილი!

ჯემალ შონია

პოეტი, ფილოლოგი

2012 წელი



სანა

სიჭაბუკისა

ქარო, ქარო, გეხვეწები

ფეხშიშველად დარბის ქარი,
 შემოივლის ფრენით ხეებს...
 მერე მოვა, როგორც მთვრალი,
 მაკოცებს და მომხვევს ხელებს.

სიხარულით ველზე ვწვები,
 გულში ვიკრავ მთას და ბორცვებს...
 — ქარო, ქარო, გეხვეწები,
 ჩემს მაგივრად მას აკოცე!
 1962 წ.



სიმღერების სათავე

ღელვის წუთი, განცდა, აზრი ახალი,
 შრომა, ბრძოლა, შეტევა და მიღწევა...
 მიწა თბილი — მოხნული და სახნავი,
 გატაცება, თრთოლა, თავდავინყება...
 ცის გახსნა და სივრცეებში გაფრენა,
 ლეგენდა და ჯერ უთქმელი ზღაპარი;
 უნახავის ნახვა, განცდის გამხელა,
 სიცოცხლე და სიხარული სხვაგვარი...
 ლექსი თქმული და ჯერ კიდევ ართქმული,
 სიყვარულის დაკარგვა და ძიება;
 ზღვაში თევზის მხარული თუ დგაფუნი,
 მტერთან ბრძოლა, ძლევა, არდაძინება...
 სამშობლოზე ფიქრს ვერ ვუჭერ სადავეს
 და ოცნება ჰორიზონტებს მიარღვევს...
 სამშობლოა სიმღერების სათავე,
 სამშობლოა სიმხნევე და სილაღე!
 არა მარტო სიცილი —
 მინდვრები და ვაზები;
 არა მარტო ჭიდილი
 ფიქრების და აზრების;
 არა მარტო ოცნება,
 არა მარტო ხალისი,
 არა მარტო ლოცვებად
 აფრენილი აისი...
 სამშობლოა მარად ტკბილი
 ჟრჟოლა, სულის კანკალი,
 სიცოცხლის და უკვდავების
 სიმღერა და აკვანი.

1962 წ.

რა ადრე გავხდები მამით ობოლი

არ მიფიქრია
 არასდროს, მამავ,
 თუ დავრჩებოდი ქვეყნად უშენოდ...
 დღეს ცრემლიანი
 თვალები დამაქვს
 და... ეს არ მინდა დედას ვუჩვენო!

ძნელი ყოფილა
 სიკვდილი მამის,
 ძნელი ყოფილა... და აღარც ვმალავ, —
 მსურს შევაჩვენო
 ის წუთი, წამი,
 როცა სიკვდილმა წაგართვა ძალა.

მამავ, ძვირფასო!
 სადა ხარ ახლა...
 რა ადრე გავხდები მამით ობოლი!
 დღეს ყველგან შენი
 ღიმილი მახლავს,
 ვიხსენებ ზღაპრებს — შენგან მოგონილს...

არ მიფიქრია
 არასდროს, მამავ,
 თუ დავრჩებოდი ქვეყნად უშენოდ...
 დღეს ცრემლიანი
 თვალებით დავალ
 და... ეს არ მინდა დედას ვუჩვენო!

1962 წ.

გული ითხოვს ღიმილს...

ეს რამდენი დღეა
და რამდენი ღამე,
ეს რამდენი თვეა, —
უხმოდ ვითვლი წამებს.
გულში ცეცხლი ღვივის,
ვლოცავ მზეს და მთვარეს;
გული ითხოვს ღიმილს
და იმ გოგოს ალერსს...

ჩანს გარემო ღვთის ხელით ნაირფერში ჩასმული
და წკრიალა წუთები — მზის სხივებზე ასხმული...
მელანდება მინდვრები, მესიზმრება ბორცვები,
აღმა-დაღმა დავფრინავ ფიქრებით და ოცნებით...
ჰე, მამულო, ძვირფასო, გულო ამღერებულო,
ხმალო, ხმალო, პირბასრო, მტერზე აღერებულო,
ხმაზვიადო ენგურო, რბენით გახელებულო!
მტერს ნარკენო თბილისო, დავითივით დიადო,
ყოველღამე, ძილის წინ, საბა ზღაპრებს გაიმბობს...
გოგონები — ცანგალა, დაფრინავენ თავშლებით,
„აგანგალა-განგალას“ ყიჟინებენ ბავშვები...
ბერიკაცი — იმხელა — ეზოს უვლის ღიღინით...
მომენატრა სიმღერა, ვით იმ გოგოს ღიმილი;
მომენატრა ხმაური, ხმამქუხარე „ვარადა“,
ხეებს ფრენით ჩაფუვლი, დავალ მთა და ბარადა...

ეს რამდენი დღეა
და რამდენი ღამე,
ეს რამდენი თვეა, —
უხმოდ ვითვლი წამებს...
გულში ცეცხლი ღვივის,
ვლოცავ მზეს და მთვარეს;
გული ითხოვს ღიმილს
და იმ გოგოს ალერსს...

1962 წ.

პოეზიას

ეს — გრძნობა ჩემი! ეს — სისხლი ჩემი!
მღელვარე გულის ცეცხლთან კირთება...
მე მუდამ შენი ერთგული ვრჩები,
რომ სულს რითმები ესხას კვირტებად.
გენიოსების შენ ხარ მფარველი
თუ შენ გიცავენ გენიოსები?
შენში სიმხნევეს ჭვრეტდა ქართველი,
თავს გეველებოდა წრფელი ოცნებით...
ხან მარადიულს ჰგავხარ გოლგოთას,
ხან მაცოცხლებელ წყაროს ედრები...
შენს სამსხვერპლოზე გული მოჰქონდათ...
შენ გაამხნევე ომში მხედრები...
გაუჯანსაღე სული მეომარს,
შიში არგუნე თაღლითს, მუხანათს...
სიცოცხლე შენით გაიმეორა,
ვინც შენი გზებით დაიმქუხარა!
ვარსკვლავთა წყება გარს მომესია
და ლაჟვარდები დნება ველებზე...
— სამშობლო, რწმენა და პოეზია: —
აი, ეს არის უპირველესი!
დღეს ჩემი გული, როგორც ზვარაკი,
მომაქვს და... არვის ვემუხთალები...
შენი ერთგული ვრჩები მარადის
და... ერთგულებას გემუდარები!

1964 წ.

ყველგან სიმღერად გადავიშლება...

ყველგან სიმღერად გადავიშლება,
შუქი ვიქნები — მინდვრებს დაღვრილი...
ახმიანდება, ვით კლავიშები,
ეს ჩემი სული — ცისკენ ახრილი.
ჩაისუნთქავენ ქარებს ვერხვები,
აცეკვდებიან შვებით ლანდები...
ო, გთხოვ, ღიმილით კვლავ ნუ შემხვდები,
თორემ უგონოდ შემეცვარდები!

1964 წ.



სანა

სრულკაცობისა

მადლობა ყველას...

მადლობა ყველას, ვინც ცხოვრების მრუმე ხაროდან ამომიყვანა და მითხრა: — „ნამო!“
 ვინც არ ლიზლობდა, არ ციგნობდა და არ ხარობდა ჩემი ნაღვლიან დღეების გამო.
 მადლობა ყველას — უცნობს თუ ნაცნობს, ვინც მეძახოდა და მამხნევებდა...
 მკაცრ ლამეებში, კეთილო კაცო, გადამარჩინეს შენმა ხელემატა.
 სავსე ვიქნები ერთგულებით, ძმებო, ვიდრე ვარ, სხვა შემძლია რისი გაცემა?
 მადლობელი ვარ, რომ მედექით მხარში იმედად, ოდეს ვიგრძენი ნაბარბაცება...
 რამდენს მავალებს თქვენი კაცობა, თქვენი არა თუ თქვენი დასტური...
 მე ვისაც ვთვლიდი მხოლოდ ნაცნობად, — ყოფილა ძმა და კაცი კაცური...
 ყველას სჭირდება თანადგომა, ცოტა მიხედვა და ცოტა სიტობო, ვით მშიერს — ხემსი...
 დღედაღამ მამულს ვინც ამაღლებს, ვინც უფროსხილდება, მეც იმასთან ვარ გულით და ლექსით...
 მე არყოფნაშიც თქვენთან ვიყავი...
 რა ვუყოთ, თუკი ჩუმად ვცხოვრობდი. მწირი იმედი თქვენ ამიყვავეთ, ნდობით, ძმობით და დაუცხრომლობით...
 მადლობა ყველას, ვინც ცხოვრების მრუმე ხაროდან ამომიყვანა და მითხრა: — „ნამო!“
 ვინც არ ლიზლობდა, არ ციგნობდა და არ ხარობდა ჩემი ნაღვლიან დღეების გამო.

1982 წ.

მე ფიქრს ვსწავლობდი...

„კაცი ფიქრისთვის არის გაჩენილი“.
 ბლუზ პასკალი

მოაქამომდე ფიქრს ვსწავლობდი, დღედაღამ ვდუმდი და ფიქრს ვსწავლობდი. ამდენი ფიქრით ლაპარაკი ვეღარ ვისწავლე!..

რა ვქნა, თუ იგი ხილულისთვის უხილავია; ის უხილავი ჟამიდან-ჟამად ხილულზე უფრო არის ხილული...

ბევრმა მირჩია გულმონყალებით: — კაცმა ის უნდა ისწავლოთ თავგამოდებით, ყოველდღიურად რაიც გჭირდება: — უწინარესად, ლაპარაკი ლაქარდიანი!

...
 მე ფიქრს ვსწავლობდი!

1982 წ.



გაბედვის ჟამი დროულად მოდის

გაბედვის ჟამი დროულად მოდის, ადამის ძეო, რომ არ გალანრდე, რომ სახვალის იმედის ყლორტი შთამომავლისთვის საღად გადარჩეს. უნდა თქვა: —

რაა ავი და კარგი, უნდა დაარქვა ლელეჩს ლელეჩი...
 ვწევარ და, ეჭვი — მშიერი თაგვი — გონებას მიღრღნის ამ სიბნელეში.

1982 წ.

დაეკარგა სიყვარული...

დაეკარგა სიყვარული, — დადიოდა მით ეული; ფიქრი, სევდა, სინანული, — მის გულს იყო მიტეული...

1984 წ.

სკავტიკოსის შეგონება

წუთისოფლის ცადაქნილზე უცებ წმინდა მზე ნახო რა, — არ გაბრიყვდე!

დაიგულე იქვე ბნელთა ზედახორა!

1984 წ.

ვედრება მზისადმი

ჩემს ძმას — გურამს

მზეო, არ განქარდე,
მზეო, არ გაქვავდე,
მზეო დედავ და მზეო პატრონო!
მზეო, არ დაიქცე!..
მზეო, არ დაიქცე!
სიბნელის კარად არ მიგვატოვო!

მზეო ნათლიერო,
მზეო მადლიერო,
მზეო საესავო ქვეყნად ყოველთა,
მზეო, თუ გვეშინის!..
შენ ხარ ნუგეშინი, —
ყველა მამურალის და ბედუპოველთა.

მზეო, მძლეთა მძლეო,
უპოვართა მზეო,
მზეო ყველასი და, არარაისი...
მზეო სახიერო,
ამოდ სახილველო,
კვლავ აგვიფრინე მრავალი მაისი.

ვწევარ, ავადა ვარ,
ვიცი, არ გარდავა,
რაიც გარდუვალად დღემდე ვათრიეო;
სივრცე იქუფრება...
სისხლი იმუქრება,
სისხლი იმუქრება, მზეო ნათლიერო!

აქ მე ვარ — აჩრდილი,
იქით კი — ძმა ჩივის,
ორივე და ტირის ძმათა გაჭირვებას...
რა მოხდა, დედაო,
რამ გაგვიმეტაო,
ფრთები რომ დავუშვით ცაში აჭრილებმა...

მზეო, არ განქარდე,
მზეო, არ გაქვავდე,
მზეო დედავ და მზეო პატრონო!
მზეო, არ დაიქცე!..
მზეო, არ დაიქცე! —
სიბნელის კარად არ მიგვატოვო!..

1979 წ.

მამის განძი

„არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!“ —
მე ეს სიტყვები დამიტოვა მამამ განძივით,
ოდეს გაუყვა მიღმეთისკენ მიმავალ ბილიკს.

და... იმის შემდეგ დაუფიქრებლად
გულს მცირე მწიკვლს თუ გავაკარებდი
ან აღვმართავდი მარჯვენას სამტროდ,
თავს მახსენებდა მამაჩემის დანაბარები: —
„არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!“

მე ეს სიტყვები ჩამესმის დღესაც,
როდესაც უკვე მამა ვარ თვითონ,
და ახლა უფრო ვუკვირდები,
და ახლა უფრო ვუფრთხილდები
მე ამ სიტყვების აზრსა და სიტბოს...

ვიცი,
როდესაც დავივინწყებ ნათქვამს მამისას —
მოკვდება იგი,
უსათუოდ მაშინ მოკვდება...
ჯერ კი... დრო გადის
და ჩვენ შორის ნელა მოკვდება
გზა თუ მანძილი...

„არ მაჭამოო, შვილო, სირცხვილი!“ —
უკანასკნელად,
უკანასკნელად
მე ეს სიტყვები დამიტოვა მამამ განძივით.
1979 წ.

ფრიად გაძვირდა ქმნაი კეთილთა

ფრიად გაძვირდა ქმნაი კეთილთა,
არს იეფობა ბოროტისანი.
ძმა ძმის მცემელი შურის კვერთხითა,
გულგანწონილი შულლის ისარით.

ერთი — გვემული ქვეყნის ბედითა,
მეორე — სხვისი მონა—ხიზანი...
სევდა — დილეგში გამოკეტილთა —
მძლავრთა სიმშვიდე მხოლოდ ის არი...

ფრიად გაძვირდა ქმნაი კეთილთა,
არს იეფობა ბოროტისანი.

1981 წ.

ხანა

სიჭაბრეაგისა



დროის მტევნები

ცას შექარვული დროის მტევნები უხმოდ, თანდათან დაინურება... გული – დრო-ჟამზე მინატევები – ზოგჯერ უთქმელად დაინყლულება!

ამ ლიანდაგებს – გასროლილ ისრებს – მატარებელთა ანთებს გრიალი... შენ დაეშვები ქვალოდზე ისევ – ჯერ განუცდები განცდის სიალით...

დრო-ჟამს ვერარა ვერ მოუხერხე თვალთუხილავის უხმო ძიებით... ტანჯვის ხეს ფესვი ვერ მოუხერხე – ვერ ამოაგდე მისი ძირები!

ყორანი კვლავაც გადიყრანტალებს, კვლავაც ჩამოყრის ფოთლებს ქარსუსხი... შენ ისევ შენი ჯვარი ატარე, (იქ, ბოლოშია ყოვლის პასუხი!)

შენ ისევ შენი თვალე სათვლელი, დიდი ან მცირე აგე ტაძარი; ისევ აანთე შენი სანთელი, რაც შეგიძლია – ის მოასწარი!

მრავალგვარ განცდებს მინატევები გულიც ხანდახან დაინყლულება... ცას დაკიდული დროის მტევნები ისევ დროისგან დაინურება!

2007წ.

კოსმიურო!

კოსმიურო! შენი უხმო ხმაა, რომ გვაფხიზლებს უგონობით პერობილთ... იდუმალი შენი გულისთქმაა – თუკი ვარჩევთ ანფასისგან პროფილს...

შენი ნებით მოწურვილა წვიმა, ჩანს ვარსკვლავი – ანარეკლი ცეცხლის... გაბმულია მარადიულ სიმაღ – ეს კავშირი მინისა და ზეცის!

კოსმიურო! შენ მაოცებ ახლაც, ამოუხსნელს მოუსვენრად გიმზერ... ხორციელის უძლურება დამხრავს – გადამხობილს უჟამობის ქიმზე!

შენ ხარ მომავალი...

– შენ ხარ მომავალი, სხვას ვისლა ველოდეთ?... (დგას გზისკენ მზირალი ბრძენი იოანე...) – მოვედ, სიხარულო, ყოველნი მღეროდენ, ამ შენსა სამწყსოსა თვალნი მიმოავლენ.

და ხალხი, ეს ხალხი – ყურით უსმინარნი, თვალით ვერ მხედველნი... გადაცდომილები... მათ ახლა სჭირდებათ მაღლი უფლისანი, მოვედ, ყოვლისშემძლევ, იხსენ ცოდვილები!
2002 წ.

ჩემ გარდა...

„ორი კაცია ჩემში: ერთი ღვთის დარად იღვწის, მეორეს ის სწადს, რაიც სოფელს, ეშმაკს და სიკვდილს“. ანგელუს სილვეზიუსი

„მე მომიტევეთ ვარ უმეცარი“. გიიომ აპოლინერი

ჩემ გარდა ჩემში სხვა ვილაც ცხოვრობს, იმ სხვაში კიდევ სხვა ილანდება... ველარ გავუგე თავი და ბოლო, – ეს დღე – ხანმოკლე – ისე ლამდება!

ვერ დავაღწიე ამ დროსაც თავი... ღლიცინებს ჟამი უთავბოლოობის! მოუჭერელი მაქვს მოსართავი და ფოთოლივით შევრჩი მოლოდინს...

იმ “სხვამ” იფიქროს ანი რაც უნდა! ვეცადე, მაინც ვარ უცოდნელი... ჩემი ცხოვრება ჩემში დაცურდა – ჩემი სიკეთით, განცდით, ცოდვებით!

2006 წ.

და... ბნელ ზღვარს გასცდა!

**სიბნელის გავლით სინათლისაკენ
რემინისცენციული**

გადმოსცდა ბაგეს ნამწყვდევი ოხვრა
ნათმენი კაცის,
ესვენა თვალში ცის მზერით მოღლა
და ფერი განცდის...
მას ხმოზდა განძის ჯადო თუ ხიბლი –
საცთური კაცთა;
განაგდო შური, სიხარბე, ჯიბრი
და... ბნელ ზღვარს გასცდა.

2012 წ.

ასტრალურ წვამში...

სიჩუმის მიღმა ხმები ირევა,
სიჩუმის აქეთ ჩვენ ვგავართ შეთქმულს ...
ცხელ გულზე გულის ოკულირება
ასტრალურ წვამში აანთებს ერთგულს!

2011წ.

ნუთუ კვლავ იქნება...

ზეცამ ვარსკვლავების მრეში ხმა გაკმინდა,
ნელ-ნელა დახუჭა მთვარე, —
როგორც მოსასხამი, სივრცეს გადაჰკიდა
ღრუბლით დატენილი ღამე!

მინაზე ერთურთის პოვნა გაუჭირდათ,
ფშინავდა ნკვარამი კრული
და კითხვის ნიშანთა ეჭვის კაუჭიდან
ვერაფრით ჩამოხსნეს გული!

აირ-დაირია, ისევ აქაოსდა
სამყაროს სივრცე თუ ზეცა,
ნუთუ კვლავ იქნება იგი – გარდამოხსნა,
ის ერთხელ ჩვენთვის ჯვარს ეცვა!

2011წ

ქუში დროება...

თრგუნავს ყველაფერს ქუში დროება. —
არავის ინდობს – მწარედ მბასრავი...
დაბადებამდელ უსივრცოებას
განვიცდი ზოგჯერ ზმანებასავით!

2011წ.

მას სხვად ყოფნა არ შეეძლო

გადაშუადღევებული
იყო (სიზმრად), მესმა რეკვა...
იგი ვნახე შეურვებით,
მას სიკვდილი (თურმე!) ერქვა!
იდგა განზე დაღვრემილი,
არ უნდოდა გამოხედვა,
სხივი (ცელი!) აღერილი
კრთოდა, თრთოდა... გადმოხეთქა
ცის ჩქერალმა მძაფრი ხმებით...
ის კვლავ იდგა მარტოდ ხესთან
გულშეძრული თავის ხვედრით!

.....
ხალხით იყო სავსე ეზო —
ნაჰქცევია ოჯახს ძელქვა...
მას სხვად ყოფნა არ შეეძლო,
არ შეეძლო ეს არ ექნა!

2008წ.

დილის მნათივით იზრდება სული

დილის მნათივით იზრდება სული
და ნელა, ნელა მჭლევედა ხორცი...
იხსნება სივრცე — თვალისთვის ხშული
და ცა კამკამებს წმინდანთა ლოცვით.

ცა ისმენს უნუგემოთა ნუკვას,
ტალავერს ერწყმის ფოთლები ვაზის...
დგას კაცი,
თავის მყოფობა უკვირს,
საიდან მოსდის ფიქრი თუ აზრი?

რაც უნდა, იმას გაიგებს როსმე?
იხილავს როსმე უხილველ ვარსკვლავს?
ბუნდად იხსენებს პირველქმნილ კოსმოსს,
როგორც ბავშვობის დაკარგულ სახლ-კარს!

2012წ.

მუდამ მინთია ერთი სანთელი

**„ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“!
დუტუ მეგრელი**

მამით – მეგრელი, დედით – გურული,
სივრცე მაქვს ნაბადად წამოხურული.
ჩანს იმედივით ჩემი გელათი,
იმერელი ვარ დედისდედათი
და უმტკიცესი კუნჭულ-კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით: –
მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია – ქართველი!
ამიტომ მე ვარ ნაღდი სვანი და
ჩემი სალოცავ– საესავითა
მე ვარ თუში და ფშაველ-ხევსური
და რას დამაკლებს ვინმე, ბნელსული...
ვარ აჭარელი, რაჭველი, მესხი...
მე იმდენი ვარ, ხან თავბრუც მესხმის!
მაგრამ... მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია – ქართველი!
მე ვარ მოხვეე, ვარ ლეჩხუმელი,
მუდამ თბილი მაქვს ჩემი ლუმელი
ზამთარში, როცა სტუმარს ველი და
ზაფხულში ვხვდები ტალავერთა!
რა მაქვს სააჯო ან დასამალი –
მე ვარ ქართლელი – გულით ალალი,
არ ვარ მშიშარა, უკანდამხევი,
რადგან ეს მე ვარ – მტკიცე კახელი!
მე ვარ ლაზი და... ისევ ის მესხი,
მე იმდენი ვარ, ხან თავბრუც მესხმის...
და, ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეთი,
მათი ხელდასხმით, ლოცვა-კურთხევით:
–
მუდამ მინთია ერთი სანთელი,
ერთი სახელი მქვია – ქართველი!

ჩემო შერისხულო სამეგრელოვ!

ტიტე მოსიას

ჩემო გათელილო სამეგრელოვ,
ჩემო სანუხარო და ნაღველო,
მარადიულ სანთლად სანთებელო,
ტკივილიან ლექსად დასამღერო!

ეს რა ჟოლოსფერად დაინამა
შენი თოლიგე და... ვაი, ნანა!

ჩემო შერისხულო სამეგრელოვ,
როდის მოგიჩივებ ნაგესლარი...
ცოცხლადვე ტუჩ-პირი ამეკეროს,
თუ შენი ველარ ვთქვი საკვნესარი!

ეს რა ჭიაფერად დაინამა
შენი შურიგე და... ვაი, ნანა!

გეგონა, ქვეყნისთვის გაისარჯე,
სისხლად მერამდენედ დაიხარჯე;
ერთგულებისათვის დაისაჯე!
მწარე სიმართლისთვის დაისაჯე!

ეს რა მდულარებით დაინამა
შენი ნანაგე და... ვაი, ნანა!

კვლავ მოლურჯდებიან აქ იები...
შეხედავ შეცდომილთ სიბრალულით;
დღეს ზურგმიქცეულნი ლაქიები –
ხვალ მობრუნდებიან სინანულით!

ირგვლივ მწუხარებამ დაივანა
და... ძილშიც ჩამესმის – ვაი, ნანა!

1992 წ.

ჭარმაგი პოეტის მწუხრული ფიქრი

ჩემთვის აღარ მიზრუნია წამით,
არად მიჩნდა სასახლე თუ სორო...
მე შევწირე პოეზიას თავი,
ასე ახლა ორიოდ თუ ცხოვრობს!

მეც ვატარებ ამ სანუთროს დამლას,
მეც ვწურავდი თავგიდელა ნისლებს...
ახლა ჩავსდევ წუთისოფლის დაღმართს
და გაღმიდან უბგერო ხმებს ვისმენ.

იდუმალით მეც ვიყავი მთვრალი...
მაპატიეთ, შვილებო და ცოლო! –
მე შევწირე პოეზიას თავი,
ასე ალბათ ორიოდ თუ ცხოვრობს!

2005 წ.



„ჩემი ფესვები... უნრობელია და უნძობელი“

(შემოკლებული ვარიანტი)

ადამიანის ცხოვრება, შემოსაზღვრული დაბადებითა და სიკვდილით, საბოლოო ჯამში ზეციური ძალის (ღვთის), ბუნების (გარე სამყაროს) და საკუთარი თავის („მე“-ს) შემეცნებისთვის უწყვეტი ბრძოლაა. ამ შემეცნების ხარისხით განისაზღვრება მისი არსებობის ღირებულება, ხშირად ბედისწერად რომ მოვიხსენიებთ. სინამდვილეში ადამიანის ცხოვრება ამ სოციალური და ინდივიდუალური არსების მიერ საკუთარი ბუნების წიაღიდან გამომდინარე გამონწვევათა გადაჭრისთვის ზრუნვაა.

ამ დიადი სამების (ღვთის, სამყაროს და „მე“-ს) შეცნობისკენ ადამიანის ლტოლვას, როგორც გ. ქიქოძე განმარტავს, „ჩვენი სულიერ ყოფნას სხვა უაღრესი საძირკველი უდევს, ვიდრე უტილიტარული ანონ-დანონვა სარგებლიანობისა და სიამოვნებისა“. მაშასადამე, ბალავარი ჩვენი ყოფისა ჩაკირულია ჩვენივე ბუნების ძალმოსილებაში. მის დუღაბს წარმოადგენს პიროვნული ტანჯვის ტრაგიკულობა და ღირსების სიდიადე, რაშიც წვდომა, პირველ რიგში, ქვეშარიტი პოეტური ნიჭის ძალითაა შესაძლებელი, ვინაიდან, ერთიც და მეორეც, ჩვენი არსების (ცხოვრებისეული ღირებულებების) სასინჯი ქვაკუთხედაა. „ტანჯვა და ტრაგიკული სიკვდილი უბრუნებს ადამიანს წართმეულ ღირსებას, გვარიგებს მის ნაკლოვანებებთან და ნათელს ფენს მის საუკეთესო მხარეებს. ტრაგიკული განსაცდელი უდიდესი და უტყუარი სასინჯია პიროვნების ავკარგიანობის, მის სიმხდალისა და სულმოკლეობისა ან მისი გამირობისა, სულდიდობისა“ (გ.ქიქოძე, წერილები ესსეები, ნარკვევები, გვ. 60,61, თბ., 1985 წ.). ალბათ ამ გაგებით აიგივებდა ადამიანი ოდითგანვე ცხოვრებასა და ბრძოლას. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ადამიანობის ისტორია არის გამირობა გამოჩენილი ღმერთთან, ბუნებასთან და თავისთავთან ბრძოლაში“ (კ.გამსახურდია, „გოეთეს ცხოვრების რომანი“, გვ.290, თბ., 1993წ.). იქვე, წიგნის ბოლოსიტყვაობაში ამ მოსაზრებაზე ასეთ კო-

მენტარს აკეთებს რედაქტორი: „ამრიგად, სიცოცხლის აზრად მიჩნეულია გამირობა“.

ზემოთ მოხმობილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, თამამად



შეიძლება ითქვას: ადამიანთა ცხოვრების ბუნებაში წვდომა რომ შევძლოთ, აუცილებელია ვწვდეთ „ხალხის იდეალური გონითი სულის ადგილსამყოფელს“, ე.ი. შევძლოთ ისტორიული რეალობის, ტრადიციათა და ზნეჩვეულებათა ფსიქოკულტურული წყობისა და „აზრის უტყვე ჩვეულებათა“ (ფუკო) აზრში მდუმარე არსის გახსნა. ე.ი. იმაში წვდომა, რაც მეტყველების სიღრმეშია მოცემული. ეს კი უპირველესად პოეტური ნიჭითაა შესაძლებელი. პოეზიასა და მუსიკაშია დაუნჯებული ის მარადუშრეტი ენერგია, რომელიც ჩვენში აღვიძებს ღვთიური არსის მოცემულობას. ასეთ, ერის „იდეალური გონში“ მწვდომ პოეტად გვეგულებოდა და გვეგულება **ზაურ მოლაშხია**.

* * *

ზაურ მოლაშხიას პიროვნულ „მე“-ში ერთმანეთთან შერწყმული იყო პოეზიის ღვთაებრივი (ზეციური) ენერგია და კაცურკაცობის ბუნებრივი (მინიერი) იდეალი. ეს ღვთიური დუალიზმი იმანენტურად იყო მოცემული პოეტის არსებაში და განცდის პროცესში გასხივოსნდებიან მის პოეტურ შემოქმედებაში. ეს დუალიზმი განსაზღვრავს მისი პოეტური შემოქმედების ბუნებას.

ამდენად, პოეტის პიროვნული – შინაგანი ღირსება (innerer wert), მუზასთან შეპირობებული, იმპულსურად ქმნის მისი პოეზიის (განსაკუთრებით ლირიკის) საზრისმომცველობას და, პირიქით, პოეტის შემოქმედებაში მთელი სიცხადით აირეკლება მისი პიროვნული

ბედსანიერა (რაგვარობა, თვისება, ხასიათი), ცხოვრებისეული ყოველდღიურობის (არანატურალისტური) მამოძრავებელი მიზეზები, მისი ავი და კარგი; ბედნიერების განცდის ზეამაღლებულობა თუ ბედისწერის სიმუხთლე და ტრაგიზმი.

პოეტი თვითონვე ეძიებდა თავის თავში ამ დუალიზმის უპირობო მოცემულობას. ის დაბეჯითებით ამბობს: „ჩემ გარდა ჩემში ვიღაცა ცხოვრობს“ (ზაურ მოლაშხია, რჩეული, ჩემ გარდა..., თბ., 2012 წ.). ხოლო ამ ორეულის არსში, ლექსის ეპიგრაფშივე, ანგელუს სილვზიუსის სიტყვებით გვახედებს: „ორი კაცია ჩემში: ერთი ღვთისდარად იღვწის, მეორეს ის სწავს, რაიც სოფელს, ემშაკს და სიკვდილს“. ამ გონჭკრეტიტ სწრაფვაში ვლინდება მისი ზნეობრივი ფილოსოფია, გონებისმიერი შემეცნება – სწვდეს ხალხის იდუმალ სულს, აზრის იდუმალ გამოვლინებას. ეს მარად განახლებადი, გადაუჭრელი პრობლემაა, ამიტომაც იტყვის პოეტი ალაღად, მისი ხასიათის შესაბამისად: „იმ „სხვამ“ იფიქროს აწი რაც უნდა!“. ის წუხს, რომ ბევრი იმედგაცრუება იგემა საკუთარი ჯიშისა და ჯილაგის სულის იდუმალი დანაწესის ძიებაში: „ვეცადე, მაინც ვარ უცოდნელი... ჩემი ცხოვრება ჩემში დაცურდა – ჩემი სიკეთით, განცდით, ცოდვებით!“ ასეთია მისიეული გონებისანვდომი სამყაროს ხედვა, რომელიც ძალზე ხშირად უიმედობის ზღურბლთან ჩერდება, მისი უპირობო კეთილი ბრძნობა არასდროს გადადის ცუდბრძნობაში. ასე ვლინდება მის ლირიკაში პოეტური ეთიკა და პასუხისმგებლობის უპირობო მოთხოვნა. შესაბამისად, პოეტის (შემეცნებითი) ენერგია იწყებს აღმავლობას, მისი ენა – სიტყვა, კიდევ იქცევა „სულის იარაღად“ და იღება მარადისობის კარიბჭე. „არ შეიძლება არ ტიროდე ცოცხალთა გამო! გარდაცვლილებმა თავს უშველეს დიდი ხანია!“ მაგრამ, საბოლოოდ, გარდაუვალია „მონათესავე სულთა გალობა“ (იქვე, გვ.551).

* * *

ზაურ მოლაშხიას პოეტური გონი, უპირ-

ველესად, მიმართულია დასაბამიერიდან მომდინარე გენის უშრეტი ენერგიით აღვსებული ერის სულიერებისკენ, სამშობლო-ოდაბადესკენ. მისი პატრიოტიზმი გულწრფელია და უანგარო, რომელიც მთლიანად ეფუძნება ზნეობრივ კანონებს და ექვემდებარება ადამიანურ განსჯადობას.

ამიტომ მისი შემოქმედების უმთავრეს თავისებურებად მიგვაჩნია პოეტურ განცდათა სისრულე, მისი „სერიოზულობა“; უწყვეტი კავშირი მარადიულ ბუნებასთან, – დაუსაბამო და დაუსრულებელ დროსა და სივრცესთან; ეს კი არის ის, რაც მის პოეზიას „ახლებური რომანტიზმის“ სულით ალავსებს.

პოეტი, პატრიოტული გრძნობის გულწრფელობით, ისტორიული წარსულის საამაყო ფურცლების გადაფურცვლითა და მათი პოეტურად გააზრებით, სარწმუნოებრივი (რელიგიური) გრძნობებისადმი მოკრძალებული მიმართებით, სულიერი და ხორციელი სიყვარულის იდეალისტური განცდის მეშვეობით ახერხებს ცხოვრებისეულ (ადამიანურ) სიყვარულში ჩანთქმას, ეს კი მის პოეზიას აძლევს რომანტიულობის ზეაღმტაც სულიერებას და ხდის სათნოებამოსილად (tugend haft).

პოეტი ზეციერისა და მიწიერის, პირველის, როგორც ამაღლებულის, სულიერად ზეაღმტაცის, სამყაროს სრულყოფილების მეტაგანცდისა და, მეორის – ამქვეყნიური, ხორციელი ადამიანიმს სიყვარულისა და სიხარულის, სიძულვილისა და უბედურების – ტრაგიკულობის, გონებისმიერი შემეცნებით აღწევს მხატვრული და ფილოსოფიური (მსოფლმხედველობრივი) აზროვნების სინთეზს. შესაბამისად, პოეტური მგრძნობელობის მეშვეობით, მისი ინტელიგიბელური¹ სამყარო ჰუმანური იდეების უშრეტ წყაროდ წარმოჩინდება. მაშასადამე, პოეტს ამ სინთეზით პოეზიის ცისიერი სულის ნათება მიწაზე ჩამოჰყავს და იღვწვის მისადმი „წმინდა პატივისცემის“ (reine Achtung) მისაგებებლად. მისი ამ მისწრაფების ბუნებრიობის დასტურად გამოგვადგებოდა გენიალური გოეთეს პოეტური დასურათხატება ბუნების წესისა:

¹ გონებით სანვდომი

„წყალს მაგონებს სული, მინას რომ ევლინება, ციდან ჩამოსული, კვლავ ცას შეეფინება... ძირს ჩამოვა ისევ, წესი არი ღვთისა, წესი მარადიული...“¹ ასეთი მაღალი სტანდარტებით განიზომება ზაურ მოლაშხიას „მშვენიერი სულის“ პოეზია. მისი „ახალი რომანტიზმი“ იბადება „ძველი“ და „ახალი“ გენოკულტურული ერთობის ფონზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეის რეალური განხორციელებისთვის უშუალო ბრძოლაში. მასში „ფეოდალური რომანტიზმის“ სულიერება, რომელიც გადმოჰყვა სოციალისტურ იდეოლოგიას, ეროვნული თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლის პროცესში ძირეულად განიცდის მეტამორფოზას. წარსულის რომანტიზების ნაცვლად ხდება საუკუნეთა განმავლობაში ოცნებად ქცეული ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეის რეალური განხორციელებისთვის ბრძოლის რომანტიზება, მისთვის თანმდევი უკუპროცესების – ანტინაციონალურ-სოვეტოლოგიური რეაქციის ფონზე. „წინა პლანზე გამოდის ადამიანი, როგორც შემოქმედი, როგორც თავისუფლების იდეალის წყარო, როგორც „ადამიანის და ღმერთის ყოფიერებათა ურთიერთმოთავსებულობა გაცხადებული ქრისტეს მიერ“ (ჟ. „ახალი თარგმანები“, გვ.65, თბ., 1995 წ.). პოეტი უშუალოდ შეიგრძნობს ამ ურთიერთმოთავსებულობას, იმიტომაც იტყვის: „უსივრცობაშიც სივრცეს დავეძებ“-ო და „კოსმოლოგიურს ვხედავ ლირიკას, როცა განვიცდი – ვხედავ კიდევაც... არ ვიცი – ვინ მძულს, ვიცი – ვინ მიყვარს. სივრცე ცეცხლივით გულს მეკიდება!“ (რჩეული, გვ.622).

ასე გამოსჭვივის სივრცის უსასრულობაში პიროვნების ღმერთში და ღვთის პიროვნებაში მოთავსებულობა, ან იდეა „მაკროკოსმოსის მიკროკოსმოსში და მიკროკოსმოსის მაკროკოსმოსში ურთიერთმოთავსებისა“ (იქვე, გვ.66), აი, რას უნდა ვჭვრეტდეთ პოეტის კოსმოლოგიურ ლი-

რიკაში. მასში წარსულის იდეალიზებული რომანტიკა კი არა, არამედ ტრანსფორმირებადი მომავლის პოტენციური შესაძლებლობებია გააზრებული. აქ სრულებით უარყოფილია სიძულვილი: „არ ვიცი ვინ მძულს...“ მომავლის ყოფიერება ყოველ ასპექტში, ყოველ მის შემოსაზღვრულ გამოვლინებაში სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს: „არ ვიცი ვინ მძულს... ვიცი ვინც მიყვარს“. ასეთია მისი „ახალი რომანტიზმი“. ყოფიერება მისი ანმყოფი და მომავლითაა დანახული. პოზიტივისტური არსით არსებობა კი სიყვარულის ველშია მოქცეული, თავისუფლება მხოლოდ ამ ველშია განხორციელებადი, მაგრამ ადამიანის ორგანული ენერგია, რომელიც გარდაისახება მის მენტალობად, მუდმივ ცვალებადობას განიცდის, არა სწორხაზობრივად, არა დაბლიდან მაღლისკენ, არამედ ზიგზაგობრივად და ვერაფრით ვერ სწვდება სიყვარულით ნასათუთარ აბსოლუტური თავისუფლების ველს; ამიტომაც ცეცხლივით ეკიდება პოეტის გულს სივრცის უსასრულობა. ამ შემთხვევაში მორალურ ღირებულებათა თვალსაზრისით პოეტი სწვდება „ქმედებათა იმ შინაგან პრინციპებს, რომლებიც ჩვენთვის უხილავია“ (კანტი).

* * *

ჩვენ მიერ „ახალ რომანტიზმად“ სახელდებული პოეტური შემეცნება, მოწყვლადი „ძველის“, იდეალიზებული არსის მიღმა, განხორციელებადი თავისუფლების შემეცნებისა და აღქმისკენაა მიმართული. ამ შემთხვევაში ამ ახალი რომანტიზმისთვის ნიადაგი შეამზადა ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ, მისი რეალურად განხორციელების პერსპექტივამ.

ზოგადად, მისი აღმძვრელი საფუძველი ჩაისახა და გამოიკვეთა ხალხის შემეცნებაში, როგორც კატეგორიული იმპერატივი, და დადასტურდა საყოველთაოდ ატაცებულ სიტყვა-თქმაში: „იბერია გაბრწყინდება“. ეს

¹ სხვათა შორის, ეს მარადიული წრებრუნვის იდეა, ასევე სულ წარმტაცად არის ამღერებული გ.სიჭინავას მეგრულ ლექსში „ენგური“.

ცნება თავისი არსით მთლიანად მიმართულია განახლების პერსპექტივისკენ. ე.ი. ოდესღაც ბრწყინვალე იბერიის ხელახლა გაბრწყინების ეს იდეა რომანტიკულია, მაგრამ ამასთან მთელი არსით მიმართულია რეალური მიზნისაკენ, მასში ისმის არა მარტო გარდასული ბრძოლების ყიფინა, არამედ მონოდებაა თავისუფლები-სათვის გარდასახდელი ბრძოლებისაკენ.

გონიერი, „ინტელექტუალური განცდებით“ დატვირთული ზაურ მოლაშხიას პოეტური ნიმუშები ამ რომანტიზმის სულითაა გაჯერებული. ის ვერ ეტყევა ჩვეულებრივი პატრიოტული თუ სოციალური (თუნდაც ფსიქოლოგიური) ლირიკის ჩარჩოებში; მათში განცდილია მთელი ჩვენი ნაციონალური არსება დროის სამივე განზომილებაში და აღვივებს პოეზიის რომანტიკულ ცეცხლს თავისთავად არსებული „ობიექტური“ თუ „სუბიექტური“ სინამდვილის გასათბობად.

ამდენად, ზაურ მოლაშხიას პოეზიაში პატრიოტული გრძნობის რეალური გამოხატვა ხდება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ჰეროიზაციის კონტექსტით. „ჰერალდიკური მეხსიერება ჟამიჟამ ანათებს ისტორიის წამებულ ცაზე ჩამქრალ ვარსკვლავთა ციურ მოლანდებებს“ (რჩეული, ფიქრთა ნაწყვეტი №2, გვ.553). ეს ციური მოლანდებები, თავისი მძლავრი ჰეროიკული სულიერებით ბადებს რომანტიკულ მუხტს, მაგრამ ამასთან ის მის კლასიკური გაგებისგან განსხვავებით მოზომილია. მის პოეზიაში პატრიოტული სულისკვეთების, ეროვნული და პიროვნული ღირსების შემეცნების კვალობაზე იკვეთება მაღალ ეთნო-ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ მგრძნობელობაზე ფესვებგადგმული იდეა თავისუფლებისა, ღირსეული მომავლისათვის ბრძოლისა.

* * *

ზაურ მოლაშხია დიდი დიაპაზონის პოეტიკაა. მას გარემომცველი სამყაროს, ცოცხალის თუ არაცოცხალის, ცხოვრებისეული ავისა და კარგის, ტრაგიკულის თუ კომიკურის, პოეტურად აღქმისა და გამოხატვის არაჩვეულებრივი, ნიჭი აქვს. მის ლექსებში, ეროვნული და სოციალური მოტივები წმინდა ღირსებითაა აღჭურ-

ვილი; და ჰეროიზმის სულითაა გამსჭვალული. ის ვერ გუობს მორჩილებისა და შემგუებლობის უმოდრაო ნიღბებს, პირველ რიგში, სულიერ კრიზისს, მით უმეტეს, სულიერ ოპორტუნიზმს, უღირსებო კოლაბორაციონალიზმის „კეთილ-გონიერებას“.

მის ყოველ სტრიქონში გამოკრთის მძლავრი პოეტური ტემპერამენტი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, მებრძოლი სულის ძახილი; პოლიტიკური სითამამე, რაც მთავარია, მის პოეზიაში ყოველი აზრის მატარებელი სიტყვა მიმართულია ადამიანის ზნეობრივი იდეალისკენ.

პოეტი თავის მოქმედებაში (შემოქმედებასა თუ ყოველდღიურობაში, მ.ზ.) ცხოვრების იდეით (უნდა) ხელმძღვანელობდეს – როგორც ამ სიტყვების ავტორს მიაჩნია – პირუტყვულად ვთვლით ისეთ ყოფაქვევას, რომელიც მომენტების მოთხოვნილებებს ვერ გასცილებია... ზნეობრივ პიროვნებას და ზნეობრივ იდეალს ვეძებთ ადამიანში!!.. (გ.ქიქოძე, იქვე, გვ. 89). ამ კონტექსტით, ზაურ მოლაშხია არ ეპუება უსულგულო ბიუროკრატიული ფორმალურობისგან გაბრუებული, მით უმეტეს, კაზუალური – განზოგადების უნარს მონყვეტილი – „ბრბოს“ ღრიანცელს.

შესაბამისად, ის ვერ გუობს ლიქნით აღსავსე მედროვეთა საზოგადოებას, პირველ რიგში, პოეტს – შემოქმედს, იმათ, ვინც მეფეს ნავეში ჩაუხტენ: მათზეა, რომ იტყვის: „იდგა მლიქვნელთა, პირმოთნეთა ჯოგი თუ რიგი“.

პოეტისთვის მომავალი საუკეთესო ნაწილია მისი სულისა, მასში ყოველთვის მოიძიება „განმასპეტაკებელი და აღმაფრთოვანებელი, უდიდესი ადამიანობის მატარებელი“ იდეალი. ამასთან მისთვის ჩვეულია დაუნდობელი სარკაზმი მათ მიმართ ვინც პირადი მოთხოვნილებების, ე.ი. სურვილთა ინსტინქტური ნდომის აღსრულების კმაყოფილებას ვერ ასცილებია. მათ არსს ერთი სიტყვით – თახსირი – ამონურავს; „ახლა რუსთველზე დადის გმირივით!... კვლავ ურცხვი მზერით დაყინჩაობს ძველი თახსირი!“ (გვ.551) ხოლო თავის დამოკიდებულობაზე სურვილთა აღსრულების შესაძლებლობის მიმართ ღრმა პოეტური ირონიით წერს „ისე ჩამიარა კმაყოფილებამ – არც შემომხედა, ალბათ არც კი შევენიშნეარ!“ (გვ.554). პოეტი

ვეო გუობს იმ კმაყოფილებას, რომელიც და-
ყინჩაობს რუსთველზე... მისი გზა სულ სხვა
მიმართულებით მიდის...

* * *

ამდენად, მისი პოეზია, მთელი მისი არსე-
ბა კონფლიქტში მოდის ზნეობრივად დაცემულ,
მორალურად გარყვნილ კაცუნათა ფსევდოსა-
ზოგადობასთან. ის ვერ ეგუება ვერც მათი
მასკულტურის ისედაც ყალბ აუდიტორიას და
ვერც ხელოვნურად შექმნილ ანტიკულტურულ
დასავლურ იმიჯს. პოეტისთვის მთელი ეს ღრი-
ანცელი შევარდნაძისეული მედასავლეობითო-
ბისა, ცრუდემოკრატიულ ნილაბმორგებულ
„წითელი ინტელიგენციისა“ მას სოციალურ
პათოლოგიად მიაჩნია.

ასეთი პათოლოგია შედეგია რუსულ-
საბჭოური სოცინტერნაციონალიზმის იდეით
გაჟღენთილი, კოლაბორაციონისტთა და, მათი
გავლენით, ეროვნულ-გამათავისუფლებელი
მოძრაობის ერთი საკმაოდ დიდი ნაწილის გა-
დაგვარებისა. ეს დასაწყისი იყო მომავალი კა-
ტასტროფისა, რომელიც დღემდე ანადგურებს
არა მარტო ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწი-
ფოებრიობას, არამედ თვით დამოუკიდებლო-
ბისა და ეროვნული თავისუფლების იდეასაც
კი. ამ კატასტროფის ჩუმად ატანა მისთვის
შეუძლებელი იყო და მეგობარ პოეტებთან
მცირე სუფრასთან მუსაიფშიც მისი გონება
ამ დიდი ღალატის გააზრებისკენა მიმართუ-
ლი: „თითქოსდა ვიდგეთ ქვეყნის ნაპირთან,
გულიდან ჯავრი აღარ გვეშვება“ (რჩეული,
გვ.555). ამ დიდ ჯავრს თავისი ავბედითი და-
საწყისი ჰქონდა.

პოეტისთვის „საქართველოს გოდების“
მიზეზი ისაა, რომ „... კვლავ გამყიდა იუდამ,
გულ-ღვიძლს ამომარიდებს, მტერს ლიქნობით
მიუტანს! ... სხვის ტაძარში ლოცულობს – ურ-
წმუნო და ორპირი...“ ის გრძნობს, რომ ეს დიდი
კატასტროფაა, ყველაზე დიდი მონაპოვრის –
ეროვნული თავისუფლების, დაკარგვის მაცნეა.
ამიტომ ჩივის პოეტი – „დრომა თავისუფლების
ან ვით ავაფრიალო-ო“.

ამ გულწრფელ მოთქმაში პოეტისა ისმის
ერის სულის ძახილი, გმინვა ბარათაშვილისე-
ბური, რომ შესძახებს: „განვედ ჩემგან, ჰოი

მაცდურო სულო ბოროტო!“ მისთვის ეს „მაც-
დური სული“ ძმის მკვლელი კაენის სულის აბო-
ბოქრებაა. გმინავს და მოთქვამს პოეტი: „ისევ
ერთურთს ხოცავენ, კვლავ ერთმანეთს კლავენ
და... ვინ დამწყევლა სიმრავლით დაუნდობელ
კაენტა!“ თუ იმავე ბარათაშვილის გენიალუ-
რი შეფასებით ვიხელმძღვანელებთ, ესენი
მტერთან მოთანამშრომლენი, გაუმაძღარნი,
გამგელებულნი, „ჭკუით ურწმუნო, გულით
უნდო, სულით მასხვრალნი“ არიან. მიუხედა-
ვად ამისა, პოეტს თავის ქვეყანასთან ერთად
მათი ბედიც ადარდებს: „ძმათა სისხლით მოს-
ვრილნი ანი როგორ ვლიანო... განვედ, სულო
კაენის, სულო ცოდვილიანო“. პოეტი ამ ლექ-
სის – „გოდებს საქართველო!“ – არა მარტო
დანერის წელს, არამედ კონკრეტულ დღესაც
„1991 წ. 27 დეკემბერი“ უთითებს – დღეს, რო-
ცა რევანშისტულმა პუტჩმა აპოგეას მიაღწია
და, სსრკ-ის ბოლო ამოსუნთქვის შემდეგ, ამ
მოღალატეთა ხროვამ შეძლო ახლადშობილი
რუსული იმპერიისთვის სანუკვარი საჩუქარი
შემზადებინა, საბოლოო შეტევაზე გადასული-
ყო დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი
ხელისუფლების დასამხობად.

მოღალატეთა „გამარჯვების“ ღრიან-
ცელის კვალობაზე მატულობს გულმხურ-
ვალე პატრიოტისა და ჰუმანისტი პოეტის
გულწრფელი მოთქმა, სამშობლოს ბედზე.
აპოგეას აღწევს მისი სულიერი განცდა ამ
ენით გამოუთქმელი **დიდი ღალატის** მიმართ.
მისთვის მთელი სამყარო შეინძრა, სივრცე არ
ჰყოფნის... ყველაფერი წავიდა, იმედები გაქრა;
ისინი მტკვრის ხიდთან ჩაცხრილული სახელი-
სუფლო ავტობუსთან და აღაიანში ჩახოცილ
პატრიოტებთან ერთად ჩაინაცრნენ. „დამოკ-
ლდა სივრცე – ავტორის მაცნე, ბინდბუნდად
ჩანან ნისლში ხედები... სად ჩაიხოცნენ, სად
ჩაიხოცნენ, სად ჩაისეტყვენ ის იმედები?!
(„დამოკლდა სივრცე...“ გვ.443, 1991წ.). შე-
საბამისად, ჩაქრა თბილისიც: „ჩაქრა თბილი-
სი... ყვინთავს ნკვარამში...“ (გვ.444) სულით
მსახვრალი „ამ ბნელი ღამით ეპარება ქარ-
თველი ქართველს, არაფრად აგდებს, – ძმას
სიცოცხლეს ადვილად ართმევს!“ დამდგარია
უსაშველობის ჟამი: „რა ეშველება უთავჟამო
ბნელსა და ქაოსს... დამსგავსებია საქართველო

ვრცელ სასაკლავოს!“ („ამ ბნელ ღამით...“, 444), რა თქმა უნდა, „გაუფასურდა, ყველაფერი გაუფასურდა! ... მტრის დანაქადნი, მტრის ნანატრი, ვაი, ასრულდა!... ნალალატევი, და-სისხლული ფეთქავს მთა-ბარი; ... ალბათ, გავა დრო, ურიცხველი, ალბათ, გავა დრო, მაგრამ ეს ჟამი თან გაგვეყვება, როგორც შერცხვენა!“ („გაუფასურდა“, გვ. 445). მაშასადამე, პოეტი განიცდის არა მარტო აწყობის შერცხვენის, არამედ მომავალსაც, რომელსაც ურიცხველი დროის მანძილზე თან გაჰყვება ეს დიდზე დიდი ღალატი. უბედურება ისაა, რომ „იგივე დროა ახლაც, სულის იგივე მწირობა“, ამიტომ ეს მგლისფერი საზოგადოება დღესვე ცდილობს მის გაქიქებას და დავიწყებას. ისინი უაზროდ და უსირცხვილოდ მსჯელობენ: ეს წარსულია! – ჩვენ აწყობზე უნდა ვიზრუნოთო. მათ არ უწყინან, რომ ის „წარსული“ თვითონ არ დაანებებს თავს, რადგან ამ დაუნდობელ აფთართა ხროვამ სიძულვილი გაამეფა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში მოპოვებული სულიერი ერთიანობისა და დიდი სიყვარულის სანაცვლოდ. „დაუნდობლობა მეფობს და სიძულვილი კაცთა... ისევ თავისას ყბედობს ეს მედროვეთა კასტა!“. ამ საშინელი პესიმიზმის ეპოქაშიც კი არ ტოვებს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღვსებული პოეტის მგრძობელობას ოპტიმიზმი. მას ალაღად აღმოხდება: „რალას გიშველის კვნესა, როს ხედავ ამდენ თაღლითს... თავზე გემხოზა ზეცა – შენი მამულის თალი!..“ („თავზე გემხოზა ზეცა...“, გვ. 445)¹

ამ ორ სტროფში სრულადაა მოცემული როგორც არსებული ვითარების შეფასება, ასევე მოწოდება ამ დიდი უბედურების წინააღმდეგ ბრძოლისკენ, ვინაიდან მას ოდენ კვნესითა და ცრემლისღვრით ვერაფერს უშველი.

„ჟამია მკაცრი და ჟამია მგლისფერი“ (443), მტერი, შინაგანი თუ გარეგანი დაუნდობელი და შეუნიანიებელი, შესაბამისად, „მეფობს ჯუნგლის კანონი“ და ერთგულებისთვის ისჯებიან ადამიანები.

ჯერ კიდევ პუტჩისტთა და ყაჩაღ-მხედ-

რიონელთა პირველი სადამსჯელო თარეშის ჟამს ის ხმამაღლა იტყვის: „ჩემო გათელილო სამეგრელო ... გეგონა ქვეყნისთვის გაისარჯე, სისხლად მერამდენედ დაიხარჯე! მწარე სიმართლისთვის დაისაჯე!“ (გვ.449) ამ მწარე სიმართლეს ეძღვნება რეკვიემი: „დღეს არ მესმის თბილად თქმული: – „თოლიგე“ და „ნანაგე“... გვიხოცავდნენ ძმებს და მოყვრებს... გეშანთეს შხამის შანთითა; შემოუძღვათ შავი მოყმე, შავ-გულა და შავითა!... სამეგრელო მგლოვიარე, ტკივილებით დამძიმდა! (448) მაგრამ პოეტს არ ტოვებს იმედის ძალი, „დრო კვლავ მოვა მოლოცვების, იფეთქებენ ფოლორცები!“ (452) ამისთვის კი აუცილებელია სიტყვა, – სიტყვა მებრძოლი და დაუშრეტელი... მართალი სიტყვა! – „გულიდან ტანჯვით გამონანური“. „რა რწმენა დამარხეს... რა შხამი მასვეს!“ მაგრამ რადგანაც პოეტად დაბადებულა, „ყველა სატკივარს ვანდობთ სტრიქონებს“ და ანდერძად უბარებს შთამომავლობას, გაისიგრძეგანონ სტრიქონებს განდობილი ეს სატკივარი და „შვილიშვილებმა ხელი მოხვიონ და თქვან: – ნანერი არის კაცური“ (483).

ფაქტია, ჩვენ ვერ შევწვდებით პოეტის მხატვრულ სამყაროს მთლიანობაში. ვერც მისი სულიერი განცდებისა თუ მგრძობელობის ბუნებით მონიჭებულ მრავალფეროვნებას; იმ ნათელს, რასაც თვითონვე შესთხოვს არსთა გამრიგეს: „ლექსო ნათელს ამოყვები“ და ვნებულმა „ლექსად ამოალაგე“-ო. ე. ი., გვინდა მის პოეზიაში ვეძიოთ ის იდუმალბრძობა, რა-ზედაც, როგორც თვითონ იტყვის „პოეტს, მწერალს თუ ხელოვანს, მჯერა, – სხვაზე მეტად პასუხს მოსთხოვს ღმერთი!“ (467). პირველ რიგში, ვეძიებთ მის პოეზიაში ჩასახლებულ იდეას ეროვნული თავისუფლებისა და პატრიოტიზმისა.

* * *

არსებობდა და არსებობს პოეტთა მთელი ჯგუფი, რომელნიც ლექსების წერას თამაშს ეძახიან. ისინი ეთამაშებიან რეალობას, სიტყვებს, გრძობებს (სხვისას), ადამიანურ სიკე-

¹ ზეცის თავზე დამხოვის პროცესი პერმანენტულად გრძელდება, ვინაიდან „საჭე უპყრიათ ხელსისხლიანებს“ და მათ სულიერ შთამომავლებს: „დღეს ვინ არ არის პარლამენტში!“ (454).

თესა და სიყვარულს. ... თვით ღირსებასაც კი, მაგრამ, როგორც ზაური იტყვის, ქვეყნის ქვე- გამხედვართა და დამაქცევართა მიმართ: „ერში როდი ჩათვლილა ქვეყნის მაყივნებელი“. ასევე პოეტებად (შემოქმედებად) როდის ჩათვლილან „მოთამაშეთა“ ეს მოდგმა, რომელთაც, რუს-თაველის თქმისა არ იყოს, „დაუნყოს ლექსმან ლევა“ და „თუ სადმე თქვას ერთი, ორი, თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი“. მათ მსგავსებაზე იტყვის პოეტი: „თქვენ შნოს და მარიფათს ვერ დაემდურებით, დუმილის (sic რითმათა თამაშით, მ.ზ.)¹ სანაცვლოდ: ჯილდო – პრემიები“ (456).

ზაურ მოლაშხია „სერიოზული პოე-ტია“, ის ამ „რითმით მოთამაშეთა“ რისხვას; მათი, ვინც „... ლლიცინ-ჩარჩობით რომ დაიმკვიდრეს მგოსნის დიდება...“ (460) ამ შემთხვევაში, სტრიქონებს შუა ის თითქოს იმეორებს ვაჟას მიერ რისხვით თქმულს: „განყდეს ამათი თოხუმი“-ო. ამიტომ თა-მამად შეიძლება მისი პოეზია შევაფასოთ ვაჟასავე გენიალური მოსაზრებით, რომ დიდი შემოქმედება „სარკეა თავისი ერისა“.

ზაურ მოლაშხიას პოეზიის ამ სარკე-ში ჩახედვისას მთელი სისრულით დავინა-ხავთ არა მარტო ჩვენს სახებას, არამედ მკითხველი შეიგრძნობს თავის სულს, მის გენეალოგიურ წარმომავლობას, განფე-ნილს ადამიანური ბუნების ზენარობაში, **თავისუფლებისკენ მისწრაფების არსს, რომ თავისუფალი მაშინ ხარ, როცა ქვეყნის ყველა გასაჭირი თუ გასახარი შენი საქმეა, მასზე ზრუნვა ხელგწიფება და არა მაშინ, როცა მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისთვის იღვნი.**

* * *

ჩვენ, ჩვევლებრივი ადამიანები ხში-რად მივმართავთ გენიალურ პიროვნება-თა მდგრად, ტკივილითა თუ სიამოვნებით აღვსებულ ნააზრევებსა თუ ყოველდღი-ურობაში ნაუცბათევად გადმოსროლილ სესტენციებს, სიტყვა-თქმებს, რათა სრულ-

ყოფილად გამოვხატოთ საკუთარი სათქმე-ლი თუ სხვათა ნააზრევის რეალური არსი. ამით ვცდილობთ, დავადასტუროთ ჩვენს სუბიექტურ შეხედულებათა (წარმოდგენა-თა) სამართლიანობა (ნამდვილობა). ასეთი მიდგომა ორმაგად გამართლებულია, რო-ცა ვმსჯელობთ შემოქმედ პიროვნებაზე, ხელოვნებაზე, მით უმეტეს, პოეტზე და პოეზიაზე. ამიტომ ზაურ მოლაშხიას პოე-ტური შემოქმედების ბუნების, მისი პიროვ-ნული „მე“-ს შეფასებისთვის ზედმინევენით მისადაგებულად მეჩვენება დიდი გენიის, – გოეთეს მიერ ნაუცბათევად (წერილში) წამოსროლილი განწყობითი დახასიათება საკუთარი თავისა. ის ერთ-ერთ წერილში მეგობარს სწერდა: „მეც ისევე სპეტაკი და წყნარი ვარ, როგორც ჰაერი“ და ამატებს: „ამიტომაც კეთილი და წყნარი ადამიანე-ბის სუნთქვა მეამო“, სწორედ ასეთი პი-როვნება ბრძანდებოდა ზაური, ოღონდ არა ბუნების სიდიადის განცდის გამო, როგორც დიდი გერმანელი, არამედ ეს იყო ბუნებით თანდაყოლილი თვისება პოეტისა, რომელ-საც მუდამ ეამებოდა მეგობრებთან, გოე-თესი არ იყოს, კეთილ და წყნარ ადამიანე-თან დინჯი მუსაიფი, მათი სუნთქვაც კი. ის მშობლიური ერის, ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა; მაგრამ უსამართლობასთან, მით უმეტეს, საერო საქმის ლალატთან შეჯახებისას, ეს წყნარი და სპეტაკი სული აბობოქრდებოდა და ქარიშხლად იქცეოდა. ეს ბობოქარი სული მრისხანე რითმებად გადმოიღვრებოდა მის პოეზიაში, რისი მა-გალითებიც საკმაოდ მოვიყვანეთ ზემოთ. მისი ასეთი მრისხანება განსაკუთრებით გახშირდა ჩვენს ისტორიაში აღნუსხნულ ლალატთა შორის ყველაზე დიდი ლალატის – „წითელი ინტელიგენციის“ ხელდასხმით მოწყობილი პუტჩის შემდეგ. ის გამუდმე-ბით აშხუილებდა თავის მართალი სიტყვის მათრახს დეგრადირებული საზოგადოების თავზე, მაგრამ ამასთან ერის ერთიანობის, მისი ღირსების და ზნეობრიობის დარაჯად იყო ქცეული. „ერი მუდამ ერთია – წამე-

¹ ეს არ უნდა აგვერიოს რითმის ამეტყველებაში, მითუმეტეს ამღერებაში.

ბულთა გულებით, ერი – ერთგულებია, არა – მოსყიდულები! (508).

ეს შედარებითი დახასიათება ზაურ მოლაშხიას ზეალმტაცი კაცური ბუნებრიობისა გოეთესვე ნაწილობრივ ზემოთ მოყვანილი პოეტური ნიმუშით უნდა დავასრულოთ: „წყალს მაგონებს სული, მინას რომ ევლინება, ციდან ჩამოსული, ... კვლავ ცას შეეფინება... ძირს ჩამოვა ისევ, წესი არის ღვთისა, წესი მარადიული.“ ზაურ მოლაშხიას პოეტური შემოქმედება, ღვთით მოვლენილი, ციდან მონიჭებული ნიჭის გამოვლინებაა. ის ცას შეერია ისევ, მაგრამ ღვთიური კანონის ძალმოსილებით ბუნების ზენარობაში განბანილი ეს პოეტური სული ისევ ჩამოვა მინაზე და დაიმკვიდრებს თავის ადგილს ერის სულიერ საგანძურში მისი „სული შემოქმედი“. ასე განხორციელდება მარადიულობაში მისი პოეტური სულის განფენილობა „... სულო შემოქმედო! ხარ წყლის დასადარი, ადამიანთა ბედო, მიგამსგავსე ქარი“ (გოეთე).

ჩვენ სასიქადულო პოეტი და კაცურ-

კაცი – ზაურ მოლაშხია ამ ღვთაებრივ კანონს ბუნებისას მთელი სისრულით განიცდის ლექსში „დრო აირეკლავს“:

„დრო აირეკლავს სიცოცხლეს შენსას, მიღმური სივრცე გადახსნის ფარდას...“

მას ალბათ

ცრემლად წასკდება კენესა – ვისაც აქ შენი ყოფნა უყვარდა!

აქაურ დროსთან მორჩები დავას, წუთისოფელთან როს გახვალ გარეთ...“

და, მკაცრად,

უკანმოუხედავად


გაიჯახუნებ საწუთროს კარებს!

დიახ, ზაურ მოლაშხიამ ამ დღევანდელ გაუსაძლის დროსთან კამათი დაასრულა, მაგრამ მისი ცადამადლებული პოეზია სამარადისოდ დაიმკვიდრებს ადგილს ეროვნული პოეზიის წიაღში. ჩვენ კი, ვისაც მისი აქ ყოფნა გვიყვარდა, მისი პოეზიის ხმა გვესმის, როგორც ხმა ერისა და დიდად მაღლიერნი ვრჩებით მისი.

მურმან ზაქარაია



„თითქოსდა ვიდგეთ ქვეყნის ნაპირთან“.



ბადლოვა ყვარას

მაშას სამყდამთ ვანსავენებლი მახათთ
საზოვადო მოღვაწეთო და მწერათო ახად
პანთომენში პოვა... ბადლოვა იმ ხალხს (თავს
მეყოვეს სხელისა და ვვარუბის დაწერისგან,
რადგან არ მინდა მუქდობა და ვენბი
ვამომრჩის), ვისი თომონობითაც ყებმა საბაყთ
და არამბოლოდ ყებმა, სქარითვლო საბაყთ
მვრება - ზაყურ მოღამბხიამ სამყდამთ ზონა
მახათთ პანთომენში პოვა..

ყენ, მისი მვრებლი, ბადლოვას ვენ-
რავთი ყვადს იმ პატოვითვთ, რომელსაც
ზაყურ მოღამბხიამ მვრებობა ჰქვია... ბად-

ლოვას ვენბითი ყვრადს ყყრადღებითვთ
და თანავრდნობითვთ. ასევე დიდი ბად-
ლოვა მაშას სამეგობრო,სახლოვლო წერს,
ვენს სოყყვითი თყ სქმითი მაშას პატოვი მოავო.
ყვადმა მოვყყის ყენ, მის მვრებლს, წყადლოვა
იმისა, რომ ზაყურ მოღამბხიამ დატოვებყლი
სხელი და ყყმობა სყვთოდ მვრინახითი და
ისე ვოყხოვროთ, რომორყ მაშას იყადრება და
როყა ყენს წავადთ იმ ქვყნად, მვრბლოთ
მე და ყებმა მმეშმა მაშასთან აბაყად მოვდა
და თვარებში ყახედვა... დიდი ბადლოვა
ყვრადს ყყრადღებითვთ, თანავრდნობითვთ
და დაფაკებითვთ. ყვადმა მოვყყთ ჯან-
მრთოლოვა, დღეგრძელოვა და ჰედნიერება!

გვანცა მოლავსია



მკირეოდენი მოგონება

ზაური ოთხ და-ძმას შორის ყველაზე უმცროსი იყო (ჩემზე კი – რვა წლით). ამიტომ, როგორც ნაბოლარა, იგი განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიყვარულს იმსახურებდა. ბავშვობაში ზაური ძალიან ცელქი იყო. როცა რამეს დააშავებდა და ვითომ ძალიან გაბრაზებული მამა მის დასასჯელად გაიწვედა, იგი გაიქცეოდა და ოდასახლის ქვეშ შეძვრებოდა, რომელიც (იმ დროს ბევრი მეგრული ოდის მსგავსად) ერთი მეტრის სიმაღლის ბოძებზე იდგა. იქ იჯდა და ელოდა, სანამ მამას ბრაზი არ გაუვლიდა, არ მოეფერებოდა და დანაშაულს არ აპატიებდა.

ზაურისადმი განსაკუთრებული სიყვარული და ყურადღება იმითაც იყო გამოწვეული, რომ იგი 4-5 წლამდე საერთოდ ვერ ლაპარაკობდა. ყველა ვნუხდით და გვეგონა, რომ მუნჯი იქნებოდა, თუმცა ექიმები გვაიმედებდნენ – ბავშვს სმენა აქვს და ენასაც ამოიდგამსო.

ოჯახის წევრები დღის უმეტეს ნაწილს ე.წ. „კუხნაში“ ვატარებდით (სამეგრელოში კუხნას, ანუ სამზარეულოს ეძახდნენ მკირე ზომის შენობას რომელიც ოდასახლის გვერდით იდგა. აქ ხდებოდა შუაღმოსავლურ საჭმლის მომზადება, სუფრის გაშლა და სხვა ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა).

ერთ დღეს, როდესაც ბავშვები ამ „კუხნის“ გვერდით ვთამაშობდით და ზაურიც ჩვენ შორის დარბოდა, მოხდა ყველასთვის სასიხარულო ამბავი. უფროსმა დამ ნუნუმ, რომელიც იმ დროს 14-15 წლისა იყო და ხშირად ეხმარებოდა დედას საჭმლის მომზადებასა და ჩვენი ტანსაცმლის რეცხვაში, იმ დღესაც თურმე გაურეცხავს თავისი და ჩვენი ტანსაცმელი გასაშრობად გაუფენია მავთულზე, რომელიც გაჭიმული იყო „კუხნასა“ და ოდა სახლს შორის.

უცბად ჩვენი ყურადღება მიიქცია ზაურის აღტაცებულმა ყვირილმა: „ვავა ნუნუმენი, ნუნუმი კურთა ეფურე, ეფუ“, (ვავა ნუნუს, ნუნუს საცვალი ზევით კიდია, ზევით“). ამას იგი სიცილით და ხელის გამკვერით იმეორებდა. ჩვენს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი

არ ქონდა.

მან ამ დღიდან ლაპარაკი დაიწყო და სულ მალე ლაპარაკშიც გვაჯობა ყველას. ექვსი წლისამ სკოლაში დაიწყო სიარული, სახლში არ ჩერდებოდა და იძულებული გავხდით, რომ გვეტარებინა (იმ დროს ბავშვები შვიდი წლის ასაკში მიჰყავდათ სკოლაში).

ჩვენს სოფელში სკოლა რვანლიანი იყო. როცა რვანლელი დაამთავრა, დადგა მისი სწავლის გაგრძელების საკითხი. მშობლებს უნდოდათ, ზაურს სწავლა გაეგრძელებინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელშიც ვსწავლობდი მე და იყო ახლოს, მეზობელ სოფელში. მე კი წინააღმდეგი ვიყავი, ვინაიდან მასში ვხედავდი ნიჭს და ვფიქრობდი, რომ აუცილებელი იყო სწავლა გაეგრძელებინა საშუალო სკოლაში.

ბოლოს საოჯახო თათბირზე გადაწყდა – ზაურს სწავლა უნდა გაეგრძელებინა საშუალო სკოლაში, მაგრამ ჩვენი სახლიდან უახლოესი სკოლა დაახლოებით 12 კილომეტრზე იყო. ამიტომ საჭირო გახდა, სწავლა გაეგრძელებინა სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლაში, სადაც გათხოვილი იყო ჩვენი უფროსი და. სკოლაც მათი სახლიდან სამასიოდ მეტრის მოშორებით იყო.

ზაურმა სკოლაში სწავლისას უკვე გამოაჩინა თავისი მისწრაფება. მან პოეზიის რამდენიმე კონკურსში გაიმარჯვა კიდევ. ასევე, სკოლაში ყოფნისას, იყო დარჩელის ლიტერატურული წრის წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უდიდესი პიროვნება ანტონ არნანია, წევრები იყვნენ გიორგი სიჭინავა, ედემ კვიციანი და სხვები.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. აქედან მოყოლებული იგი პოეზიის ალში ინვოდა ზაური. თბილისისა და საქართველოს სიყვარულში დაიფერფლა და დღეს, იმავე სიყვარულით სამუდამოდ გულში ჩაიხუტა მახათას მთამ.

ბურამ მოლახია



პოეტი

ძმა ზაურ მოლაშხიას

ამ ცხოვრების მძიმე გზაზე
შენ ეს ტვირთი მხრებით ზიდე...
პოეტი ხომ არ მოკვდება,
დედამინა ბრუნავს ვიდრე.

იგი იწვის, იგი იღვწის,
იგი სულის მალამოა,
იგი არსად აღარ მიდის,
თუ წავიდა, კვლავაც მოვა.

იგი სულის მკურნალია,
თუა სულში რამე ხინჯი,
იგი მუდამ შენთან არის
და შენს იქით ველარ მიდის.

ლექსებსა თხზავს, ლელავს, შფოთავს...
განა ფიქრობთ, ადვილია?..
მისი ყველა სიტყვა-სტროფი
სიკეთისთვის გათვლილია.

2021წ.

გული მწარედ მტკივა

ძმა ზაურ მოლაშხიას

ქარია და ირხევიან რტოები,
ქარია და ცოტაოდენ ცივა.
მახათას მთამ მიიბარა პოეტი,
ვაი, ძმაო, გული მწარედ მტკივა.

წახვედი და მე დამტოვე ეულად,
ძირს დაეშვა ცად აჭრილი აფრა,
გაგიმეტა შენ კორონამ წყეულმა,
უხორცო, უღვთო ჯალათის მსგავსად.

შორით ტირიან დები, მეგობრები,
ცრემლით სველი აქვთ თავსასთუმალი.
მწარედ მოთქვამენ, როგორც ობლები,
სამეგრელო და აბასთუმანი.

რა მოკლე ყოფილა წუთისოფელი?..
ვინ უწყის, ღმერთს როდის მივებარებით?..
სულ გახსოვდა მამის დანაბარები:
არ შემარცხვინო...
იყავი მხნედ და...
შენ ამ ღირსებით იარე ქვეყნად.

დაგრჩა ბევრი ლექსი უთქმელი,
არქივი, ფურცლები ფერმიხდილი.
სხეულის გარეშე სიცოცხლეს მოველი,
ვერას დაგაკლებს უღვთო სიკვდილი.

ქარია და ირხევიან რტოები
ქარია და ცოტაოდენ ცივა.
მახათას მთამ მიიბარა პოეტი,
ვაი, ძმაო, გული მწარედ მტკივა.

გურამ მოლაშხია



ჩემი ფანჯარა – მინის წიაღ განტოტვილეზი – უზრობელია და უსმობელი!

ზაურ მოლაშხია

შედიშედი ნინო ძოლაშხია



შედიშედი



ნინო მოლაშხია

გამოღვიძება

თვალზე ბინდნაკრულს ფარდა ამეხსნა,
 ენა დამთუთქა ტკბილმა შარბათმა.
 თვალების სრესით, ბნედაცემული,
 ვუცქერ ცას, მინას ედემის სადარს.
 გონში ზარი რეკს, თვალთ მიბნელდება,
 მინა იპობა, უფსკრულს მიჰყვება
 წამს არ ასუნთქა, მსწრაფლ ჩაიტანა
 მძლავრი იყალთო, მტკიცე გელათი...
 თან მზითვად ჩააქვს ოხერს
 ჟამთასვლას სისხლით ნარწყავი ყაყაჩოები.
 ელდა მეცემა, ძალა მერთმევა,
 ცის კაბადონი თავზე მექცევა,
 თვალნი მიკვივის წარსულის სევდა,
 ომახიანი არდანებება.
 გული საგულეს აღარ ჩერდება,
 ვუყურებ, ვხედავ, ჩემს თვალნი ქრება:
 მცხეთა, ვარძია, დავითგარეჯი
 სისხლის ცრემლებით ანამენები.
 გამმაგებული, ძალლივით ვიჭერ,
 რაც კი რამ მხვდება, მინას თუ მეჩხერს.
 ქვესკნელი ზარობს, თამარი ტირის,
 ქალწული აქით აღარც კი გვიმზირს.
 ვიჭერ, არ ვუშვებ ხელით თუ პირით,
 არ მემეტება სამშობლო ძვირი.
 ძვლები მემსხვრევა, კბილი მეფშვნება,
 მუხლთ მეკვეთება, გარს მიბნელდება,
 სასუფევილიდან თვალცრემლიანი პატარა კახი არც იხედება.
 ვითა ლომს, არნივს, დაახრჩობს, მოსპობს, დააჩანაგებს მოყვასი მტრისგან
 ესრეთ მდაბლად აქვს თავი დახრილი ბუმბერაზ ბერ მგელს ცხვრის ლაშქრის წინათ.
 ამისი შემსწრე შევკრთი, გავშემდი,
 მე უბადრუკსა როგორ მეცქირა,
 ვკადრე – მეფეო რასა იქმთ – მეთქი,
 რაც თქვენ მყავითო მპასუხობს ცივად.
 საქართველოსთვის თავგანწირული, ეხვეწებოდა, ევედრებოდა,
 უღირსთ ფეხებში უვარდებოდა
 – ამ ერთხელ ეშვი, კბილით ნუ გაბრდღენი, უკანასკნელად მოგვეცი შანსი...
 პირი გამიშრა, მინა შეინძრა, ჯოჯოხეთიდან ხარხარი მესმა,
 გონზე მოსული მინას მივვარდი,
 გაშტერებული ვითომ ვიცავდი,
 ცხადად მეგონა რასმეს ვიზამდი...
 თუმცა კი შევცდი, ველარ შევძელი, თვალი მოვაველე გადამწვარ თბილისს,
 აღარც წარსული, არც მომავალი,
 ანწყოს იმედი თავად მოვკალი,
 ბინძურ ხელებში თუ კი რამ შემრჩა,
 სანყლად დავყარე, ვერცხლი ვერცხლს მიჰყვა.
 ტირილი ვცადა, ცრემლი დამიშრა,
 ღრიალის ნაცვლად ღმუილი დამცდა,
 გულისამრევედ ვლპები ვით ლეში,
 არც ცოცხლებში ვარ და აღარც მკვდრებში.
 თვალს და ხელს შუა ქრება ყოველი,
 ამქვეყნიური თუ ზეციერი,
 ნინ მეფინება აჩრდილთა ბუდე,
 უპატრონოთა, ცოდვილთა გუბე,
 უსიერ ტყეში, კუპრში და ცეცხლში
 მარადჟამ, უსრულ ვლპები და ვლდგები.
 12.2021წ.



გამოძახილი

ხელში მიჭირავს ნიგნი ძვირფასი,
წარსულის სევდა და მომავალი,
საქართველოში დაღვრილი ცრემლი,
ქართველი ერის გამოძახილი...
გვემა, გოდება, მოთქმა, კივილი,
ცას აწოლილი გულისტკივილი.
ცამდის აწვდილი ხელისგულები,
ზეცას შემეყურე მოიმედენი.
მუხლზე დამდგარი, ცრემლით დამშრალი,
განგმირულ გულთა შიშით ცახცახი,
დაქვრივებულთა უღევი სევდა...
დაობლებულთა სასწონარკვეთა...
მშიერთა, სუსტთა ხვენწა-მუდარა,
სიცოცხლის გმობა, სიკვდილის ხმობა.
ახლაც ჩამესმის მე მათი კვნესა,
სულ ცხადად ვხედავ ქართველთა სისხლში,
ორგული, ბილწი ჭინკების ცეკვას...
გადავშლი, ვფურცლავ, ცრემლებით ვობრავ,
წამების, ცრემლზე, სიკვდილზე მეტი
არაფერია მის შიგნით ახლა...
თუმცა კი შესდექ!
ვფიცავ ის მიმზერს!
ნაღველთა შორის ურყევად მიცქერს!
თვალს თვალში მიყრის,
ხმაღსდაყრდნობილი...
ქვეყნის სუნთქვისთვის თავგანწირული.
უღევი კაცი, ქალი თუ ბავშვი
გულს ნებით იგლეჯს მომავლისათვის,
ბევრიც ვაჟკაცი, კვლავ დასანანი
მოლაღატეთა სიხარბით მკვდარი.
უფალს შესცქერის ახალშობილი
ან უკვე მარად დადუმებული,
დედის ალერსში გაბრუებული,
დედის ცრემლებით დასველებული,
ათასწლეულის ტკივილად გვექცა

დაუბერებლად მიწადქცეულნი.
მუდმივმა მარცხმა ყორნად გვაქცია,
სულ მუდამ ლეშის მათხოვრად მყოფად,
იმ ღრმა წარსულში მხეცებს აფრთხობდა
ჩვენი ქართული შეუპოვრობა,
ქართველი კაცის დამარხულ ძვლებსაც
მტერი შიშისგან გვერდით უვლიდა.
რანი ვიყავით და რანი გავხდით,
სამარცხვინოა, სატირლია...
თვალახვეულნი, გაბრიყვებულნი,
ძველი დიდების ზურგსუკან ვცქმუტავთ.
ისე დავეცით, სული გავრყევინით
დღეს ქართველობა გვეთაკილება,
ღირსების თმობა, ერთურთის გმობა
წესად ვიქციეთ და ვაჟკცობად.
არ გვერიდება, აღარ გვრცხვენია
გარდაცვლილ გმირთა შეურაცხყოფა.
ან რისთვის მოკვდნენ, რატომ ეწამნენ
შევხედოთ ჩვენს თავს, ნუთუ მათ
ვღირვართ...
იროზგებოდნენ, ისე კვდებოდნენ ბევრის
სახელი კვლავ უცნობია,
გმირთა სიცოცხლე და თავგანწირვა,
დღეს უშედეგო მცდელობად იქცა...
კულტურა, ზნე და ჩვეულებანი
ფურცლებთან ერთად გახუნებულან,
დაცარიელდა გმირთა დარბაზი,
ქართველთა გული კვლავ შიშით ფეთქავს,
ადექით დღესაც, უწინდებურად,
იბრძოლეთ ქვეყნის გადასარჩენად!
.....
გადაცრეცილი წარსულის ზღურბლზე
კვლავ მოციმციმე მაღლი იღვრება,
სანთელი ბჟუტავს, ქაღალდი გვლოცავს,
ნუ შეშიდებით,
ღმერთი არს ჩვენთან.
7.01.2022



იყო უბრალო, როგორც უფალი...

(ზაურ მოლაშხიას მოსაგონრად)

ზაურ მოლაშხია ცოცხალი მგონია, ვერ გავითავისე მისი სიკვდილი... ეს ბოლო პერიოდი ფეხმოუცვლელად სამეგრელოში ვიმყოფები, იშვიათად ვსტუმრობ დედაქალაქს და მგონია, რომ ვინც მიყვარს და მენატრება, მეიმედება და მეგულძალისება, ყველანი კარგად და ჯანმრთელად არიან. ბატონი ზაურიც მთაწმინდაზე, თავის წიგნბუდიან კოხტა ბინაში, კოტე მესხის ქუჩაზე, მეგულება, ან რედაქციაში, ტაშკენტის 25- ში, ან რუსთაველზე მისეირნობს სულაც და იგონებს იმ დროს, „როცა ქარივით ვლიდნენ წუთები, მე კი მეგონა უბრალოდ ქროდა...“

არადა, ნავიდა ჩვენი უსაყვარლესი პოეტი, ღირსეული ადამიანი და მართალი მამულიშვილი, ნავიდა დიდ და დაუღვეველ სამყაროში, სადაც ნამებსა და წლებს არავინ გითვლის... ზაურ მოლაშხია მარადიულად დიდ ადამიანად დარჩება არა მხოლოდ ჩვენს მეხსიერებაში, არამედ ისტორიულ საზრისში, რადგან ის გახლდათ შემოქმედი, რომელსაც, მიუხედავად ღვთაებრივი ნიჭიერებისა თუ აღიარებისა, არასდროს დაუკარგავს უბრალოება, რომელიც შესავალი გახლავთ ღირსებისა... დიას, უბრალო იყო, როგორც უფალი... ჰო, არ შეკრთეთ, ნაუცბათევი და დაუფიქრებელი შედარება არ გეგონოთ, ის უბრალოებით აცამაღლებული და გაბრწყინებული პოეტი გახლდათ...

ზაურ მოლაშხია აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი იყო, სულხან-საბას აზრით, თავისუფლება მდგომარეობს ნადილთა და ვნებათა წინააღმდეგობის უნარში. ნადილთა და ვნებათა წინააღმდეგობა არჩევანის საფუძველზე ხდება. არჩევანი კი ნებისყოფის თავისუფალი მოქმედების საწყისი პრინციპია. არჩევანის საფუძველზე შესრულებული მოქმედება – ზნეობრივი მოცემულობის ანარეკლია. ბატონი ზაური თავისი

არჩევანითა და მოცემულობით მხატვრული აზროვნების უღალატო მსახური გახლდათ, სიტყვისა და ფიქრის ოსტატი.

მგონია, რომ სიცხადე, რომელშიც ჩვენ გვინევს არსებობა, დიდი სიზმარია, რომელიც ოდესღაც, წარმართული ჟამიდან ღმერთებს ესიზმრებოდათ, მერმის ყოველივე ეს – დიდი „სატანჯველი“, მაცხოვარმა იტვირთა საკუთარ თავზე, ჯვარზე ვნებით და ახლა მისი წარმოსახვისა თუ სიზმრისეული უსასრულობის გარშემო ვტრიალებთ ჩვენ-ჩვენი პატარა სიზმრებითა და საგონებელით. ესეც ჰიპერბოლაა, რალცნაირად ღრმა ჰიპერბოლა, ოლონდ სხვებისთვის, ჩემთვის კი – ჭეშმარიტება, სინამდვილე, სიმართლე, მოცემულობა... რა ვქნა, ასე მეფიქრება! მე მისტერიათა შეხლის ტყვე ვარ, საიდანაც გამოსვლა ალბათ სიკვდილით სრულდება.

ცხოვრებისეულ დრამაში დროდადრო იკვეთება ეპიზოდები, რომლებიც ცნობიერებაში მისტერიის ანასხლეტის სახით კრისტალდება და შიგა და შიგ პოეზიასა თუ სხვა ჟანრის მოცემულობებში პოეზებს განთხევადებას... ამიტომაც, ნებისმიერი შემოქმედი უჯრედულად გაბნეულია თავის ნაწერებში!.. დაუკვირდით ბატონი ზაურის შემოქმედებას, ნაიკითხეთ გულდასმით და ნახავთ, რომ ყველგან, ყოველ სიტყვასა თუ აბზაცში, ეს დიდებული შემოქმედი ილანდება სახარებისეული ხასიათითა და განწყობით, ხედვითა და დიაპაზონით...

ყოველთვის ვამბობ, რომ ავტორი დიდია თავის შემოქმედებაზე მეთქი, მრავალნი არ მეთანხმებიან, მოჰყავთ საპირწონედ სხვადასხვა მაგალითი, არცთუ უსაფუძვლონი, მაგრამ მე ჩემს აზრზე მყარად ვდგავარ და ვამბობ: რუსთველი – „ვეფხისტყაოსანზე“ დიდია, დანტე



ალიგიერი – „ღვთაებრივ კომედიაზე“, ჯოისი – „ულისეზე“, დოსტოევსკი – ყველა რომანზე, ფოლკენერი – ხმაურსა მძვინვარებაზე, გამსახურდია – „მთვარის მოტაცებაზე“, ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნებზე“, ბარათაშვილი – „მერანზე“, გალაკტიონი – მთელ თავის შემოქმედებაზე... და უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს ჩამოთვლა. ამ გაღმერთკაცებულების ხელით საკაცობრიო სიხარულსა თუ ტკივილს მხატვრული დიდოსტატობითა და ესთეტიკური სისათუთით თავად ღმერთი გადმოსცემდა...

ასეა, ზაურ მოლაშხია ბევრად დიდი ბრძანდებოდა ყველა თავის ლექსსა თუ ნაგულსიტყვეზე. მისი კალმით უფალი ღაღადებდა „საყურებოდ ამა სოფლის“...

ცალკე საუბრის თემაა მისი, როგორც რედაქტორისა და გამომცემლის – საქმიანობა. ამ მიმართულებითაც ყოველმხრივ დახვეწილი და პირნათელი გახლდათ. მისი ჰო ჰო იყო, არა კიდეც – არა! ზაურ მოლაშხია სულიერად განწმენდილი იყო იმ ცხოვრებით, რომლითაც იცხოვრა და იღვანა, ამიტომ „სიმაართლით ნათელი“ წარსდგებოდა უფლის წინაშე!

როცა რუხის ციხეს ჩაუვლი, მაშინათვე დიდი ისტორიკოსი შოთა მესხია და მისი საყვარელი სტუდენტი ბატონი ზაური გამახსენდება, თავისი დიდებული სამეცნიერო ნარკვევით ამ ისტორიულად მნიშვნელოვან ციხეზე და იმ ურთულეს ეპოქაზე, რომლის მაღალოსტატურად აღწერა ადვილად შეიძლო ჯერ კიდეც სტუდენტმა, ნიჭიერებით მოპირთავებულმა ზაურ მოლაშხიამ. ვინ იცის, ამ გზით წასული პოეტი რა მწვერვალებსაც დაიპყრობდა, მაგრამ ის ბოლომდე ერთგული დარჩა მისი აღმატებულება პოეზიისა და საფლავში ჩაიყოლა „ჰანგი უსასოო, სიტყვა ღვთაებრივი...“

რადგან საფლავი ვახსენეთ, არ შემიძლია მისი დასაფლავების სანუხილო მომენტსაც არ შევეხო. ბატონი ზაურისთვის, ამ უცამაღლესი მწერლისა და მოღვაწისთვის, მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საფლავის გამოყოფის მონინაღმდეგეებიც გამოჩნდნენ. თანაც, ჩემდა გასაკვირად, ისეთი ადამიანები, რომლებიც წიგნიერებასთან, ახლო მდგომეზად წარმომედგინა, მაგრამ პირიქით კი გამოდგა. ეს სკამებს მიჯაჭვული მღილები, რომელთა გაპირქულ გამოხედვებში უცოდინრობის

მზერა ბნელობს, ზაურ მოლაშხიას არ მიიჩნევენ „საპანთეონე შემოქმედად“, მაგრამ როცა, რომ იტყვიან აფუბრიალეთ ბანზე ცეცხლი და სახურავზე – ქარბორბალა, შეფუცხუნდნენ, ინებეს დახშული გონების გამონათება და გაკეთდა საჭირო საქმე; ბატონი ზაური მიეზარა იმ მიწას, იმ სამყოფლოს, სადაც მისი ადგილი იყო, სადაც რჩეულნი განისვენებენ. ამისთვის კი დიდი მადლობა საქართველოს მწერალთა კავშირს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, ბატონებს რევაზ მიშველაძეს, სოსო სიგუას და ყველას, ვინაც არ დაიზარა მართალი სიტყვის შეწევნა და გულისხმიერება. განსაკუთრებული მადლობა ოთარ (სპილო) ჭითანავას, ამ უკეთილეს და კეთილმოსაგრე ქართველს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად!

ვიგონებ და ვეფერები ჩვენს უსაყვარლეს ზაურ მოლაშხიას, რომლისთვისაც უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სულიერი და ეგზისტენციური თავისუფლების პოეტურ განცდას, რომელსაც ესაფუძვლებოდა ღრმა აზროვნებისა და მაღალოსტატურად გამოხატვის ადამიანური შესაძლებლობა.

ნათელი დაგადგეს ძვირფასო ადამიანო, უფროსო კოლეგავ და მეგობარო!..

ბედნიერი კაცი ბრძანდები, რადგან ყველას, ვისთანაც ცოტაოდენი შეხება გქონია, ენანები და ეტკივილები. შენი ლექსები ციცხლობენ და ზეკარობენ, მარადისობენ და მზეკაბანობენ... ამაზე დიდი ბედნიერება განა არსებობს შემოქმედისთვის?!

ჰოდა, განისვენე მშვიდად – პოეტის მისია შესრულებულია!..

**„ტაშკენტის №25“-ის სახელით
სიყვარულითა და მონატრებით
ლავა გვასალია**



კაცი, რომელსაც სიბუღკელი არ შექვლო



გ ა ს უ ლ ი
საუკუნის 50-იან
წლებში დარჩელ-
ში (ზუგდიდის
რაიონი) ქარ-
თული ლიტერა-
ტურის მასწავ-
ლებლის, ანტონ
არნანის თაოს-
ნობით შეიქმნა

ლიტერატურის მოყვარულთა წრე. ამ გაერ-
თიანების წევრები ძირითადად ადგილობრივი
საშუალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ, თუმცა
მასში ასაკოვანი ადამიანებიც მონაწილეობ-
დნენ. მოზრდილთა შორის იყვნენ სახალხო
მთქმელები, მელექსენი, მეზლაპრენი და ა.შ.
ლიტერატურული წრის მეცადინეობა იმარ-
თებოდა თვეში ერთხელ, ყოველი თვის ბოლო
ორშაბათს, სოფლის ბიბლიოთეკის დარბაზ-
ში. ორშაბათს ბიბლიოთეკას დასვენების დღე
ჰქონდა და წრის მეცადინეობისათვის სწორედ
ეს დღე იქნა შერჩეული, რომ ბიბლიოთეკას
თავის საქმიანობაში ხელი არ შეშლოდა.

წრის ხელმძღვანელი, ბატონი ანტონ
არნანი, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა,
ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. ის
საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო და მისი ლექ-
სები ხშირად იბეჭდებოდა როგორც რაიონულ,
ასევე რესპუბლიკურ პრესაში.

მეორე მსოფლიო ომი, რომელსაც ჩვენ
სამამულო ომს ვეძახდით, ახალი დამთავრებუ-
ლი იყო. ქვეყანას ჯერაც არ ჰქონდა მოშუშე-
ბული ის სულიერი და ფიზიკური ჭრილობები,
რაც ამ საშინელმა ომმა მიაყენა. მოსახლეო-
ბაში ჯერაც არ ჩამკვდარიყო ფარული იმედი
შინმოუსვლელთა დაბრუნებისა. განსაკუთრე-
ბით უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დაბრუნების
იმედებს არ კარგავდნენ მომლოდინე ოჯახები.

ანტონ არნანი ამ ომის მონაწილე იყო.
მას საკმაოდ მძიმე და საინტერესო ბიოგრაფია
ჰქონდა. იბრძოდა ქერჩის მიდამოებში, დაჭ-
რილი ტყვედ ჩავარდა, რამდენიმე თვე საკონ-

ცენტრაციო ბანაკში გაატარა, მერე გაქცევა
მოახერხა და შეუერთდა ჩეხ პარტიზანებს...

ლიტერატურული წრის დაარსებამ დიდი
ინტერესი გამოიწვია სოფელში და ამ მოვლენის
შესახებ ინფორმაციული ხასიათის წერილი და-
იბეჭდა რაიონულ გაზეთ „მებრძოლში“. ამ ინ-
ფორმაციის გამოქვეყნებას მოჰყვა ის, რომ ...

ოქტომბრის თვის ბოლო ორშაბათი იყო.
დღის 3 საათზე უნდა შემდგარიყო ლიტერა-
ტურული წრის მორიგი მეცადინეობა. ბავშვე-
ბი და მოზრდილები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ
ბიბლიოთეკის შენობის წინ.

მახსოვს, მზიანი დღე იყო. ჭადრის ქვეშ
გრძელ სკამზე ვიჯექი და ველაპარაკებოდი
ვილაცას (ვერ გავიხსენე, ვის). ამ დროს მორი-
დებით მოგვიახლოვდა ერთი ლამაზი, თმახუ-
ჭუჭა, ცისფერთვალე ბიჭი, რომელიც, ასე,
10-12 წლის თუ იქნებოდა. მაშინვე მივხვდი,
რომ აქაური არ იყო; არასდროს მინახავს არც
სკოლაში, არც სოფლის ცენტრში.

მოვიდა და იკითხა, ლიტერატურის წრის
მეცადინეობა სად შედგებოდა. მე ბიბლიოთეკის
შენობისკენ მივუთითე, რომელიც ჯერაც და-
კეტილი იყო.

– მოდი, ჩამოჯექი. მეც იქ მივდივარ, –
ვუთხარი მე. ბიჭი გვერდით მომიჯდა. ერთმა-
ნეთი გავიცანით. მითხრა, ზაურ მოლაშხია ვა-
რო, სოფელ ოქტომბრიდან ჩამოსულა, თურმე
იქ სწავლობს, იქაურ საშუალო სკოლაში.

ოქტომბერიდან დარჩელამდე ათი კილო-
მეტრია, შეიძლება ცოტა მეტიც. ამ სოფლებს
შორის არავითარი ტრანსპორტი არ მოძრაობს.
ფეხით ჩამოსულა და დაღლილი ჩანს.

ცოტათი შევფიქრიანდი: ლიტერატუ-
რული წრის მეცადინეობა ზოგჯერ დიდხანს
გრძელდება და შეიძლება შეაგვიანდეს, ალბათ
ვინმე ნათესავი ეყოლება-მეთქი.

– ათი კილომეტრი აქეთ და იქით... გი-
ღირს ოცი კილომეტრის გავლა ორიოდე ლექ-
სის წასაკითხად? – ვეკითხები მე.

– რატომაც არა! – მითხრა მან. – ჩემსას
წავიკითხავ და სხვებსაც მოუხსენ...

როგორც იქნა, ბიბლიოთეკის კარი გააღეს და შიგ შევედით. წრის მეცადინეობა ანტონ მასწავლებელს მიჰყავდა. სანამ ღონისძიება დაიწყებოდა, ანტონთან მივედი და ამ უცნობი ბიჭის შესახებ მოვახსენე. მან თავისთან მოიხმო იგი, რალაც-რალაცები გამოჰკითხა და ბლოკნოტში მისი სახელი და გვარი გამომსვლელთა სიას დაამატა.

ის დღე ამ პატარა ბიჭის ბენეფისად იქცა. კარგი, გამართული ლექსები წაიკითხა, მის ასაკთან შედარებით უკვე დაჭკვიანებულ და ნიჭიერ მოზარდად წარმოგვიდგა. მოეწონათ და ტაში დაუკრეს. ალბათ, ეს იყო მისადმი მიძღვნილი პირველი ტაში უცხო საზოგადოებაში. მეამაყება, რომ ეს ჩემს სოფელში, დარჩელში მოხდა.

ღონისძიება გვიან დამთავრდა, ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

ახლა ვისთან წახვალ-მეთქი. ისევ უკან გავბრუნდებიო, – მითხრა... მეორე დღეს გაირკვა, რომ ყველას ისე უფიქრია, როგორც მე. ეგონათ, ნათესავთან სტუმრობდა.

– უკვე ღამდება. ჩემთან წამოდი, ღამე გაათიე და დილით წადი-მეთქი. არაფრით არ ქნა. რომ არ დავბრუნდე, შეეშინდებათ და ძებნას დამიწყებენო. გაირკვა, წარმოშობით ხეცერიდან იყო და მშობლებს სოფელ ოქტომბერში ნათესავთან ჰყავდათ მიბარებული, ვინაიდან იქაურ საშუალო სკოლაში სწავლობდა. ამიტომ არ ისურვა ჩემთან ღამის გათევა, ნათესავების აფორიაქებას მოერიდა.

ბიბლიოთეკიდან რომ გამოვედით, ცხვირში მადის აღმძვრელად გვეცა ჰაერში დატრიალებული ახალგამომცხვარი პურის სუნი. ბიბლიოთეკის მახლობლად საცხობი იყო, სადაც ხანდახან აცხობდნენ პურს. ხანდახ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ დარჩელი ძირითადად სიმინდის სოფელი იყო და აქ ხალხი ღომითა და მჭადით იკვებებოდა, პურის ფქვილი კი იშვიათად ჩამოჰქონდათ სოფელში.

საცხობის ფასადის ფანჯარა ჯერაც დახურული იყო, საიდანაც პური იყიდებოდა. ფანჯარასთან კი ისეთი გრძელი რიგი იდგა, უაზრობა იყო რიგში ჩადგომა. ზაურს ვუთხარი, აქ მომიცადე-მეთქი და საცხობის უკანა კარისკენ წავედი. ამ დროს დავინახე პურის

გამყიდველი, პილა ხუფენია, კეთილი და სანდომიანი კაცი... საცხობისკენ მოდიოდა. გზა გადაუჭერი და ვუთხარი, რომ ლიტერატურულ წრეზე მეზობელი სოფლიდან ჩამოსული ბიჭი მყავდა სტუმრად და ერთი გოგორა პური მომყიდე-მეთქი. ვთხოვე, რიგში ნუ ჩამაყენებ, რომ ჩავდგე, იმდენი არ ცხვება, რომ ყველას შეხვდეს-მეთქი. მოიყვანე შენი სტუმარიო, – მითხრა ცოტა ყოყმანის შემდეგ. მეც გავიქეცი და ზაური მოვიყვანე. ბიჭი მოეწონა, გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და გვითხრა, აქ დაცადეთო. ხუთიოდე წუთის შემდეგ უკანა კარიდან ცხელი პური გადმოგვცა, ფული არ გამოგვართვა, ოღონდ გაგვაფრთხილა, რიგში მდგომებს არ აჩვენოთ, აქ, მოფარებულში შეჭამეთო...

ასე გავტეხეთ პირველად პური მე და ზაურმა. მაშინ ის 12 წლისა იქნებოდა, მე – 15 წლისა. ღვინო არ დაგვიღვია. ჭიქა უფრო გვიან მივუჭახუნეთ ერთმანეთს. ჩვენი მეგობრობა 65 წლის წინათ იმ ცხელი პურის გაყოფით დაიწყო.

ზაურის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა ის უჩვეულო, ზღაპრული საღამო. ხშირად იგონებდა იმ ღამეულ მოგზაურობას, როცა დარჩელიდან მომავალს გზაში შემოაღამდა და სავეს მთვარით განათებულ უკაცრიელ შარას მიუყვებოდა მარტო. შეგვიანებულ მგზავრს გზისპირა ეზოებიდან ყეფით აედევნებოდნენ ძაღლები, მაგრამ, თითქოს სოფელში მათთვის დადგენილ წესს იცავდნენ, არცერთი ცდილობდა ღობიდან გადმოსვლას. ისინი თავიანთ ეზოებს იცავდნენ მხოლოდ.

მე მგონია, რომ იმ იდუმალებით მოცულ ღამეს დაიწყო ზაურ მოლაშხიას ცხოვრების დიდი გზა, რომელიც პანთეონის კარებთან შეწყდა. შეწყდა ფიზიკურად, მისი სულიერი გზა არასოდეს შეწყდება. მოგზაურობას განაგრძობს მისი პოეზია, სულიერებაში გარდასული, კაცური ცხოვრების ჯვარცმისაგან გამოსხნული და თავისუფალი.

* * *

წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ არის ზაურ მოლაშხია, მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან. გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მთანმინდის უბანში,

თავის ძველ ბინაში მოვიხსნე, არაფერი ეტყობოდა სასიკვდილო. თავს მხნედ გრძნობდა და ხუმრობის ხასიათზეც კი იყო. მოდი, ერთი „ჩავიხვარჩალოთ“ და მერე ახალ ლექსებს წაგიკითხავო, – მითხრა. „ხვარჩალი“ მეგრული სიტყვაა და წყლის ჩხრიალს (ჩუხჩუხს) ნიშნავს. ღვინო დავლიოთო კი არა, ჩავიხვარჩალოთო, იტყოდა ხოლმე. ეს იყო მისი სანადიმოდ მოპატიჟების გულგია და მარტივი ფრაზა.

ადრე, ახალგაზრდობაში თუ შუახნობის ასაკში ხშირად უხდებოდა ხალხმრავალ წვეულებაზე თამადაობა, მთვრალი კი არავის უნახავს, ამის გამო ხმა გაუფრცველეს, მაგას თავში ურო თუ არ ჩაარტყი, ვერ წააქცევო. ამ გამონათქვამზე ერთხელ მითხრა: ვინც ასე ამბობს, მან არ იცის, რა არის თრობა, სიმთვრალე ის კი არ არის, რომ წაიქცე და გაოხრდე; კაცი, რომელიც სიფხიზლეშიც მთვრალია, არასოდეს წაიქცევო. მე ადვილად გავიგე მისი ნართაული გამონათქვამი.

ის თითქოს მუდამ ზაქეს წვეულებაზე იმყოფებოდა, სადაც მაცხოვარი სტუმრობდა და სადაც მხოლოდ სიყვარული სუფევდა. მისთვის ღვინო „ხვარჩალებდა“ და ზეციურ ჰანგებს გალობდა.

მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა და კათედრაზე დარჩენა შესთავაზეს, მაგრამ ის ბუნებით პოეტი იყო და პოეზიამ თავისთან იხმო...

არ ვიცი, ზაურ მოლაშხია, როგორც ისტორიკოსი, რას მიაღწევდა, მაგრამ ერთხელ შინაურული საუბრისას თქმული მისი ისტორიული მოსაზრება სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიენებაში. მსგავსი ჰიპოთეზა (ჩემთვის სინამდვილესთან მიახლოებული) არცერთი მკვლევრისაგან არ მომისმენია.

სად გაქრა ის 40 ათასი ყივჩაღი, რომელიც დავით აღმაშენებელმა ოჯახებიანად ჩამოასახლა, ან სად არის ასეულ ათასობით სპარსი, რომლებსაც კახელთა ნასახლარი მიუბოძა შაჰ-აბასმა? – მითხრა მან და თვითონვე განაგრძო: ... ისინი სრულიად უმტკივნეულოდ გაქართველდნენ. ვენახმა შეძლო მათი გადმორჯულება. ვენახის მოვლამ, ვაზის კულტურამ ახალ ადამიანებად აქცია ისინი. ვენახმა

მისცა მათ ის, რაც აქამდე არ ჰქონდათ. ასწავლა სიყვარული, მეზობლობა, მეგობრობა, სტუმარ-მასპინძლობა... ამ თვისებების შექმნა იყო გაქართველებისკენ მიმავალი უმოკლესი გზა. ვაზი ღვთიური მცენარეა. ვაზის ჯვრით შემოვიდა ქართლში წმინდა ნინო, ვაზის ნაჟურზე თქვა მაცხოვარმა, ჩემი სისხლიაო. ვაზის ნაჟურით ხდება ცოდვის მიტევება, რომელსაც ეკლესიურად ზიარება ჰქვია... კარტოფილის მომყვანი უცხოტომელი შეიძლება ათი საუკუნე ვერ გაქართველდეს, მაგრამ ვინაც ვენახი გააშენა, ის მაინც მართლმადიდებელი ანუ ქართველი გახდა.

აი, ასე სწამდა პოეტ-ისტორიკოს ზაურ მოლაშხიას ვაზის კულტურის იდუმალი ღვთიური სულიერებისა, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენდა ადამიანთა ცხოვრების ჩამოყალიბებაში.

ზემთ ალენიშნე, სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე ბინაში შევხვდი-მეთქი. ერთი კვირის მერე დამირეკა და მითხრა, საავადმყოფოში ვწევარო. რა მოგივიდა-მეთქი, ვკითხე გაკვირვებულმა. კორონა გამეთამაშაო, – მიპასუხა. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა, რაც მისგან გავიგონე. ვაი, რომ ამ ვერაგი ვირუსის „გათამაშება“ მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მერე რამდენიმეჯერ დავურეკე, მაგრამ ტელეფონი გამორთული ჰქონდა, თურმე სიკვდილს ებრძოდა...

ნავიდა. დატოვა თავისი შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. დაგვიტოვა რამდენიმე პოეტური კრებული, მოასწრო რჩეული ნაწარმოებების ერთტომეულად გამოცემა, რომელიც სამუდამოდ დარჩება ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში.

* * *

მარტის ამინდს ჰგავდა ზაურ მოლაშხიას ცხოვრება. ის ხშირი ცვალებადობითა და მოულოდნელობით იყო სავსე. ხელისუფლება მას არ სწყალობდა, რადგანაც კომუნისტური იდეების მატარებელი არ ყოფილა და არც კოლმეურნეთა „ბედნიერი“ ცხოვრების მეხოტბე გამხდარა, ამიტომაც არ მიუღია პრემიები და ამიტომაც ჰყავდათ იგი ფარულ შავ სიაში, რომლის შედეგსაც ხშირად იმკიდა, როცა

საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სჭირდებოდა. ის ცხოვრებაში გაუხარებელ შემოქმედთა ჯგუფში იყო. მედროვენი კი ლა-ლობდნენ ყველა ეპოქასა და სიტუაციაში თავი-ანთი „მოხერხებულობითა“ და ფარისევლობით, „კარგად გაჰქონდათ თავი“.

ყოველივე ამის გამო ზაურ მოლაშხიას სულაც არ მიაჩნდა საკუთარი თავი უბედურ კაცად. მას ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე, მას ჰყავდა ლამაზი შვილები, შვილიშვილები. იყო პატიოსანი, ჭემმარიტი ქართული ოჯახის მამა, წერდა შესანიშნავ ლექსებს და არასოდეს წუნუნებდა ყოფით წვრილმანებზე.

ბედნიერება სულ გარბის, – იტყოდა იგი. – მან რამდენიმეჯერ შემოიხედა ჩემს ფანჯრებში და გაქრა. ხშირად ვხედავ ზურგით. რა ქნას, ყველგან უხმობენ, ყველგან ეძახიან და ისიც სულმოუთქმელად დარბის. ნამეტანი განვალდა ამ გაუტანელ წუთისოფელში... მაინც კარგია, რომ ყველასთან ცდილობს მისვლას, მაგრამ ზოგს ვერ წვდება, ზოგმა კი თვითონ აუჭედა კარები თავისი უკეთურობით...

ზაურ მოლაშხიას საზოგადოებაში იცნობდნენ, როგორც განონასწორებულ, მშვიდ პიროვნებას, რომელიც სანამ იტყოდა რამეს, ჯერ დუმილში ამონებდა საკუთარ სათქმელს. დიახ, მას ნამდვილად ჰქონდა დუმილის ენერგია, რომელიც ხშირ შემთხვევაში შველოდა, თავი ღირსეულად დაეჭირა და ადამიანთა უბადრუკი სუბიექტურობის მღვრიე მორევში არ შეჰყოლოდა ვინმეს.

იქნებ ვინმეს ერვენებოდა, რომ იგი სადღაც ხშირად იგვიანებდა, ან ნაადრევად მივიდოდა იქ, სადაც ჯერ არაფერი დაწყებულიყო... ზაურ მოლაშხიას თავისი დრო ჰქონდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის არც იგვიანებდა და არც აჩქარების ნაყოფს იმკიდა...

მისი ბუნება და ხასიათი მიახლოებით მაინც რომ გამოვხატოთ, უნდა დავესესხოთ არტურ შოპენჰაუერის ერთ გამონათქვამს, რომელიც ერთ მართალ კაცზე წერს: „ქალაქის ყველა კომპიურაზე საათები არასწორ დროს უჩვენებს, მაშინ ერთმა იცის სწორი დრო, მაგრამ

რა ბედენაა ეს მისთვის?“

სწორედ ეგ იყო ზაურ მოლაშხიასთვის სულიერად მასაზრდოებელი „ბედენა“. ის სწორად გრძნობდა დროთა ცვალებადობას და არასოდეს აუნყვია ნაბიჯები მატყუარა საათების მიერ ნაჩვენები ჟამთაცვლისათვის. იქნებ ბევრი რამ დაკარგა ამგვარი ნებისყოფის გამოვლენის გამო: სადღაც ადრე მივიდა, სადღაც დააგვიანა, მაგრამ სწამდა, არ ლალატობდა არც სხვას და არც საკუთარ თავს. ამით შეიძლება რალაცებს კარგავდა, – შინ ცხელი პურის ნაცვლად ცივი პური მიჰქონდა, მატერიალურადც ზარალდებოდა, მაგრამ დაკარგულზე არ წუნუნებდა და ხშირად იტყოდა შოპენჰაუერის ცნობილ ფრაზას „ყველაზე სასარგებლო და მომგებიანი ის ფულია, რომელიც მოგპარეს, სწორედ ასეთი ფულით შევიძინებ ქუქას“...

მას არაფერი დაუკარგავს და არც არაფერი უპოვია. რაც მისგან წავიდა ან გვერდით ჩაუარა, დაკარგულად არ მიუჩნევია, ჩუმად შემოუშვა საკუთარ არსებაში და მეხსიერების სკივრში განძივით შეინახა არა როგორც გაურკვეველი, არამედ როგორც შინაარსი და ამოხსნილი საიდუმლოება.

ზემოთ მოგახსენეთ: არც დაუკარგავს და არ უპოვია-მეთქი. დაკარგულზე უკვე ითქვა, ნაპოვნზე კი რა გითხრათ... ის ეძებდა და პოულობდა იმას, რასაც ეძებდა. მის ცხოვრებაში შემთხვევით და ბრმად არაფერი ხდებოდა... არა წარმავალში, არამედ მარადიულში ეძებდა ხსნას და სიცოცხლის გაგრძელებას. ის ლექსის კაცი იყო, პოეზიაში ცხოვრობდა და იქ პოულობდა სიმშვიდეს. ახლაც იმ სიმშვიდეში განისვენებს. რაც დატოვა, იგივე მოუძლოდა იმ სამარადისო გზაზე და ეს იყო სიყვარული. მისნაირ ადამიანზე ნათქვამი: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგებო“.

მადლობა ყველაფრისთვის, მეგობარო, მადლობა შენი მშვენიერი პოეზიისთვის, კეთილი გულისთვის, კაცური კაცობისთვის!..

ისე მაგრად დაგვწყვიტე გული, მაგრამ ამისთვისაც მადლობა, რამეთუ ტკივილი ზოგჯერ ამქვეყნიურ სიხარულზე მეტად ბრძენია.

გიორგი სიჭინავა

მწერალი

ზაურ მოლაშხიას გამოსათხოვარი

საუბედუროდ, ველოდი ამ საზარელ ცნობას. თუმცა გულში იმედის მცირე ნაპერ-ნკალი მაინც ღვიოდა, სასწაულები ხომ ხდება და იქნებ ახლაც მოხდეს-მეთქი! სამწუხაროდ, არ მოხდა და ეს წუთია შევიტყვე, რომ ჩემი სიყრმის მეგობარი, შესანიშნავი პოეტი, ისტორიკოსი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, უპატიოსნესი და უალაღესი პიროვნება ზაურ მოლაშხია ვერაგი კოვიდის მორიგი მსხვერ-პლი გახდა. წავიდა ამქვეყნიდან ქართული სიტყვის გამორჩეული ოსტატი, ბრწყინვალე რედაქტორი, სტილისტი და თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, რომელმაც ჩვენს სასტიკ და უღმობელ დროში, თვით ყველაზე უმძიმესი განსაცდელისა და გაჭირვების უამს შეძლო ადამიანური ღირსების შენარჩუნება, არ შეეკრა ბილნთ და დარჩა საკუთარი მრწამსისა და იდეალების ერთგული.

ჩვენ ერთი სოფლიდან ვიყავით, მაგრამ სხვადასხვა სოფელში ვსწავლობდით. დაგვა-ახლოვა პოეზიამ, ქართული ენისა და ლიტე-რატურის სიყვარულმა, რამაც ერთდროულად მიგვიყვანა ზუგდიდის საბავშვო ბიბლიოთე-კასთან არსებულ შემოქმედებით წრეში, რათა სამუდამო ძმობა შეგვეფიცა ერთმანეთისთვის. სკოლა ერთ წელს დავამთავრეთ და თბილისში გამოცდების ჩასაბარებლადაც ერთად გავემ-გზავრეთ, ზაურს ისტორიული უნდოდა, მე – ჟურნალისტიკა. ორივე წარმატებით ჩავირიც-ხეთ და ბინაც ერთად ვიქირავეთ. ვიდრე კიევ-ში წამოვიდოდი, ერთად ვცხოვრობდით, მერე კი დიდი ხნის მანძილზე კიევიდან ჩამოსული, მასთან ვჩერდებოდი ხოლმე.

ზაური ადრე შეამჩნია პროფესორმა შოთა მესხიამ, რომელსაც სურდა, ნიჭიერი სტუდენ-ტი მეცნიერებას გაჰყოლოდა, მაგრამ ჭაბუკში პოეტურმა სტიქიამ იმძლავრა და იგი ევტერ-პეს უერთგულესი მსახური გახდა. უმაღლესის შემდეგ მუშაობდა გამომცემლობებში „საბჭოთა საქართველო“ და „განათლება“, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოს განყოფი-ლებაში, დამოუკიდებლობის წლებში კი თვი-

თონაც გამომცე-მელი გახდა. მას არასოდეს უფიქ-რია სამსახურებ-რივ კარიერაზე, მუშაობდა, რათა საკუთარი თავი და ოჯახი ერჩინა, მაგრამ, როგორც



ზემოთ აღვნიშნე, მისთვის მთავარი გახლდათ ზნეობრივი პრინციპები, ასეთი კაცისთვის კი, მოგეხსენებათ, აღმა მიმავალი გზა გადაკე-ტილი იყო. მთანმინდის ძირში, კოტე მესხის ქუჩაზე ჰქონდა ჩიტის ბუდესავით პატარა ბინა, სადაც თავის ერთგულ მეუღლესთან, ნატოსთან ერთად ორი ვაჟი და ერთი ქალიშ-ვილი გაზარდა, დაწერა თავისი საუკეთესო კრებულები. ეს ბინა მან ნათესავების დახმა-რებით შეიძინა, არც მწერალთა კავშირს, არც გამომცემლობებს, სადაც იგი ათეული წლები მუშაობდა, თავისი წევრისა თუ თანამშრომლის გულისთვის თითიც არ გაუნძრევიათ. ზაურს არ უყვარდა საკუთარი პრობლემების გამო ხელმძღვანელთა კარების ატალახება და არც ისინი იტკივებდნენ აუტკივარ თავს. თვითონ კი, როგორც ისტორიკოსი, რომელიც შესანიშ-ნავად იცნობდა თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, ყველაფერს აკეთებდა მისი უკეთესი მერმისისთვის, არა მარტო თანაუგრძნობდა დისიდენტურ მოძრაობას, თვითონაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ბევრ ლიდერთან და რამდენჯერმე მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაურჩა დაპატიმრებას. ორატორი არ იყო, თავს ქალაქდთან და სანერკალამთან უფრო ლაღად და გაბედულად გრძნობდა, ვიდ-რე მიკროფონთან და ტრიბუნასთან, ამიტომ შესაძლოა საზოგადოებაში ისე არ ჩანდა, რო-გორც ბევრი ჩვენი თვითგაპიარებული კოლეგა. პირად ცხოვრებაში გამოირჩეოდა უჩვეულო მოკრძალებითა და თავმდაბლობით, თუმცა საკუთარი სიტყვის ფასი იცოდა, ამიტომაც უკომპრომისო იყო შემოქმედებაში.

ზაურის პოეზია უმეტესად პატრიოტულ, ფილოსოფიურ-მედიტაციურ და საპეიზაჟო ლირიკას მოიცავს, ბევრ მის ლექსს ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად, ბევრიც მკაფიოდ ენათესავება ქართულ ზეპირსიტყვეობასა და მითოსურ ძირისძირებს, მათში მოისმის ლეგენდებს ჩაზრდილი ძველკოლხური ჰანგები და ზოგადქართული მოტივები. ზაურ მოლაშხიას პოეზიისთვის უცხოა ნვრილთემიანობა, გარეგნული ეფექტების გულისთვის სიტყვიერი ჟონგლიორობა, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ვინმე თანატოლთაგან მისებრ თუ ფლობდა ქართულ ენას. მისი საყვარელი ავტორები იყვნენ ჰაგიოგრაფი მწერლები, დავით გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა. მშობლიური ენის მარგალიტებს ეძებდა ძველ მატრიანებში, „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“. მათი შორეული ექო მოისმის კიდევ მის ზოგიერთ ლექსში. ზაურის სამაგიდო წიგნები იყო სულხან-საბას „სიტყვის კონა“ და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. მიუხედავად იმისა, რომ განიცდიდა მუდმივ, როგორც თვითონ იტყოდა, ქესატობას, საჭირო და აუცილებელი წიგნისთვის ბოლო კაპიკს არ დაზოგავდა, თვითონ მოიკლებდა, ოჯახს მოაკლებდა და მაინც შეიძენდა. ამიტომაც შექმნა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელსაც პრაქტიკულად მთელი მისი საცხოვრისი უკავია.

ზაური იყო ერთიანი საქართველოს ნამდვილი ტრუბადური და მოზარე, სტკიოდა ზვიადისა და მერაბის ბედი, სტკიოდა თავისივე მოძმეთა მიერ აოხრებული სამეგრელო, მტრისგან ვერაგულად წართმეული აფხაზეთი და სამაჩაბლო. და ეს ტკივილი მას სამარეში მიჰყვება.

უკანასკნელად 2019 წლის სექტემბერში შევხვდით. მეგობრებთან ერთად ესწრებოდა ჩემს შემოქმედებით სალამოს საპარლამენტო ბიბლიოთეკაში, მერე ბინაში წამომყვა და ჩვენი საერთო ძმაკაცების – ნომადი ბართიას, ბათუ დანელიას, პაატა ნაცვლიშვილისა და ოთარ ჭითანავას წრეში გავაგრძელეთ ურთიერთობა. საჩუქრად თავისი ახლად გამოცემული სქელტანიანი ერთტომეული მომიტანა, რომელიც, იმედია, მიიქცევს მკითხველთა და კრიტიკოსთა კუთვნილ ყურადღებას. უკვე ვერ სვამდა, სუნთქვაც უჭირდა, გული და დიაბეტი აწუხებდა.

მალე დაგვემშვიდობა და წავიდა კიდევ. როგორც ახლა აღმოჩნდა, წავიდა სამუდამოდ. ვერაგმა ვირუსმა ჩემს უკეთილშობილეს მეგობარს სუსტი ნერტილები მოუძებნა და იქ ჩაარტყა სასიკვდილო მახვილი. ბოლო დღეები ხელოვნურ კომაში მყოფი სასუნთქ აპარატთან იყო მიერთებული და მისი ქალიშვილის გვანცას პოსტებიდან ვგებულობდი ზაურის ამბებს. სანუგეშო ცოტა იყო, მაგრამ, როგორც დასაწყისში დავწერე, მაინც მქონდა სასწაულის იმედი. და, აჰა, ეს იმედიც მოკვდა. ჩემი მეგობარი მარადისობაში გადასახლდა. ცარიელდება მშობლიური ზუგდიდი ძველი გვარდიის სასახელო ჯარისკაცებისგან – ზედიზედ დაგვტოვეს გენო და რენე კალანდიებმა, ჯემალ ქირიამ, მურმან ჯგუბურიამ, ზურაბ ცხონდიამ, რამაზ კუპრაევამ. უფრო ადრე წავიდნენ არჩილ ფირცხალავა, ჯუმბერ თითმერია, ოდიკ ქუხილავა. კიდევ უფრო ადრე – ისაკ ქორთუა, შალვა შენგელი, ანტიფო არნანია. დღეს უკვე მათ შეუერთდა ზაურ მოლაშხიაც.

მშვიდობით, ჩემო უსაყვარლესო ძმაო და მეგობარო. გამოსათხოვარი ცხელი ცრემლები ეწვეთება ლეპტოპის კლავიშებს და მერამდენედ ვწყველი ამ საშინელ სენს, რომელმაც უკვე რამდენიმე ახლობელი წამართვა. ის რომ არა, შინ რა გამაჩერებდა, უკვე აეროპორტში ვიქნებოდი (რას გიშველიდი, მაგრამ მაინც!), ახლა კი იძულებული ვარ ამ არეული ტექსტით დაგიქნო ხელი და კეთილი მგზავრობა გისურვო იქით, სადაც მართალნი განისვენებენ! მახსოვს, როგორ მივყვებოდით მე და შენ 1966 წლის აპრილში რუსთაველის პროსპექტზე სიმონ ჩიქოვანის კუბოს, რომელსაც ზღვა ხალხი მიაცილებდა. რეპრუდუქტორებიდან კი პოეტი საკუთარ ლექსებს კითხულობდა. სამწუხაროდ, დიდი ხანია, პოეტებს ასეთი პატივით აღარ კრძალავენ. შენი წასვლა კი ისედაც პანდემიის საშინელ პერიოდს დაემთხვა, როცა პროცესიები საერთოდ აკრძალულია. თუმცა ეს უკვე შენთვის არაფერს ნიშნავს. შენ და შენი ლექსები ამიერიდან მკითხველთა კუთვნილება ხდებით. მჯერა, რომ თქვენ იქ მყუდრო და მარადიული სავანე გელოდებათ.

რაულ ჩილაჩავა

პოეტი

შობა

ზაურ მოლაშხიას ხსოვნას

ხეებზე სხედან ჩიტუნები... უთოვლო ზამთარს
 შეჟღურტულენ... შორს შიშველი ჩანან კორდები,
 თითქოს ჰაერში დაკიდულა სიმუხთლე ჟამთა,
 ისმის სიჩუმის ზარის რეკვა: „მივალ, გშორდებით!“

შობაა უკვე... ირგვლივ შობის მაღლი ტრიალებს,
 იგი მოვიდა, შენ მიდიხარ – ო, საოცრება!
 დაფერფლილია ყველა ფიქრი, ყველა ოცნება,
 ამაღლდი სულო, ლაჟვარდებში იხეტიალე!

შენ უკვე იქ ხარ, სადაც ერთხელ ერთად ვიქნებით,
 სადაც დასაწყისს დასასრული არ ენაცვლება
 და არის მხოლოდ სიყვარული, მხოლოდ ნიგნები,
 ხოლო სიცოცხლე აღარაა მხოლოდ გაძლება.

დრო გაშეშდა და ვარ უსულო ასლი მკვდარი ხის,
 რომელიც უკვე არ შეჰხარის ანმყოს თუ მყოფადს.
 მე ამომაჭრეს მკერდზე შენი წასვლის თარიღი,
 მაგრამ წერია იქ სიკვდილის მაგივრად: „შობა!“

6 იანვარი, 2021

რაულ ჩილაჩავა



საწუხ არს ესე!



ბოლო წლების თბილისში ჩემი და ზაურ მოლაშხიას შეხვედრა იწყებოდა ეკზიუპერული შეხმატკბილებით: ჩვენ ხომ ჩვენი

ბავშვობიდან მოვდივართ, მონაფეობისას გავიცანით ერთმანეთი ზუგდიდის საქალაქო ბიბლიოთეკასთან არსებულ ლიტერატურულ წრეში. წრეს ხელმძღვანელობდა ლიტერატორი თინათინ თირქია. წრის სულისჩამდგმელი იყო ბიბლიოთეკის დირექტორი ქეთევან ცხონდია (იმხანად სახელგანთქმული ფეხბურთელის ბორის სიჭინავას დედა). ლიტერატურული წრის საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ ზუგდიდის რაიონული გაზეთის („მებრძოლი“) რედაქტორი და პოეტი ისაკ ქორთუა, მწერალი და ჟურნალისტი შალვა შენგელი, პოეტი და პედაგოგი ანტიფო არნანია. წრეში თავმოყრილნი იყვნენ ნიჭიერი დამწყები შემოქმედნი: რაულ ჩილაჩავა, ზაურ მოლაშხია, გიორგი (გონელი) სიჭინავა, არჩილ ფირცხალავა და სხვ. ეს წრე ჩვენთვის წარმოადგენდა ზნეთსწავლულების ერთგვარ აკადემიასაც. ამ წრის სიტბო და სიკეთე მის ყმავენილ წევრებს მომავალი ცხოვრების გზაზე დღემდე გამოგვყვა. სწორედ ამიტომ იხსენებდა მას ხშირად ჩვენი ზაური.

შვიდწლედის დასრულების შემდეგ ვსწავლობდი ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სადაც ზაური ხშირად მაკითხავდა, ეტრფოდა ჩემს ერთ თანაკურსელს, უწერდა სამიჯნურო ლექსებს. ერთ სტროფს გავიხსენებ:

„შემოგველოს ჩემი თავი“ –
შენ მითხარი, კარგო, ოლონდ,
მაშინ ნახე, თუ მე მკლავით
ენგურიც არ გადავლობო“.

მონაფეობის ხანის დამთავრების შემდეგ ზაურ მოლაშხია თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის სტუდენტი გახდა, მე კი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში განვაგრძე სწავლა. მე და ზაური ერთმანეთს წერილებით ვეხმინებოდით. ზაურის წერილები მუდამ აკადემიური ჟანგბადით სუნთქავდა. მას ყოველთვის აინტერესებდა სოხუმის ქართული მწერლობის ბედი: ახალი ავტორების გამოჩენა. მეც შეძლებისამებრ ვანვდიდი გასახარ ცნობებს. გამორჩევით ვუყვებოდი ჩემს თანაკურსელზე – ჯემალ შონიაზე, რაც ზაურის დაინტერესებას იწვევდა.

ცნობილი ბედუკულმართობის გამო ზაურის წერილებიდან მხოლოდ ორი შემომჩრა.

პირველი წერილი დათარიღებულია 1968 წლის 28 თებერვლით. მკითხველს ვთავაზობ ამ წერილს შეუმოკლებლად, მასში ნათლად ჩანს ზაურის, როგორც სტუდენტის, შინაგანი კულტურა, ადამიანური ღირსებანი: „გამარჯობა, ტიტე! შენმა წერილმა ფრიად გამახარა, ხანდახან ხელმეორედ გადავიკითხავ მოწყენის ჟამს. აბა, ვინ არის ისეთი, რომ „დადიოდეს და არ ჩიოდეს დარდსა და ვარამს“. ყველას თავისი საწერი და საფიქრალი აქვს ამ დედამიწაზე. მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარია ნაკლებად ვიფიქროთ ჩვენს ინდივიდუალურ დარდზე და პირადულ ტკივილებზე, რადგან ყველას რაღაც სტკივა, ყველას რაღაც ახარებს და ანალვებს. თუმცა ყოველივე ეს ადამიანთა ხასიათებში სხვადასხვანაირადაა გამჟღავნებული ან დაფარული.

მე მეუბნებიან, შენს ნაწერებში რაღაცა უკმაყოფილო ხმა მოისმისო მუდამ. ხანდახან ასე ვესიტყვები საკუთარ „მეს“, ხომ არ ვცდები, რაღაც მიუწვდომელზე რომ ვფიქრობ მაღადაჟამს. ვინ იცის... ვინ იცის... ჩვენს ასაკში ასე სჩვევია ყველას.

მე დიახაც დავლონდი იმ ღამეს, როცა შენ დაგმორდი ზუგდიდში. ვფიქრობდი ადამიანის ბედზე. ამ ადამიანის უკან შენი ყისმათი იდგა. მართლაც-და ხომ არ შეიძლება ცხოვრებაში ყველაფერი ისე წარიმართოს, როგორც ჩვენ გვინდა. მე მჯერა შენი, რომ

საჭირო გახდეს, უარესსაც გაუძლებ, რადგან პოეტი კაცის გული სულ სხვა მასალისგანაა შექმნილი. მე არ გამხნევებ, არ მინდა პათეტიკურად ვილაპარაკო ვაჟკაცობაზე, რადგან სხვისი ჭოლოკი ადვილი სასროლია. მე მინდა გავჩუმდე და ჩემი დუმილის მიღმა შენთვის იდგეს ადამიანი, მარად ერთგული მეგობრული გრძნობისა.

ტიტე, ერთ რამეს გთხოვ, დაწერე ლექსი (თუ გინდა ციკლი) უნივერსიტეტზე და აპრილის ბოლო რიცხვებზე გამომიგზავნე, რადგან გიმ „პირველ სხივში“ დაიბეჭდება, რომელშიც იბეჭდება ჩემი ლექსები.

მე არ ვიცი, ვინ არის შენი ამხანაგი შონია, როგორც შენი წერილიდან ჩანს, კარგი ბიჭი უნდა იყოს. გადაეცი ჩემგან ვაჟკაცური სალამი.

ხოლო რაც შეეხება გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთს“, მე ის ნომერი არ მაქვს, ძალიან მაინტერესებს, თუ ჩემი ლექსი „სიმაღლე“ როგორაა დაბეჭდილი. მე „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში შემთხვევით შევიარე და ორი ლექსი დავტოვე, როგორც ჩანს, დაუბეჭდავთ. იყავი კარგად! ზაურ მოლაშხია.

28.II.68. წ.

ზაურ მოლაშხიას ჩემდამი სოხუმში მონერილი მეორე ბარათი დათარიღებულია 1989 წლის 7 იანვრით, ქრისტეშობის დღით. ეს ძალზე საგულისხმო ფაქტია. შობის დღესასწაულზე მეგობარი მეგობარზე ფიქრობდა. გაივლის 32 წელი და სწორედ ამ დღეს სასწრაფოდ მიწას მიაბარეს ავადსახსენებელი კორონავირუსისაგან დაღუპული ზაური. ამას რომ ვამბობ, გულზე უშველებელი ლოდი მანევს, რომელსაც ვერანაირი ძალა ვერ გადააგორებს.

წერილში ვკითხულობთ: „გამარჯობა, ტიტე, უწინარესად გილოცავ 1989 წელს. გაიხარე და იბედნიერე მთელი შენი ოჯახით, მეუღლითა და შვილებით იდეგრძელე და იმრავალფეროვნე შენი სულიერი სამყაროთი – შემოქმედებით.

დღეს 7 იანვარია, ვკითხულობდი, ვასწორებდი ჩემს ძველ და ახალ ლექსებს. მერე მივწვდი მეგობართ წერილებს და ... ხელთ შენი ძველი წერილი შემრჩა (1985 წელს გამოგზავნილი). წერილში კი ერთი ლექსია, რომელიც

გამომეთქვა შენთვის. აი, ისიც:

„დავჯექ და უნდა გავრითმო მეგობრის გვარი – მოსია:

შეხედე, მამულს შტოები შრიალით შეუმოსია,

თუ რამ გვჭირს ქვეყნად ავ-კარგი – ყოველი გარემოსია,

ვისაც ეს არ სწამს, იმათი მომეცი, ძმაო, მოსია“.

გამახსენდა ჩვენი სიჭაბუკე, როცა წერილებსაც ლექსად ვწერდით ერთმანეთს. რამდენიმე დღის წინ შემხვდა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საამქროს უფროსი და მითხრა: დღეს ტიტე იყო ჩემთან და მივეციო მისი წიგნის კორექტურა (ეს იყო დეკემბერში). გილოცავ! ალბათ წიგნსაც მალე ვიხილავთ.

მე მთელი დეკემბერი ლაშა მენვა ქირურგიულ ინსტიტუტში, ოპერაცია გაუკეთეს. ახლა კარგადაა.

ჩემი წიგნი – „ვარსკვლავთა ტალანი“ – გამოვეცი, ცოტა დაგვიანებით გიგზავნი. ეს ლექსები მთლიანად ახალია, ორიოდე გამოწაკლესის გარდა. გამოუქვეყნებელია.

მაინტერესებს შენი აზრი.

ჩემი ძმური სალამი შენს მეუღლეს, ხოლო შენი ვაჟკაცები გადამიკოცინე. შენი ზაურ მოლაშხია. 7.I.89 წ. თბილისი“.

ზაურის გადარჩენილი წერილები შეგნებულად გამოვიტანე სამზეოზე მისი მომხიბვლელი ბუნებისა და ქრისტიანული კეთილშობილების წარმოსაჩენად.

ზაურ მოლაშხია იყო ეროვნული პიროვნება, ეროვნული პოეტი. როგორ ხარობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის აზვირთებით. თვითონაც ხომ ეროვნული მოძრაობის ზღვის მღელვარებაში ერთი ბობოქარი ტალღა იყო. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავაზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში არაერთხელ გადაუდგამს სარისკო და სახიფათო ნაბიჯები, მაგრამ უშიშრად იტანდა ყოველივეს, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების გულისთვის ფიზიკური სიცოცხლის გასაწირად მუდამ სრულ მზადყოფნაში იყო.

ზაური ჩვენს თაობაში ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი იყო. საფუძვლიანად ფლობდა მშობლიურ ენას. ლექსზე დიდხანს მუშაობდა, ხვენდა, რანდავდა, მისი სტრიქონები გაჯერებულია ანონილი სიტყვებით. ლექსის დაბეჭდვას არასოდეს ჩქარობდა არც პრესაში და არც ცალკე წიგნად. მის მიერ რუდუნებით შედგენილი „ერთტომეული“ ხომ უნიკალური შენაძენია ქართულ პოეზიაში.

ზაური იყო სამაგალითო მეოჯახე. ჩემთან საუბარში არაერთხელ შეუქია თავისი უსაყვარლესი მეუღლე, ნატო რომ გვერდით არ მყოლოდა, ვერაფერს მივალწევდიო. სიგიჟემდე უყვარდა თავისი ვაჟკაცები კახაბერი და ლაშა, ხოლო გვანცას დაბადებამ მეცხრე ცაში მოისროლა. ჩვენი შეხვედრისას გვანცას სახელი მუდამ პირზე ეკერა. გოგოს მამობა ფენომენალური და ფანტასტიკური განცდა ყოფილაო.

ზაურ მოლაშხია იყო უბადლო მეგობარი. მას მრავალი მეგობარი ჰყავდა, რომელთა შორის გამოარჩევდა რაულ ჩილაჩავას, ედემ კვიციას, მურმან ზაქარაიას, ლაშა გვასალიას, ჯემალ შონიას, გიორგი სიჭინავას, იპოლიტე გამსახურდიას.

ერთხელ, ნაშუადღევს, ზაურ მალაშხია, იპოლიტე გამსახურდია და მე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ შენობიდან გავდიოდით. შემოგვხვდა პოეტი იოსებ ნონეშვილი. იპოლიტე გამსახურდიამ ხელები გაშალა, გადაეხვია სასიქადულო მგოსანს და ასე მიმართა: ბატონო იოსებ, რა კარგად გამოიყურებით – ჭაბუკურადო. პოეტმა დამშვიდებით უპასუხა: „თუ ნუთისოფელს ერთ ბენო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი თავის ნაბადსო“. დიდი ილიას ეს შეგონება მარად უნდა გვახსოვდესო. საუბარში მეც ჩავერთე: „ნუთისოფელს თვალს მოუხუჭავ და

არ მოუხუჭავ, მაინც, გილგამეშისა არ იყოს, აუცდენელია მრისხანე სიკვდილი“. ნათქვამს მოვაცოლე შუა საუკუნეების ერთი ჰიმნოგრაფიული ტექსტი:

„ცხოვრებამ ესე წარვალს და განილევს,
შუენარებამ და დიდებამ დაჭნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების,
რასა ცუდად ვმალლოით, ოდეს ყოველი
წარმავალ არს და მიწად მიქცევადნი
მოვედით, ძმანო, შთავიხდნეთ საფლავთა,
სადა არს შური, საოცრებამ და ხლდომამ,
სად არს ძვირის ხსენებათ და ზვაგობამ
და ხორცთა გულისთქმანი, აჰა, ესერა,
მიწა ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“.

საგალობლის მოსმენისას ზაურმა წონასწორობა დაკარგა, მხარზე ხელი დამარტყა და ხმამალა წარმოთქვა: ეს რა გენიალური ჰიმნი გაგვაცანი, ამგვარ ტექსტს მე არ ვიცნობდიო. უნდა ჩამანერინო აუცილებლადო. ეს ლექსი ძალზე ახლოსაა ჩემს შინაგან განწყობასა და განცდებთანო. მომავალ შეხვედრებში ყოველთვის გამამეორებინებდა მას.

ზაურ მოლაშხია 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი შეინირა ავადსახსენებელმა კორონავირუსმა. არადა, რამდენი რამ ჰქონდა გასაკეთებელი: ახალი თხზულებების შექმნა, ახალი წიგნების გამოცემაზე ზრუნვა, მთარგმნელობითი საქმიანობანი. ნაღველს და ვარამს ის მიმსუბუქებს, რომ ეს ჩინებული პოეტი და განუმეორებელი მეგობარი განისვენებს მახათას მთაზე – მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მიუხედავად 75 წლისა, მაინც მგონია, რომ ჩვენი ზაური ადრე წავიდა ამ ნუთისოფლიდან. სანუხ არს ესე!

ტიტო მოსია

პოეტი



ზაურ მოლაშხია

ზაურ, ნავიკითხე შენი ერთტომეული. შენი წლების მონაგარი. ცხოვრებაში ლექსების მეტი არაფერი გიგროვე-ბია, კარგი სიმდიდრის პატრონი ყოფილხარ.

როგორც გამომცემლისგან შევიტყვე, გამოსაცემად ორი ამდენი გქონია გამზადებული, მაგრამ გარემოებათა გამო ვერ გამოგიცია. არა უშავს, არც ესაა ცოტა.

ზაურ, შენი ლექსები ერთ ტომში შეიძლება ჩაეტიოს, მაგრამ შენი ალაღკაცობა ერთ ტომში ნამდვილად ვერ ჩა-ეტევა. როგორც ალალი და სუფთა ხარ, ისეთი ალალი და სუფთაა შენი ლექსები. სხვანაირად არც იქნებოდა.

შენს ლექსებს აღვიქვამ არა როგორც დაწერილს, არამედ როგორც გულიდან ამოსულს.

გიყვარს ლექსებზე და ლექსებით საუბარი, ოღონდ სხვის ლექსებზე და სხვისი ლექსებით. დამფასებელი ხარ სხვისი ღვანლის და განმცდელი სხვისი ტკივილისა და სიხარულის.

კეთილი თვალთ უყურებ სამყაროს და თესავ სიკეთეს ირგვლივ შემოქმედებით თუ პირა-დი ცხოვრებით. არ მეგულება კაცი, გიცნობდეს და არ გაფასებდეს.

კი გიცნობდი და კი ვიცნობდი შენს შემოქმედებას, მაგრამ ერთად შეკრებილმა შენმა პო-ეტურმა ნაღვანმა კიდევ უფრო დამაახლოვა შენს სულიერ სამყაროსთან.

შენს ერთტომეულში ერთი ასეთი ლექსია:

**გამაგებინე, რისი თქმა გინდა,**

რა გსურს, რა გტკივა – გამაგებინე.
 ან ჩამომსხიპე მარჯვენა მკლავი,
 ან შენთვის ხმალი ამაღებინე.
 გამაგებინე რისი თქმა გინდა,
 რა გსურს, რა გტკივა – გამაგებინე.
 ან დამისერე გული შხამეკლით,
 ან ყვავილები დამაკრეფინე.
 ან დამინგრიე ყოფნის ტაძარი,
 ან სხვა ახალი ამაგებინე.
 გამაგებინე, რისთვის მოვედი,
 ან რისთვის მოვკვდე – გამაგებინე.

მართალია, ამ ლექსში ლირიკული გმირი პასუხის გარეშე რჩება, მაგრამ მკითხელისთვის ნათელია ყველაფერი – მხოლოდ სასიკეთოდ ხარ მომართული.

ია და ვარდი გფენია, ჩემო ზაურ!

ცხელ გულზე შენი ძმა
ნოზალი ბართაია

2013 წ.



დაკვიანებული საძიძარი



ვერ შევ-
ძელი თბილის-
სი ჩამოსვლა
და უკანასკნელ
გზაზე ვერ გა-
ვაცილე ჩემი ძმა
და მეგობარი
ზაურ მოლაშ-
ხია, ვერ ავან-
თე სანთელი მის
საფლავზე, ვერ
მივუსამძიმრე მის ოჯახს, მის სათნო მეუღლეს,
ქალბატონ ნატოს, რაც კიდევ უფრო ამძაფ-
რებს ჩემს სულიერ ტკივილსა და მწუხარებას.

ჩვენ არა მარტო მეგობრები და თანამო-
აკალმენი ვიყავით, არამედ თანამებრძოლე-
ბიც, ვიცით და უწყის უფალმაც, რომ ზაურ
მოლაშხია კალამ-ხმალშემართული იბრძოდა
და იღწვოდა სამშობლოს თავისუფლებისა და
დამოუკიდებლობისათვის.

გული მტკივა, რომ ზაურ მოლაშხიას მარ-
თალი და ხალასი პოეზია სათანადოდ არ არის
დაფასებული. მეგობრების ვინრო წრის გარ-
დას, მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით
არაფერი თქმულა პრესითა და ტელევიზიით.
მართალია, იგი მახათას საზოგადო მოღვაწე-
თა პანთეონში განისვენებს, მაგრამ, პირველ
რიგში, ნებისმიერი შემოქმედი მისი მხატვრული
მემკვიდრეობით განიზომება. ამ მხრივ ზაურ

მოლაშხია და მისი შემოქმედება სამუდამოდ
დარჩება ქართული ლიტერატურის ისტორი-
აში, როგორც თავისი მაღალმხატვრულობით
ისე მოქალაქეობრივი პოზიციით, თორემ პან-
თეონში, დიდუბეში თუ მთანმინდაზე, ჩვენდა
საბედნიეროდ, ცნობილი პუტჩისტებიც არიან
დაკრძალული. რადგან ამ თემას შევეხე, არ
შეიძლება გულისტკივილით არ ვთქვა, რომ
უმეტესობამ არც ვიცით, თუ სად დაკრძალეს
სამშობლოს დიდი პატრიოტი, შემოქმედებთაც
და ცხოვრებითაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებ-
ლობისათვის თავდადებული მებრძოლი ნოდარ
ჯალალონია, მაშინ როცა პუტჩისტი პოეტი
მთანმინდაზე განისვენებს.

ზაურ მოლაშხიას დიდებულ პოეზიასთან
დაკავშირებით ერთ ფაქტს აღვნიშნავ: ყველამ
კარგად ვიცით დუტუ მეგრელის ცნობილი
ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“. ამ ლექ-
სის შექმნიდან 86 წლის შემდეგ მსგავსი, ჩვენი
ერისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი ლექ-
სი დაინერა ისევ და ისევ სამეგრელოს მეორე
დიდი შვილის, ზაურ მოლაშხიას კალმით – „მე
ვარ ქართველი“. ეს ლექსი იმდენად ძვირფასია,
რომ ისიც სასკოლო სახელმძღვანელოში უნდა
იყოს შეტანილი. თუ ღმერთმა გადმოგვხედა,
ასეც მოხდება და დადგება დიდი პოეტისა და
მამულიშვილის, ზაურ მოლაშხიას სათანადოდ
დაფასებისა და აღიარების ჟამი.

ელემ კვიციანი

პოეტი



ქსენათელი კოლხი



ამ ერთი წლის წინათ, ხანმოკლე პერიოდში, სამ-მა ზუგდიდელმა მწერალმა დატოვა წუთისოფელი. ჯემალ ქირიამ მაღალმხატვრული პროზით გაამდიდრა ქართული მწერლობა, მურმან

ჯგუბურიამ და ზაურ მოლაშხიამ კი პოეზიაში ისახელეს თავი. ახალგაზრდობის შემდეგ სამივე თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენთვის ისინი მაინც ზუგდიდელებად რჩებოდნენ და დარჩებიან. ასაკის გათვალისწინებით (სამივემ რვა ათეულს მიატანა) წუთისოფლის სამდურავი არ გვეთქმის, მაგრამ ერთიმეორის მიყოლებით სამი მწერლის გარდაცვალება დიდი დანაკლისია პატარა ქალაქისთვის.

როცა ფეისბუქიდან შევიტყვე, რომ ზაურ მოლაშხია აღარ იყო, მისი პოეზიიდან პირველივე წუთებზე ეს სტრიქონები გამახსენდა:

„ყვითელი ყვავილი საათას
მზისკენ მიქცეული ჰყვავის...
ბედითად ჩამოჰკრა საათმა, –
სივრცეში მოღამდა ყვავი.
მუხთალო, მნათი ვის წაართვი,
ვისი დღე უკუნად ჰყავი.
გაჩერდა, გაქვავდა საათი,
მაღლიდან დაეშვა ყვავი“.

იოლი ცხოვრება არ ჰქონია ზაურს, (ისევე, როგორც ჯემალსა და მურმანს), ამის დასტურად თუნდა ის კმარა, რომ სოფელშიც დაენვა სახლი და თბილისშიც, რაც არცთუ შეძლებული ადამიანისთვის მძიმე დარტყმა იყო. უმძიმეს ოთხოცდაათიანებში კრებული გამოძიება, ვგრძნობდი როგორ უჭირდა მატერიალურად (ვის არ უჭირდა მაშინ!), მაგრამ ერთი არ დაუჩივლია, ყოველ შეხვედარაზე ნათელ მზერას

შემაგებებდა. ოჯახის სარჩენად ბევრს მუშაობდა როგორც ლიტერატორი, რედაქტორი, ილიაში საქალაქდამორჩილი სულ საქმის ძიებაში იყო, ჯარასავით ტრიალებდა. ალბათ ცხოვრების ეს მონაკვეთი აისახა პოეტის შემდეგ სტრიქონებში:

„როგორც დაღმართზე ციდან დავეშვი,
გამომყვა უფლის თვალები მწერალი...
და ვნანილდები წუთში, წამებში,
რომ შევიღებ სქონდეთ პური და წყალი.“

2

ტკივილისთვისაც არ მრჩება დრო და გადავეჩვიო ოცნებას ლამის,
რამხელა ფრთები საფრენად მქონდა, –
რა უსასრულო სივრცე და ჟამი.“

ჩემს პატარა ბიბლიოთეკაში მაქვს ზაურ მოლაშხიას პირველი კრებული „მზებუდობა“ და ბოლო წიგნი – ავტორის ნაჩუქარი სქელტანიანი ერთტომეული, რომელშიც პოეტმა შეაჯამა თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედება, რომელიც სულხან-საბას ცნობილ განმარტებაზე დაყრდნობით სამ ნაწილად დაუყვია: ხანა სიჭაბუკისა, ხანა სრულკაცობისა, ხანა სიჭარმაგისა. როცა ერთტომეულში შესულ ლექსებს კითხულობ, პირველი რაც თავში მოგდის, არის ის, რომ ათწლეულების განმავლობაში ზაურ მოლაშხიას შემოქმედებითი კრიზისი და ჩავარდნა არ ჰქონია. ბუნებრივია, რომ სიჭაბუკის ხანაში დაწერილ ლექსებს პირველი სიყვარულის სურნელი ახლავს.

„სიხარულით ველზე ვწვები,
გულში ვიკრავ მთას და ბორცვებს,
– ქარო, ქარო, გეხვეწები,
ჩემს მაგივრად მას აკოცე“.

ანდა:

„მაღე მოვა ზამთარი,
მინა გადათეთრდება,

მე ლექსებით დამთვრალი
ვინცებ თქვენთან ხეტიალს.
ჩემს მშობლიურ მხარეში
რა ლამაზად თენდება,
შეყვარებულ თვალებში
დილა ვერ ჩამეტია!“

პირველ შემოქმედებითი წარმატებებით,
პირველ აღიარებით ზაურ მოლაშხიას თავ-
ბრუ არ დაუსხია.

„ისე ჩამიარა კმაყოფილებამ –
არც შემომხედა,
ალბათ, არც კი შევეუნიშნვიარ!“

იგი განაგრძობს ახალი გამომსახველობით
საშუალებების ძიებას, ამავე დროს მძაფრად
განიცდის ახალი ეპოქის მიერ მოტანილ გა-
უცხოებას ადამიანებს შორის, ადამიანსა და
ბუნებას შორის დარღვეულ ჰარმონიას.

3

„ცხენი უმხედრო და უპატრონო
დგას, შესჭიხვინებს ამ საუკუნეს“.

ზაურ მოლაშხიამ მტკივნეულად განიცადა
90-იანი წლების დასაწყისში ეროვნული ხე-
ლისუფლების ძალადობრივი დამხობა, რასაც
მოჰყვა სამოქალაქო ომი და ქვეყნის ტერი-
ტორიული მთლიანობის დარღვევა. მთელი
ცხოვრება ისე გალია, საკუთარ თავთან ზნე-
ობრივი კომპრომისი არ დაუშვია, ბოლომდე
დაიცვა თავისი ცხოვრებისეული კრედო. მის
შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარულის თემას
განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი მუ-
დამ თავისი ხალხის გვერდითაა და უჩუმრად
აკეთებს თავის საკეთებელს.

„მთელი ცხოვრება უხმაუროდ
მოვდივარ შენკენ
და ჩემს მდინარეს წვეთწვეთობით
ვაგროვებ,

რათა ხვატში – მაშველი ქარებივით
- დავძრა ტალღები
შენი მინვრების მოსარწყავად,
შენი ფესვების გასანედლებლად.“

სიჭარმაგის ხანაში დაწერილ ლექსებში
ალაგ-ალაგ იგრძნობა გულგატეხილობა ქვეყა-
ნაში დამკვიდრებული მძიმე სოციალური ფო-
ნის გამო, იმ გასაჭირის გამო, უბრალო ხალ-
ხის ცხოვრებას რომ ახლავს. იგი ყოველთვის
სიმართლის მხარესაა. მისთვის უმთავრესია
არა ცხოვრების მატერიალური მხარე, არამედ
სულიერება, ზნეობრივი ნორმების დამკვიდ-
რება, ტრადიციული ფასეულობების დაცვა.
ამასთან ერთად ზაურ მოლაშხიას შემოქმე-
დებაში მატულობს ფილოსოფიური თემები.
პოეტი ბევრს ფიქრობს სამყაროს შემოქმედის
მიერ ადამიანისთვის მინიჭებულ ფუნქციაზე,
მის დანიშნულებაზე, არსებობის საზრისზე,
სიკვდილზე, სიცოცხლეზე...

„რაც უნდა, იმას გაიგებს როსმე?
იხილავს როსმე უხილავ ვარსკვლავს?
ბუნდად იხსენებს პირველქმნილ კოსმოსს,
როგორც ბავშვობის დაკარგულ
სახლ-კარს!“

ზაურ მოლაშხია ოპტიმისტური ბუნების
ადამიანი გახლდათ და ეს ოპტიმიზმი ბო-
ლომდე გასდევს მის შემოქმედებასაც:

„დრო მოვა – დიდი შვებით აღვსილი
ბედმორჭმულობის მარცვლებს დათესავს;
ცა – მშობლიურად წიაღგახსნილი
არ დაიშურებს ჩვენთვის ნათელსა.“

ჭეშმარიტად! უფალი აუცილებლად შე-
იფარებს და გაანათლებს ზაურ მოლაშხიას
ლამაზ სულს!

პია სუბუა
მწერალი



ზეცის ქალაქი

მორჩა!
 ავიკარ გულა_ ნაბადი,
 უარი გემებს!
 ნუ მიცდიან მატარებლები...
 დღეს არ მჭირდება სხვისი ფარი და მუზარადი!
 მივემგზავრები
 ჩემი მინის და მზის ემბლემით.
 მაღლობა ყველას,-
 ვისაც სურდა ჩემი დარჩენა
 და ჩემთან ყოფნა რომ უხაროდა...
 ყველა მიყვარხართ!
 მომიტევეთ ეს აღმაფრენა,-
 მსურს ამოვიდე წუთისოფლის მრუმე ხაროდან!..
 და სხეულივით მოვირღვიო შიშის კედელი...
 კურთხეულ იყოს ეს ქვეყანა,ველი, ჭალაკი...
 მივემგზავრები!
 შორით მიცდის თვალუნვდენელი
 ჩემი ახალი სამყოფელი – ზეცის ქალაქი.

ვნერ ახლა ამ სტრიქონებს და ვფიქრობ, რამ დაგანერინათ ასეთი სულისშემძვრელი ლექსი, ნუთუ წინასწარ გრძნობდით რომ ზეცის ქალაქის ერთ-ერთი ბინადარი იქნებოდით?... ჰო, იშვიათად მინახავს თქვენებრ გულმართალი და სუფთა სინდისის კაცი... რაღაც შორეულ, ლამაზ მელოდისავით მახსენდება თქვენთან

შეხვედრები, საუბრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე თუ ჩვენი „ბედკრული საქართველოს“ სვე-ბედზე...ნიჭიერი ადამიანის ფასი იცოდით და ეთაყვანებოდით ასეთ ადამიანებს, ცდილობდით, მათი ნიჭი სამზეოზე გამოგეფინათ...

თქვენთვის ზვიადი იყო ერისკაცობის სიმბოლო. უსაზღვროდ გიყვარდა საქართველო, თავისუფლების ფასი იცოდით და ცხოვ-

რობდით პოეტის ცხოვრებით:“ მე ვცხოვრობ , როგორც შეშენის პოეტს და სიკვდილამდე ასე დავრჩები”(„პოეტის მონოლოგი“).

მამული, სრულიად საქართველო თქვენი „უკვდავი გული“ იყო.გტკიოდა გათითოკაცებუ-ლი საქართველო, დაშლილი ქართული სული... ეჰ, ვინ იცის, რამდენი განუხორციელებელი ოცნება დაგრჩა, რამდენი პოეტური შედეგები დააკლდა ქართული მწერლობის თაროს...ჰოდა, ცოტაა ამ ქვეყნად ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრებით ადამიანის დანიშნულებას ამართლებდეს, დიახ, ცოტაა ისეთნი, რომელთაც ასე შინაარსიანად ეცხოვროს, როგორც შენ... მუდამ სხვაზე მოფიქრალი და სხვის ნიჭის დამფასებელი იყავი... რა დამავინწყებს, როდესაც ჩემი მონოგრაფია „მზეჭაბუკი პოეტი“ (დათა გულუას ესთეტიკური სამყარო) დაიბეჭდა, პირველი მოლოცვის ზარი თქვენი იყო, შეხვედრა მთხოვეთ და ვრცელი ამონარიდი ამ წიგნიდან „მარტოსული მუზა“ ჟურნალ „აია-ში“ დაბეჭდეთ...ბუმბერაზი გულის პატრონი იყავით.უშურველი სიყვარულით გვათბობდი და ლამაზი ლექსებით გვანებივრებდი...თითოეული შენი ლექსი, პირადად ჩემთვის, ჩვენი საქართველოს ბუნების ქმნილებას ჰგავს, ბუნების ქმნილებასავით მდიდარი და მრავალფეროვანია, გაზაფხულივით ხასხასა და მარადიული...სილამაზის, მშვენიერებისა და ამაღლებულის წინ წამოწევით ორიგინალური კუთხით დაგვანახვეთ დიდი ეთიკური პრობლემა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის ზნეობრივი გაჯანსაღება, ადამიანად დარჩენა ჩვენს „ორგემაგე“ წუთისოფელში...

ძალიან მეტკინე...უფალმა მარადიულ ნათელში გვიმყოფოს შენი ზეცად ამაღლებული სპეტაკი სული... შობა- ახალ წელს გილოცავ, ზაურ!

ციალა მესხია

გამგზილოვაბი!...

მონყენილია დღე უფერო,დღე უსახური,
მივჩერებივარ გათოშილი ფანჯრის სველ მინას
და ტკივილების თოკი ყელზე შემომხვევია,
წრფელ მოგონებებს სულის ფსკერში უჩუმრად სძინავთ...
ამაოების ზღვაში ცურავს ჩემი სხეული,
გადაღლილი და დასერილი ტანჯვა-გოდებით,
სიდარბაისლით,სიალალით,
პატიოსნებით,
ალალ-მართალი სავსე გულით
მომაგონდები!
სულს დამისერავს ცრემლით სველი
იასამნები,
ამედევნება ღამისფერი შენზე ფიქრები,
რა მწარე არის განშორება ანმყო-წარსულთან,
თუმც საბოლოოდ სუყველანი ერთად ვიქნებით!.....
ძმაო და ტოლო, ცის ტატნობი სევდამ შეღება,
რა ღრმად ჩამძირა ტკივილების აშარმა ტალღამ
და ყოველი დღე, უტიფარი, იმედებს მართმევს,
შემომპარვია უსაშველო დარდი და დაღლა.
დაღონებული, ნაღვლიანი მოლალურები
სულის სარკმელთან განაბული
ჩუმად კვნესიან,
ასე მგონია დედამინას ჩაუცვამს ძაძა
ჭირისუფალი ეს ერთ-ერთი ჩემი
ლექსია.
ერთურთს ვაცილებთ, მკაცრ კანონებს ვერაფრით შევცვლით,
ადამიანი ბედისწერას ამაღ
ნებდება,
გემშვიდობები,ჰო,დროებით გემშვიდობები,
შენს გვარ-სახელთან სულ სიკეთე გამახსენდება!..

მიოზა ცანავა

პოეტი



კეთილშობილი განათლებული...

უდავოა, რომ სიკვდილი ჩვენი ცხოვრების მწარე რეალობაა, სიკვდილი, რომელიც დაუნდობლად წაგვართმევს ხოლმე ჩვენთვის ძვირფასი ადამანის სიცოცხლეს, რომელთანაც დიდი სიყვარული, სიბოძა და დაუფინყარი ურთიერთობები გვაკავშირებს.

უფლის ნებით აღსრულდა და ჩვენგან წავიდა შესანიშნავი პიროვნება, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, სასახელო მამულიშვილი ბატონი ზაურ მოლაშხია, კაცი, რომელიც სიცოცხლეშივე დაფასებული იყო თავისი პიროვნული თვისებებით. ის წლების განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

ბატონმა ზაურ მოლაშხიამ რთული, მაგრამ საინტერესო ცხოვრების და შემოქმედების გზა გამოიარა. მის ლექსებში ყოველი ჩვენგანი დაინახავს საკუთარ თავს, რადგან პოეტი ჩვენს სათქმელსაც ამბობს. ის მრავალი წიგნის ავტორია. განზრახული იყო ზაურ მოლაშხიას სამტომეულის გამოცემა, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ პირველი ტომის გამოცემას მოესწრო.

ჩემი ოცნება იყო, რომ ჩემი ლექსების კრებულის რედაქტორი ყოფილიყო ბატონი ზაური. ოცნება ამიხდა, ზაურის რედაქტორობით გამოიცა ჩემი წიგნი, მეორე წიგნის რედაქტო-

რობასაც დამპირდა, მაგრამ არ დასცალდა.

ბატონო ზაურ! არ ვიცი რა გითხრა, რით განუგემო, რა უცბად გაგვიფრინდი ხელიდან, გულისტკივილს მიასკეცებს ის, რომ ვერაგმა ავადმყოფობამ, კორონამ გიმსხვერპლა.

ბატონო ზაურ, გჯეროდეს, შენს საფლავზე, შენი სულის მოსაგონებლად მარად იციმციმებს დანთებული სანთელი, შენს საფლავზე აყვავებულ ყვავილებს არასდროს

არ მოაკლდება ცრემლების ნამი შენი ოჯახის წევრების,

მეგობრების და ახლობლების მხრიდან. კეთილშობილი, თბილი, განათლებული, სათნო, შეუდარებელი და საამაყო ზაურის ლამაზი ღიმილი დიდხანს ემახსოვრება საზოგადოებას. შენს სახელს და შემოქმედებას ბინდისფერი არასოდეს, არც ერთ დროში არ დაედება, შენ ზეციურ სამყაროში მიგაქვს მთელი გულის სიდიადე და დაკრძალვის დღე შენი მაღალი ღირებულებების პაროდია იქნება.

დარწმუნებული ვარ, უფლის წინაშე წარსდგები პირნათელი და პირუთვნელი და მიიღებ საპატიო ადგილს ცათა სასუფეველში დასამკვიდრებლად გზა გაგინათოს უფალმა.

ამინ! ამინ! ამინ!!!

ზაურა სამუშია



მშვიდობით ძმავო!

(ედღვნება ზაურ მოლაშხიას ხსოვნას)

ზეცას ჩამონყდა ერთი ვარსკვლავი,
ვარსკვლავი ქვეყნის მანათობელი,
თაობებს შორის გამორჩეული
და ღმერთთანაც კი განუყოფელი.
თავმდაბალი და სულით ძლიერი,
ის არასოდეს არ გრძნობდა დაღლას,
ველარ ჰგუობდა სულმდაბალთ, ორგულთ,
ქვეყანას მისი სჯეროდა, სწამდა.
მაგრამ უეცრად მზე დაუბნელდა,
ხალხში კი ატყდა დიდი ხმაური,
ღმერთო! მითხარი რით განუგეშო
ანდა რა გითხრა, ჩემო ზაური.
შენა ხარ ჩვენი გულის ტკივილი,
შენზე ფიქრები მსუსხავს, მაჟრჟოლებს,
იმედი მაქვს, რომ გულში იქნები
შავი სიკვდილი ვერ დაგვაშორებს.
თითქოსდა ახლაც ჩვენს შორისა ხარ,
როგორც ყოველთვის, ახლაც ისევე,
იღწვი, ენთები და ისევ შრომობ,
ისევ ლექსებს წერ, ველარ ისვენებ.
ხელის კანკალით ვწერ შენზე სიტყვებს,
მაგრამ არვინ მცემს სანატრელ პასუხს,
ნუთუ სიცოცხლე ბენვის ხიდია,
დაჯერება კი ნამდვილად არ მსურს.
უშენოდ ზეცაც მოწყენილია,
მოწყენილია თვითონ ბუნებაც,
ხელაპყრობილი ვდგავარ, ვლოცულობ,
მაღალ ღმერთს შევთხოვ შენს დაბრუნებას.
შენთან რა უნდა ამ ტიალ სიკვდილს,
სისველე რატომ იგრძნეს თვალებმა,

შენ ცოცხალი ხარ, ჩვენს შორისა ხარ,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება.
...ო, ღმერთო ჩემო, რა ვთქვა, არ ვიცი,
ვერაგ კორონას რად შეეწირე?
ნუთუ მიენდე შენს ბედისწერას
და სიკვდილიც კი ვერ აიცილე.
ნუთუ სიცოცხლე შეწყდა, გაჩერდა,
სამრეკლო ანთებს ღრმა პანაშვიდებს,
ჩვენს სულებში კი კვლავ გრიგალია
და ვერაფერი ვერ დაამშვიდებს.
გაციხულ სხეულს ვერვინ გაათბობს,
მის გულს მფარველი ანგელოზი ჰყავს,
ჩვენს საყვარელ და სანუკვარ მგოსანს,
გულს დააყრიან მშობლურ მიწას.
მორჩა, ქუჩაში ვერ გამოჩნდები,
დასრულდა შენთვის ოცნების მხარე,
უფალს მიენდე, მას მიეზარე,
უმანკო სული ღმერთს მიაზარე.
გულში დარდია და სულში წვიმა,
ველარ ვიხილავთ შენს ცისფერ თვალებს,
ჩაქრა უმანკო შუქი ნუგემის,
ერთად ჩაგიქრა მზეცა და მთვარეც.
ისევ გაისმის გოდება, კვნესა,
დაბნელდა ზეცა, ქარია სულშიც,
მშვიდობით ძმავო, მშვიდობით ზაურ!
მარად დარჩები მოყვასთა გულში.
მზე ძველებურად ისევ ამოვა,
ცა თეთრი ნისლით გადისერება,
კაცური კაცი მოკვდა, დაგვტოვა,
მუდამ იქნება მისი ხსენება.

ზაირა სამუშია

5.1.2021 წელი



ჩემი სულიერი ძმა

(ზაურ მოლაშხიას მოსაგონარი)

ჩაიხსენებო



გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებია. მე აბიტურიენტი ვარ. ექვს დამას შორის უფროსი შვილი. მამაჩემი მიხეილი და გელენახე დედა თავზე მადგანან. ყოველთვის ბოლომდე მიყვარდა საქმის გადადება, სანამ დამიანე გოგობიას სამსახურში არ მოვხვდებოდე მოგვიანებით.

სწორედ იქ, საზოგადოება „ცოდნაში“ ვისწავლი ვლადიმეროვიჩისგან დავალების თანადროული შესრულების აუცილებლობას. მაგრამ ეს განკერძოებითი თემაა, სხვაგან მოსაყოლი. ჩვენ კი საგამოცდო ციებ-ციხელებას უნდა დავუბრუნდეთ. იმ პერიოდში დღევანდლისგან განსხვავებით უნივერსიტეტი ერთადერთია საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობისა და ამ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის პროფესია ყველაზე პრესტიჟულია.

დედაჩემი გელენახე არ კმაყოფილდება საგამოცდო საგნების მაღალ დონეზე მომზადების ჩემეული კომენტარებით რალაც უღიმღამო კურსებზე ეკონომიკის ინსტიტუტის შენობაში, კიროვის ქუჩაზე, რეპეტიტორებს დამახვევს თავზე, რათა შარშანდელივით არ ჩავიჭრა და ჯარში წონილმა არ მომიწიოს. მამაც თავზე დამდგომია ერთ მოციცქნულ ბინაში. ფეხებს ცივ წყალში მაყრევიანებენ მეცადინეობისას. ჩემი ბინის ამხანაგი მსგავს კოლოფში გადობარგებულა, ასევე აბიტურიენტი მეგობართან.

ეს სიტუაციაა და მისის შუადღეს გელენახე ოფლში გახვითქული მოგვადგება კარზე. ერთ ამბავშია. სტუმრები მოუწვევია. მათი

დახვედრის თადარიგს დაიჭერს.

დაახლოებით საათ-ნახევარში სამი ახალგაზრდა გვეწვევა.

იცხონებს სულს მამაჩემი ბიეტოროვიჩი, გამოუჩნდა თანამეინახენი და მოიძებნება საბაბი ჭიქების წკარინისათვის.

სტუმრები ჩვენი დედა-უნივერსიტეტის უფროსკურსელები აღმოჩნდება, სამივე კოლხი, სამივე ზუგდიდელი, სამივე სიტყვასთან მოალერსე პიროვნება.

სამეულში რაულ ჩილაჩავა ყველაზე სოლიდური ჩანს, ჩაცმულობითაც, მანერებითაც. სუფთა ევროპელის განსახიერებაა, მოგრძო, ჩამოსმული სახით, გულღია ღიმილით. როგორც დროთა მსვლელობაში ირკვევა, ის თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებიდან კიევში გადასულა იმავე პროფესიით, უკრაინული აუთენსებია და უკვე მოუხსნია კიდევ პირველი თარგმანების წიგნად გამოცემა.

მომდევნო ზაურ გულორდავაა, ისტორიკოსი, გალანდული, შეთხელებული ქორორით და ეშმაკურად მოციავე თვალებით. სულ სახუმარო თემებს გადასწვდება ხოლმე და მამაჩემის გულს ეგრევე მოინადირებს. მამაჩემ მიხეილს ანეკდოტების მოყოლა ძალზე უყვარს სამხანაგოში სოფლად და ამისთანა დროს სიცლით თავად იგუდება ხოლმე სხვებზე მეტად. განა ჩვენი მეზობელი, ჯაგარაულვაშა გრიშა იზორიასავითაა, იტყვის მუცელზე გასაფხრენს ჩვენი გრიშუხი, იჭაჭება დიდ-პატარა, ცრემლი სცვივით თვალებიდან მსმენელებს, ერთმანეთს ზურგებზე მუშტებს უბაგუნებენ, თვითონ კი არის ხეოფსის მუმინასავით გარინდებული. ამას სიმპათიებს ზედ ისიც ერთვის, რომ ბექირბი ხასიასთან ნაცნობობის ძაფები აღმოაჩდება ზაურ გულორდავს, რომელიც მამაჩემის დედაშვილია.

დედაჩემს სახეზე ხვითქი გადასდის, აქეთ ღომი და ხაჭაპურები, გოჭი და ქათმები. ღვინო ჩვენი ბინის მეპატრონე, ძირით ხონელი ძიძი-

გურისაა, უკეთ, მისი არქეოლოგი სიძის გობეჯიშვილისა, ხვანჭკარა, აბა, ბიქტოროვიჩის ჩამოტანილი ნოვა დაშაქრულია და უროსავით გირტყამს თავში.

ვისაც ჩემთვის მეტი გულისყური დაუთმია, ზაურ მოლაშხიაა, კრიალა, შუაზე გაყოფილი, ჩალაგებული კბილებით, რომელიც თვალში საცემი გაღიმილებისაა განსაკუთრებულად.

რაულ ჩილაჩავა და ენვერ ნონონავა ნარდს მიჩოჩებიან. ეგ უკანასკნელი ტექნიკური განათლებისაა, ზუგდიდელი და რალაცნაირად რაულის აღნაგობის. ფერი ფერსო, მათზე ითქმის.

ზაურ მოლაშხია და მე ლიტერატურული საკითხებით ვერთობით. დამილაგებია მისთვის ჩემი „შედევრები“ გამოტენილი საერთო რვეულები, თაბახები და განაჩენის მოლოდინში ელეთმელეთი მომსდის.

– **მამლის ყელით გასროლილი ლურჯი დილა, ექოსავით უბრუნდება თბილისს,** – ხმამალლა გამოჰყოფს მოწონებულ სტრიქონს ზაური, რასაც ეგრევე წყალს გადაასხამს რაული, ამნაირი ინტონაციით; **მამლის ყელით გასროლილი პატეფონი** და არის გადამდები ხარხარი.

იგივე ბედი ეწევა ხმამალლა, ოპონენტის ყურთასმენის სანვდომად წაკითხულ ჩემს იუმორისტულ მინიატურას.

– შენ რა, დუმბაძე გინდა გამოხვიდე? – მომადახებს გამთანგავად.

ზაური მიკითხავს თავის ლექსებსაც, მომცროებს;

რაული ნარდის თამაშის მიუხედავად მენტორული ტონით ახერხებს ჩვენი საუბრის გაკონტროლებასაც და მოწინააღმდეგესაც აფინთიხებს „ონებითა“ და „მარსებით“.

პოეტური სახის ნიმუშად წაიკითხავს მოცქნაფულ საკუთარ ლექსს სათაურით „ღამურა“. არის იქ ამისთანა სტრიქონი: **„ვნახე: – ღამეში მიფრინავდა ღამის ნაწილი“**. რაულს ვერ გაურკვევია, ვისია დასახელებული ბნკარები და ძველებური ირონიით წირვას გამოუყვანს ამასაც:

– აბა, რა ვუყოთ ლორკას: **ხვლიკი – ნიანგის წვეთი**.

ჩვენ ვაგრძელებთ საუბარს და ყურადღებას არ ვაქცევთ, თუ რა ბედი ეწევა ბექირბ

ხასიას ქალბატონებს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის რეზიდენციაში კიროვის ქუჩაზე, ან თავად რეზო ნონონავას, ნარდში ზედიზედ მერამდენე წაგების შემდეგ.

ზაურ მოლაშხია ჩემი ათიოდე ლექსის უჩუმრად ჩაკითხვის შემდეგ, ისევ შემომამველებს სანიმუშოდ საკუთარ პოეტურ სტრიქონს, ამას ერთგვარი დამრიგებლური პოზიციიდან მოიმოქმედებს.

**„ჩამოტყდა ტოტი,
დაესვენა მინაზე ნელა,
ახედა სევდით
სიმალიდან მაცქერალ ტოტებს.
აღმობდა მდურვით: –
ჩემს ტკივილებს გაიგებთ ყველა,
ჩემთან, მინაზე,
უნებურად ჩამოხვალთ ოდეს“**.

ისევ წამოვა წკიპურტები რაულისგან. გლექსი კვლავაც ჩემი ჰგონია, რომლის გამოქვეყნება ზაურს ვერ მოუხწრია და რაულმაც ნაკლებად უწყის ამის შესახებ.

– პოეტურად გამართულია თითქოს, – ამბობს მრისხანე ოპონენტი, – მაგრამ ეგ გოეთესია, ჯერ ლერმონტოვმა მიისაკუთრა სანახევროდ, კი მიუთითა, „გოეთესგანო“, მაგრამ, თარგმანიაო, არ აღუნიშნავს: Горные вершины Спят во тьме ночной; Тихие долины Полны свежей мглой; Не пылит дорога, Не дрожат листья;...Подожди немного, Отдохнёшь и ты. ახლა ჩვენს მომავალ კოლეგას მოსურვებია ამ ლექსის ილღიაში ამოჩრა.

ზაურ მოლაშხიას სახე წამოუწითლდება, მაგრამ შეკამათებით აკვლავაც არ შეეკამათება მეგობარს. გატრუნულია ლურჯთვალეობა დათვივით.

თვალეები მართლაც ზღვისფერი ჰქონდა ზაურს. აი, უძირო, კრიალაო, რომ იტყვიან. მათში მე მხოლოდ სიკეთისა და მსუბუქი ცრემლის მეტი არასდროს დამილანდავს ღამის ერგასი წლის განმავლობაში. მსუბუქი ცრემლი მამის და დამწვარი სახლის გახსენებისას მოერეოდა ხოლმე, სიკეთე კი ყოველთვის, ყველგან ციაგებდა მათში – ქუჩაში, კათხა ლუდზე, პოეზიის საღამოებზე, წვეულება-ქელეხში, სად არა. მხოლოდ ერთხელ, ავბედით ოთხმოცდაათიან წლებში ვიხილავ მე მათ მრისხანებით

ანთებულებს, აი, შეშლილი, ცოფის მყრელი, რომ იტყვიან, იმისთანებს, თუმცა ამაზე მოგვიანებით.

როგორც იქნა, ველირსებით გელენახეს ღომს, ელარჯს, კუპატებს, მოხარშულ შაშხს, ახალი წლიდან საგულდაგულოდ მოზოგილს ჩემთვის და ჩემი სამეგობროსთვის.

აინყვეტს ქეიფის მაზანდა.

თამადობა ზაურ მოლაშხიას ერგება წილად, როგორც მთავარ გამთამაშებელს. ეკუთვნის კიდევაც, რადგანაც ჩვენს ოჯახთან რაულის და ზაურ გულორდავას დამაკავშირებელი რგოლი, დიახაც, ეგ გახლავთ.

ამ დილაუთენია, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გელენახე პირველად მას გაუცვნიან. ის კი არა, ამ ნაცნობობას ჩხუბიც მიჰყოლია მასა და რომელიღაც ხეპრე სტუდენტს შორის.

დედაჩემს პირველად იმ „ხეპრესთვის“ მიუმართავს, ფილოლოგიის ფალკულტეტის დეკანატი უკითხავს. იმას ზაურისთვის გადაუბარებია, „აქ ვილაც მეგრელი ქალია, შენი კუთხიდან და მიხედო“.

ამაზე გაცოფებულა ჩვენი ზაური. გამოუთათხავს, „სად არის შენი ქართველობაო“, შეუჩვენებია. მოკლედ, ორიოდ ნუთში გარკვეულა გელენახეს გასაჭირი და თავად გაძლოლია დეკანატისკენ. მის კვალობაზე მოუპატიჟებია დედაჩემს საგანგებო სუფრაზე ამხანაგებთან ერთად, რათა ნამდვილ პოეტებთან ურთიერთობა რამდენადმე წამდგომოდა მომავალში.

ის სუფრაც არასდროს წამეშლება გონებიდან.

აქ არ ყოფილა მოჭარბებული პათეტიკები, სამშობლოს, ტრადიციული სადღეგრძელოების დროს რომ ამოხვავდება ხოლმე, არამედ ყოველივე სალონურ საუბარს უფრო წააგავდა პოეზიაზე, ლიტერატურზე ზოგადად. ამ საუბარში ჩვენი თანამეინახენი მსწრაფლ გადასწვებოდნენ თავიანთ კოლეგებს: ვანო ჩხიკვაძეს და გივი ალხაზიშვილს, ბესიკ ხარანაულს და თედო ბექიშვილს, ტარიელ ჭანტურიას და ოთარ ჭილაძეს.

ზაური ნაკლებად თანაუგრძნობდა ვერლიბრისტებს, თეთრი ლექსის მიმდევრებს, რაულთან შედარებით. მე კი, ამ ყველაფრის გამგონეს, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი.

საპნის ბუშტივით გაქრა ჩემი გრანდიოზული წარმოდგენები საკუთარ თავზე, საკუთარ პოეზიაზე. პირველად მესმოდა ბევრზე ბევრი ლიტერატურული გმირის თუ მწერალის გვარსახელები: ჩანტლაძე: **ნავიდა თოვლი, მოვიდა მინა**, ნიკო სამადაშვილი: **ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამოწყარო**. მე კი ყველის ვაჭარივით ვიკრიჭებოდი, თითქოს ყველაფერი ხუთიანზე მქონოდა დაზუთხული.

თავიდან ზაური თუ რამდენადმე ღმობიერი იყო განუყრელი მეგობრის, რაულის მიმართით, მალე, ძარღვებში ღვინოს გაჯდომის კვალობაზე, შეუვალი გახდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ისტორიოგრაფიას, ესთეტიკის საკითხებს. თავისი ასაკის კვალობაზე ზაური უალრეს ნაკითხობას ამჟღავნებდა. განსაკუთრებით ქართველი ავტორების შემოქმედების უბადლო ცოდნას. მართალია, რაულს ევროპული ლიტერატურის მეტი წვდომა ჰქონდა, ამას მისი მდგომარეობაც უმართავდა ხელს გარკვეულწილად. და როდესაც უკვე ლამის სამ საათს გადაცილებულ პურობას ნელ-ნელა ბინდიც წამოეპარა, ჩვენმა თამადამ მეტი კატეგორიულობით დაიწყო განელილ საუბრებში ჩარევები, დროს შეხსენება, წინ მომლოდინე შორი გზა.

– გვეყო კაცო, ლათაიები, ხომ ხედავ, სადღეგრძელო გაცივდა, დალიე, ჩაიხვარჩალო, – ეტყოდა, და ამნაირი მომთხოვნელობით ხელიდან არ უშვებდა თამადობის სადავეებს.

ქურა-ქურა

აქვს მორის ფოცხიშვილს ერთი ლექსი, „თეთრი კედელი“, რომელიც შემდგომ სიმღერადაც იქცა: **...ქურა-ქურა ალუბლებს ქარი თეთრად პენტავს, მეგობარო, ამ გულს თუ ვერ გაუგე, ვის გაუგებ ნეტა?** იმ წლების ჩვენეულ ცხოვრებას, ჩვენს ლიტერატურულ არსებობას, თამამად შეიძლება დაერქვას ასე – **ქურა-ქურა**. ეს განცდა, ფელინის ერთი ფილმის ანარეკლიცაა უეჭველად – **„გზა“**, რომელიც ფხიზლად მოდარაჯე საბჭოურმა იდეოლოგიამ ამნირად თარგმნა: **Они продили по дорогам**. მოვა დრო და ეს გვერდები შესაძლოა ოდესმე ლიტერატურულ პორტრეტებში გადამეზარდოს, აგრე

რომ მენადა სულმუდამ და მოუცლელობის გამო თავს ვერაფრით ვაბამდი.

ოთხმოცდაათიანი წლებია.

ზაურს და ჩემ შორის უკვე დიდზე დიდი უღალატო მეგობრობის ხიდია გადებული. მართალია, იშვიათად, მაგრამ ოჯახებშიც ვახერხებთ ერთმანეთის მონახულებას. მისი მეუღლე **ნატო ყვანია**, ნამდვილი კოლხის განსახიერებაა. დედ-მამის წყალობით ბინა შეუძენიათ კოტე მესხის ქუჩაზე, 14 ნომერში. ზაურს და ნატოს სამი შვილი ჰყავთ უკვე. შუათანა ლაშა კინოშიც კი მიიღებს მონაწილეობას, **ფარაჯანოვის „სურამის ციხეში“**, ზურაბის პატარაობას განასახიერებს. ეს მომენტი ცად დააფრენს ჩემს ძმობილს. „ჩაიხვარჩალე“ მისი საფირმო სახელი ხდება დროთა ვითარებაში ვინრო მეგობრულ წრეში.

ბედი გამიღიმებს და ფრიად ორიგინალურ პროექტს-სერიალს – „ნობელის პრემიის ლაურეატებს“ დამიფინანსებს გაერთიანებული ქართული ბანკი. ამას ჩემი ახლობელი ძმაკაცების ხელდასხმა განსაზღვრავს რამდენადმე, მალხაზ ხულორდავას და ნუგზარ ფიფიას თანადგომა. 600 000 რუბლის სესხს მომცემენ და მეც, უნახავმა რა ნახაოს კვალობაზე, დავტრიალდები. ზოფისს არენდით ავიღებ ბაქრადის პირველ შესახვევში, პირველ სართულზე. გზისპირ ფირნიში გამოიჭიმება „ოდაბადეს“ სახელწოდებით. მომიხშირდება მიმოსვლები მოსკოვში, ბალტიისპირეთში. დედამინის ზურგზე პირველი ვარ, ვინც ამ სერიალის გამოცემას მოჰკიდებს ხელს. ზაური ხშირად მოდის ჩვენსას. ქვეყნის დანმანგრეველი პუტჩი ჩვენი ოჯახის კისერზედაც გადაივლის რამდენადმე, ვინაიდან 6 იანვარს ოფისს ავტომატის ჯერით დაგვიცხრილავენ. ფანჯრის გისოსები გადაჭმულია AKM-ის ტყვიებისგან. საბედნიეროდ, ბავშვები მეუღლის ნათესავთან მყავს გახიზნული, ტანი გვიგრძნობს თუ რა?! ჩვენც ამის კვალობაზე სამეგრელოს შევაფარებთ თავს. იქაც მიტინგებია, იქაც უსაშველობა. უუკვე „მხედრიონთან“ და „ეროვნულ“ გვარდიასთან გვინევს უთანასწორო შეხლა-შემოხლები და რას გავანყობთ, კვლავ დანასეტყვარ ბინას მოვუბრუნდებით.

მოდიან ჩემთან უფროსი მეგობრები: რე-

ზი თვარაძე, დალი ფანჯიკიძე-კოკაია, ნოდარ კაკაბაძე, თამაზ ჩხენკელი, ბაჩანა ბრეგვაძე, კარლო ჯორჯანელი, ნიკო ყიასაშვილი, ჯემალ აჯიაშვილი. ვუკვეთავ მათ თარგმანებს, ვაძლევ წინასწარ ავანსს. ზაურ კილაძესთან თანამშრომლობით სერიალის პირველ ტომს „უილიამ ფოლკნერს“ უკვე დღის სინათლე უხილავს; მომზადებულია გამოსაცემად მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“, მზადდება გამოსაცემად ბორის პასტერნაკის „ექიმი ჟივ-გოს“ აკაკი ბრეგვაძისეული თარგმანი, კარლო ჯორჯანელისგან „დოქტორი ფაუსტუსი“. ზაური კვირაში ერთხელ უეჭველად გამოგვივლის.

ქუჩა – სახლი, სახლი – ქუჩა, ასეთია ჩვენი ცხოვრების ანი და ჰაე. იმ დღეს ხალხმრავალი მანიფესტაცია გაიმართება რუსთაველზე, ლამის 100 000-იანი მშვიდობიანი მსვლელობა მთავრობათა სასახლისკენ. და აი, კვლავაც ამოქმედდება ე. წ. „მტკიცე ხელის“ სადამსჯელო პრაქტიკა, ხელკეტებით, ფარებით, ჯიშინი ცხენების კავალერიით შეუტევენ მომიტინგეებს. მე და ზაური გვერდიგვერდ ვართ. ჩვენ წინ მორბენალ კახას და ლაშას მილიცია „ჩორნი ვორონებით“ გააქანებს ათობით, ასობით ბობოქარ ახალგაზრდასთან ერთად. ჩვენ გვინდა გამოვედევნოთ იმ არაკაცებს, გამოვტაცოთ ჩვენი თავგადადებული შვილები, მაგრამ სადამსჯელო ძალებისგან დაფანტული ხალხის ნიაღვანი სადარბაზოებისკენ მიგვაქანებს. უუნებურად ამ ტალღასთან ერთად ჩემს ოფისთან აღმოვჩნდებით. ჩემს მეუღლე ნანას, **ნანა ხუფენიას**, ოფის-საცხოვრისის კარები ფართოდ გაუღია და ასზე მეტი დევნილი მომიტინგე შემოეტევა იმ ბინაში. სხვები გარბიან, ვინ საით და ვინ საით. დაახლოებით ოც-ოცდახუთ წუთამდე გასტანს გულის შემანუხებელი ეს სიმჭიდროვე ბაქრადის 21-ში. როცა ქუჩაში ოდნავ შეთხელდება ხალხის მასა, ზაური დაპატიმრებული შვილების საძებრად დაელირება, ბინაში მოგაკითხავ-მეთქი, დავანუგეშებ, კუპონებს ჩავუჩურთავ ჯიბეში. მაგრამ შეპირებულ ჩემს სიტყვას ახდომა არ უნერია. გაკრეფილია ხალხი ბინიდან. ელექტროგამაცხელებელზე ლობიო იხარშება ალუმინის ქვაბით. ეს წუთია და ჩემი ცუგრუმელა უფროსი მარი ტრიალი-

ასას კაბის გაშლილი კალთით გამოედება ამ ქვაბს, დავარდება ქვაბი იატაკზე, მდულარე წყალი ფეხზე და მკერდზე შემოეშხეფება. არის წივილ-კივილი. პირველი დახმარების პროცედურებია სოდიანი წყალი. ეგრევე ტელეფონს ვეცემი და მარის ნათლიასთან, **როინ პაპავასთან** ვრეკავ. ისიც მანქანით მოვარდება. რაღაც საათის განმავლობაში თურმანიძის მალამოცაა მოტანილი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან. მართლაც სასწაულმოქმედი აღმოჩნდება ეს დალოცვილი მალამო. ბავშვს ერთიანად დაფუფქული ფეხი და მკერდი ორ-სამ დღეში უპრობლემოდ მოურჩება. ზაურს შეუტყვია ჩვენი განსაცდელის შესახებ და მომდევნო დღეს აქეთ გვინახულებს დაზაფრულებს. საბედნიეროდ, მისი ბიჭები – კახა და ლაშა სამშვიდობოს არიან ათობით დაპატიმრებულთან ერთად, თუმცა

თავად დატყვევნილ საქართველოს არაფერი ეშველება – აფხაზეთში ჯერ კიდევ როდის დაგეგმილი ძმათამკვლელი ომი აგორდება და დასადგურდება სიტუაცია, რომელიც ერთი ფრაზაში ეტევა უდანაკარგოდ: **ვაის გავეყარე და უის შევეყარე.**

P. S.

სახელდახელო საუბარს ვამთავრებ ჩვენი დიდბუნებოვანი და უნიჭიერესი მეგობარი პოეტის, ზაურ მოლაშხიას ლექსით, რომელიც ჩემს მრავალნაცად და გაჭირდიდებულ ორტომეულში, „იბერიული პოეზიის ანთოლოგიაშია“ შეტანილი, მისგანვე მოწოდებულ-შერჩეულ ლექსებთან ერთად. ამ პოეტურ ნაწარმოებში ყველაზე თვალსაჩინოდ იხატება ჩემი სულიერი ძმის – ჩემი ზაურ მოლაშხიას მსოფლიო მოქალაქეობა ეროვნულ ფასეულობების მხარდამხარ:

მოვაფრიალებ რიჟრაჟებით შეკერილ დროშას

მოვაფრიალებ რიჟრაჟებით შეკერილ დროშას, რომ გაღვიძებულ მანათობელს შევხვდე ზეიმით. მოვაშრიალებ გაზაფხულით ავსებულ ტყეებს, რომ გამოქარულ და ნაზამთრალ ხევსა თუ მთებში ახალ სიცოცხლით ახმიანდეს ჩამქრალი ტევრი.

წმინდა დღეებით და ფიქრებით დაწნულ გვირგვინებს მე ვადგამ მწვერვალს, სამერმისოდ მაღლა აზიდულს, და ვხდავ შორით: – ცისარტყელით მოხატულ გზებით, ხან ნარვალებით, ხაროებით, მინდვრებით, მთებით ჩემი დროშისკენ ეს სამყარო მოდის და მოდის.

უფრო მაღლა ვწევ რიჟრაჟებით შეკერილ დროშას და ვუფრთხილდები მის სინმინდეს, შეუვალობას... წინასწარ ვიცი განჩინება მომავალ დროთა, როცა ვუყურებ სამერმისოდ დარწეულ აკვნებს, ოდეს უწყვეტად და დაუთვლელ მწკრივად, რიგებად მთელი ქვეყანა ჩემკენ მოდის, მოდის და მოდის. მოვაფრიალებ რიჟრაჟებით შეკერილ დროშას.

გური მტოზაია

მწერალი

მუდამ სანთელივით ანთებული



ჭეშმარიტი პოეტი, ღირსებით შემკული და ქართული პატიოსნებით სავსე მეგობარი წაგვართვა ამ საშინელმა კოვიდმა – ზაურ მოლაშხია აღარ გვყავს, საქართველოსთვის მუდამ სანთელივით ანთებული ზაურ მოლაშხია, რომელიც ისეთ

სიტბოს და ყურადღებას გამოხატავდა ყოველი ჩვენგანის მიმართ, რომ, თავი როგორც არ უნდა შევიკავო ახლა, მაინც მეტირება.

ზაური ნამდვილი პატრიოტი იყო, რაც მის ლექსებშიც თვალნათლივ ჩანს... საქართველოს სიყვარულისთვის დასჯაც კი დაუპირეს საბჭოეთის დროს... მაგრამ ჩაერივნენ დიდებული ადამიანები და გადაარჩინეს...

მისი ყოველი ლექსი სიტბოთი გამოირჩევა. მინდოდა ნიმუშად რომელიმე მომეყვანა, მაგრამ მისი ნაჩუქარი წიგნი ჩემს თაროებზე ვერ ვიპოვე, ამიტომ იგივე ლექსი უნდა წარმოგიდგინოთ, რომელიც გუშინ ზაალ ჯალალონიამ დადო:

მ ზ ი ს ე კ ლ ე ს ი ა
დიდხანს რეკავდა, დიდხანს ფხიზლობდა,
გზად სასოება დაუთესია
და სავსე იყო ცით და სიზმრებით
ჩემი პატარა მზის ეკლესია.

წვიმა მღეროდა თუ თქარუნობდა, მუდამ ისმოდა ჩუმი გალობა და ლულუნებდა თვითონ ბუნებაც შენს სიმართლეს და წარუვალობას.

და დამყურებდი მუდამ ზემოდან, დამქონდა რწმენა, როგორც უღელი. შენზე ვფიქრობდი, შენი მჯეროდა, შენ გიჩოქებდი ქედმოუხრელი.

ბოლოს დამტოვე, გაქრი სრულებით და საძვალენი ჩუმად კვნესიან... დავრჩით მარტონი, უერთგულესი მე და მდუმარე მზის ეკლესია.

ასეთი ჩუმი პოეზიით სავსე დიდი ლექსები აქვს ზაურ მოლაშხიას და სწორედ ესაა გასათვალისწინებელი, მისთვის სამუდამო განსასვენებელი ადგილის მიჩენამდე... და არა ის, თუ რამდენი წიგნის ავტორია და რამდენი რეცენზიაა დაწერილი მის შემოქმედებაზე.

ვუსამძიმრებ მის მეუღლეს ქალბატონ ნატოს, მის შვილებს, მის ნათესავებსა და მეგობრებს და ვიზიარებ მათ უზომო მწუხარებას.

მშვიდობით, ჩემო ზაურ, უერთგულესო ძმავო და მეგობარო!

ეს კი, შენდამი მიძღვნილი, ნაუცბათევი და უბრალო ერთი სტროფი:

ქართველობა იარებით ნაკვნესებ
გულიდანაც მოგიჩანდა ზეხატად...
საქართველოს სიყვარული სახეზე
ანგელოზის ფრესკასავით გეხატა!

გათუ დანელია

05. 01. 21.

დაძვრალი მახულიძე

შესანიშნავი პოეტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი ზაურ მოლაშხია გახლდათ კაცი- დიდბუნებოვანი, სულიერებით გამორჩეული, მოყვასისადმი ჭირსა თუ ლხინში უანგარო თანამყოფობისთვის შემართული...

სტუდენტობის წლებიდან ვმეგობრობდით და ბუნებრივია, გვინევდა მეგობრებთან ერთად პურღვინისეული მადლითაც „ზიარება“...

ყველგან და ყოველთვის, სადაც უნდა ვყოფილიყავით, მთასა თუ ბარში, მუდამ გამოირჩეოდა ხაზგასმული ტაქტიანობით, მეგობრობის ფენომენისადმი პატივდებული დამოკიდებულებით; იყო ასევე ტრადიციათა, ადათ-წესთა თუ, ზოგადად, ქრისტიანული მრწამსის შემმეცნებელი, სტუმარმასპინძლური ყადრის მიმდევარ-დამფასებელი, ტკბილ-მოუბარი, ძმაკაცური, შნოიან-ჯავარიანი, სამეგობრო ჭაპანის უდრტვინველად გამწევი, უშურველობით ცნობილი...

მასხენდება ზაურის ცათაფრენაშემდგარი წუთები, როდესაც მისთვის ცნობილი ხდებოდა მავანის და მავანის წარმატების ფაქტი... პირველყოფილი, ხიბლიანი სისპეტაკე შვენოდა

ზაურ მოლაშხიას კაცებრივ-ვაჟკაცურ ყოველნუთიერობას ჩვენს ჟამკარარეულ ეპოქაში...

ამჯერად ემოცია მძალავს...


ვინძლო, სხვა დროს უფრო

ვრცლად გავისხენო ზოგი რამ სამშობლოსათვის ნატანჯ-ნაგვემი კანთიელი მამულიძეილის, ჩემი კეთილსაჩრდილობელი მეგობრის-ზაურ მოლაშხიას დასტურ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცხოვრებიდან...

ეეჰ!!! ცოტა ნაადრევი იყო...დიდია გულის წუხილი...

ძმაო ზაურ! შენი გულქართლობისგათვალისწინებით, მნამს, მიღმიერშიც უთუოდ საჩინო ადგილასიქნები დავანებულ-დამკვიდრებული უფლის ნებით...

გაცხოვნოს მამაზეციერმა, დამაშვრალო მამულიძეილო! ამინ!!!



როსტომ შამუგია



გუმხურვალე პატრიოტი

სამწუხაროდ, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა ბრწყინვალე პოეტი და სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი, ბატონი ზაურ მოლაშხია...

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ სახელით გულწრფელად ვუსამძიმრებ ბატონი ზაურის ოჯახის წევრებს და ასევე მის თითოეულ ჭირისუფალს...


უფალმა გაანათოს და აცხონოს მისი სული...

ღორღონთქ განათას დო ოჩხონუას პელეტი პოეტი ზაური მოლაშხიაში შური...

ზურაბ კვარაცხელია

ერთგული თანამებრძოლი

თითქოს მალე გაირბინა ერთმა ნელმა მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის აღარ არის ყოველი ჩვენგანისთვის საამაყო ადამიანი, ჩინებული პოეტი და ერთგული თანამებრძოლი ზაურ მოლაშხია.



თბილისში, ტაშკენტის ქუჩის 25-ში, ქალბატონი ლუარა გამყრელიძის ბინაში, სადაც ჩვენ ხშირად ვიყრით თავს და სახვალის გეგმებზე ვსაუბრობთ, ზაურ მოლაშხიას თავისი განუმეორებელი კოლორიტით, თავისი თუ სხვისი ლექსების ნაკითხვით, ნაკითხობით თუ იუმორით განსაკუთრებული სიხალისე და ოპტიმიზმი შემოჰქონდა. მას არ სჩვეოდა საკუთარ თავზე ლაპარაკი და მუდამ გვიყვებოდა სხვებზე: პოეტებზე, პროზაიკოსებზე, ეროვნული მოძრაობის მოღვაწეებსა თუ უბრალო ადამიანებზე. იგი შეუდარებელი მოსაუბრე იყო და ასეთივე თანამესუფრეც. ჩვენს ზაურ საოცარი მეხსიერება ჰქონდა და მას ყოველთვის ინტერესით ვუსმენდით.

ზაურ მოლაშხია იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც არ უღალატეს საკუთარ მრწამსს და ბოლომდე დარჩნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების ერთგულნი. სამწუხაროდ, ასეთი მწერლები არც ისე ბევრი ჰყავს საქართველოს, მათ შორის კი ჩვენს მეგობარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი ბრწყინვალე პოეზიითა და შეურყეველი პოზიციით, ცხოვრების წესით, პატიოსნებითა და უღალატობით.

მთელ მსოფლიოს მოდებულმა ვირუსმა წაგვართვა ზაურ მოლაშხია. სამწუხაროდ, სწორედ კოვიდის ეპიდემიის გამო სათანადო პატივი ვერ მივაგეთ მის ხსოვნას, მაგრამ ვერც ეპიდემიები და პანდემიები, ვერც წლები ვერ გააფერმკრთალებს იმ ნათელ კვალს, იმ სიყვარულს და სახელს, რაც ჩვენ, მის მეგობრებს, მთელ საქართველოს დაუტოვა ამ ნიჭიერმა და მართალმა კალმოსანმა, რომელმაც რჩეულ შემოქმედთა პანთეონში პოვა სამუდამო განსასვენებელი.

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ზაურ მოლაშხიას ოჯახს და ვიტყვი, რომ დიდ ტკივილთან ერთად ოჯახსაც და მის მეგობრებსაც ნუგეშად დაგვრჩა მისი ბრწყინვალე პოეზია, მისი სანაქებო ცხოვრება და მასთან ურთიერთობის დაუვიწყარი დღეები და წლები.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა, მარადიულ ნათელში იყოს ზაურ მოლაშხიას სული.

მანგულ სუბუა

საერთო გაზეთი №2 (594) 27.1. 2021 წ.

ამ ორიოდ კვირის წინათ მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მიწას მივაბარეთ ჩვენი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, უნიჭიერესი პოეტი და უკეთილშობილესი პიროვნება **ზაურ მოლაშხია**, რომელიც კორონავირუსმა იმსხვერპლა.



გაუხარელი და უიღბლო თაობაა ჩემი თაობა – მაშინ, როცა თავისი ნიჭიერებით, ქვეყნისადმი უანგარო მსახურებით, თავდადებული შრომით მოწეული მოსავალი უნდა მოემკო, ქვეყანა დაინგრა და ნანგრევებქვეშ, პირველ ყოვლისა, მწერლობა და მათ შორის, ჩემი თაობაც მოიყოლა. თუმცა არც მწერლობას და არც ჩემს თაობას ბრძოლა არ შეუწყვეტია.

ამ ბრძოლაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ზაურ მოლაშხია – ეროვნული მოძრაობის უშიშარი ჯარისკაცი, ქართული სიტყვის ერთგული მსახური.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ვახტანგ სარჩილავა

მარადისობის ბინადარი

ზაურ მოლაშხია მარადისობის ბინადარია! ხანდახან გაბრაზებულს მეფიქრება, რატომ, რისთვის დაიტანჯა ეს ხალხი, გარენრების ზეიმის საურებლად?! რატომ მოაკლეს საკუთარ ოჯახებს კეთილდღეობა, კარგი პირობები.რა პრინციპებს შესწირეს თავი?! სამშობლოს ეს ადამიანები არ ახსოვს, ახალგაზრდობა ამათ სახელებს არ იცნობს. ყველაფერი პიარზე და წარმოჩენაზეა. მე ვიცი, ზაურ მოლაშხიას, აპოლონ ადონიას, ედიშერ გიორგაძეს და კიდევ სხვებს ამაზე არ უფიქრიათ. ისინი ბოლომდე ემსახურნენ საკუთარ სამშობლოს და ბოლომდე ერთგულები დარჩნენ თავიანთი პრინციპებისა. აპოლონ ადონიას სულიერი ძმა და მეგობარი, შესანიშნავი პოეტი და, უბრალოდ, მამულს შეწირული კაცი! ნათელი მის მარადიულ ხსოვნას.

ზაალ ჯალალონია



მ ა დ ი დ ე ბ ე ლ ი

ზაურ მოლაშხია – პოეტი, რედაქტორი, გამომცემელი, ოდაბადის უბადლო მადიდებელი... მზისა და მთვარის სამეფო – საქართველო – იყო მისი „მარად ცოცხალი დარდი“, „სულის კანკალი“. ზაურის, ცის მშვილდის დარი ფერების მომხილავი პოეტის, მზერა – სევდარეული და ერთობ მეტყველი, დღემუდამ თავს დასტრიალებდა ცეცხლის გზაზე მავალ ქართველთ ქვეყანას. მთელი არსებით ელტვოდა „ადიდგორებას კრწანისის“!.. თბილისური ბაზალეთი კი, უსასშველოდ შავი ბაზალეთი – მეოცე საუკუნის „დიდი და წითელი სირცხვილი“ – გულს უკლავდა, სულს უშფოთებდა („რა ვიცოდი, ბაზალეთი თბილისში რომ მელოდა!“)!..

ზაურ მოლაშხია, მართლაც, ოდაბადის უბადლო მადიდებელი პოეტი იყო და ... არის! მისი ლექსი, ნახატი ცისკარს ამოყოლილ კოლხურ მზეს ჰგავს, ცვარის მძივებით ყელდამშვენებულს... დღენიადაგ მხურვალედ მლოცველს, ფერებში ჩაფლული სამოთხისეული ჩამავალი მზეც არ ავინყდებოდა არასოდეს: „ეს რა ხმა ისმის, რა ამო, თითქოსდა სივრცე წკრიალებს, შეჟღალეულა საღამო, დასავლით რაღაც ციალებს. გაყურსულია შორეთი... მღერის გოგონა ვარსკვლავა: სიყვარულისთვის მოვედი, უსიყვარულად არ წავალ!“

მოყვასის, საერთოდ, ადამიანის ურვა-ტკივილს მეტისმეტად მწვავედ განიცდიდა ზაური. ზედმინუნით იცოდა ლხინის ფასიც! აქებდა და ადიდებდა მზისფერ ღვინოს, მაგრამ ახლად ამწვანებული და ნიავშეფენილი ვაზი ქართული გულს უხარებდა უფრო.

ხალხური პოეზია უყვარდა ძალიან. გოლუაფირო იყო მისი: „ართი ვარდი“, „ჩეღლა“... ხშირად სინანულით ახსენებდა დანიელ ფიფიას, პავლე აკობიას – გალკტიონის მიერ ქებულ უწესიერეს მეგრელს...

.....

ზაურ მოლაშხია – ხმასრული პოეტი, ოდაბადის უბადლო მადიდებელი, „სავსე ქართული პატიოსნებით“... არსად არ წასულა, უბრალოდ, გავიდა სახლიდან გარეთ... ცაში! სიცოცხლე მისი მისივ მზისფერ ლექსებში გრძელდება: „დალლას ვერა ვგრძნობ სრულიად, შარაგზა ფეხქვეშ გავიგე... სადაც ქართული სულია, იქ მე სუყველა გამიგებს!“

ანჭამად, ჩემო ზაურ, ღვთიურ ფერებით მოცულო, იყავ და იტრიალე მარადიულ დიდ ნათელში!.. ისედაც, „მზე ხომ დედა იყო შენი, სავსე მთვარე – მამა!“

რეკავ დანელია

თორინკა ქავშაია

საიქიოში გამგზავრება

ჩემი ძვირფასი მეგობრის – ზაურ მოლაშხიას ნათელ ხსოვნას

„რა უცნაური არის ამინდი,
რა საოცარი ხმაური ცაში...“ –
თქვი და უცებ, სამხრეთ-დასავლის ბიპოლარულ სფეროებს გაცდი.
ჰა, ფიზიკური აღსასრულის უკანასკნელი
ხილვა-პროგრამა:
სუსხშეხვედრილმა ვარსკლავთკრებამ
ორთქლმევერცხლილ
წყალნაკადისკენ განზიდა
თვალპალმოვანი ბოლიდი*
ხოლო თეთრგინგლოვან
სივრცე-საოცრების
თხელნინალობაზე მოსიარულე
არსება-მანათობელი
რკალ-მზერის ფერორკეცობამ დამტოვა...
ცხადია, ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი ეგვიპტურობის დაძლევა,
ამიტომ თიხისგან გამოყოლილი
მემკვიდრეობა:
ერთ კონად შეკრული
სტრესგვიმრები
ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის მატლებში გრიგალდებიან!...
ცხრებიან!...
ჰიპერპოლარული
შეგრძნების ღმობად გარდასახდებიან!
რითაც ჩვენ ვიქენით გონგახსნილები,
მაგრამ ჩვენი ტანგაპაპანაქებული
და ზურგგადაღლეტილი
გველვეშაპი
ამით არ მოკვდება.
ის თავის დროზე, ჩვენ საგანგებო ღმობიერებით უნდა მოგვეკლა...
ახლად შექმნილი ვითარება შენ მხოლოდ შენებურად განიცადე.
შენ ცორანოს ღრუბელაფროვან ცის გარეთ,
საკუთარი რაობით გამოიცადე.
შენ დაინახე, რომ ყველა სული,
დაგვალული გარემოს არქეორნისადაა გაქროლებული.
შენ დაინახე, რომ აქ
სხეულდაკარგული სულდგმა –
ნელაჰანგებული არფა,
მჭმუნვარებით იქნა
დაუსრულებელი.
შენ მიხვდი: პოეტურმა გონალმატებამ
გაჩენის დღიდან ზეასხივებული
სული
თურმე მეგობრად დაიტოვა
(საინტერესოა, იგი საბოლოოდ მას რატომ ეკუთვნოდა?..).
შენ მიხვდი, პოეტურმა გონალმატებამ
მაშინ ასე რად გაიკვირვა:
– რა უცნაური არის ამინდი,
რა საოცარი ხმაური ცაში...
შენ მიხვდი: სიკვდილი იგივეა, რაც
დიდი სიცოცხლის ერთ-ერთი მდინარე,
ოღონდ ბნელნათელ შეხვედრილი
ეთეროვანი სიცოცხლის მდინარე.

შენ დარხეული
 ფერაბრეშუმის აჩქერებით მოგიცურდა პერნავიანი
 იმიერი.
 ეს არის ის ერთადერთი მკაცრი ქვეყანა,
 რომელმაც სააშკარაოდ გამოიტანა
 კაცთა ყველა ქმედება-ზრახვის სარწმუნო შენაჯამი.
 ეს არის ქვეყანა, სადაც ზარი დარეკილა და
 ნეტარად მიჩნეული
 სჯულშემკულები
 ველის ყვავებთან გარეკილან.
 ეს არი ქვეყანა, სადაც ვილაცის მტკიცებით, ტანჯულობის გამო,
 პოეტები დიდად არ შემკრთაღან.
 სწორედ, აი, ამ ქვეყნის ნათხნასვამი ხესეკვოიები,
 რტოებით,
 ბაგეებით,
 ხედვა-სმენის ორგანოებით
 და აედონალბეჭდილი კენწეროქანავის ფოთლებით ჩურჩულებენ.
 ისინი იქაურ პოეტებს არწმუნებენ, –
 მონიკნიკე საათების გაყურებით ყოველიერი გაასტრალდება
 და მუზებთან ერთად,
 სხივგამჭვირვალე
 აბგერებით, უჩვეულო მყობადის შესახებ
 იხმაურებენ,
 რაც პოეტებისთვის იქნება
 დამოუკიდებელი
 მყოფობის მაუნყებელი
 (სავარაუდოდ ბოლოს მაინც
 ერთმანეთისთვის გადარჩებიან
 ეს ვარდსახოვანი, ეს საიქიოურიდალი,
 ძმა პოეტები...)

2021

*– „რა უცნაური არის ამინდი, რა საოცარი ხმაური ცაში...“ –
 ზაურ მოლაშხიას ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსის სტრიქონები.
 *-ბოლიდი – დიდი ზომის, მეტისმეტად კაშკაშა მეტეორიტი.

ზაურ მოლაშხიას ხსოვნას

ნეტარ არიან სულნი მართალთა.
 აჰა, ეს ერთი მბორგავი გულიც,
 აჰა, სიცოცხლე ერთიც გათავდა,
 სიყვარულის ძაფს მიძივად ასხმულნი,
 ნეტარ არიან სულნი მართალთა.

წუთისოფელი კი არა, წამის,
 წამებით, წამში ისე გათავდა,

გზებიდან ერთი გზა დაგრჩა მხოლოდ-
 ნეტარ არიან სულნი მართალთა.

აქ ერთგულება ძალღივით კნავის,
 კატების ყეფა აღარ დამთავრდა,
 ასე იყო და ასე იქნება-
 ნეტარ არიან სულნი მართალთა

როლანდ აბულაძე



პოეზია უბირკულეს ყოვლისა

ჩემი კოლეგა და მეგობარი მის დახასიათებისას აღმატებული ხარისხის ეპითეტებს მოიშველიებდა. მისი და ბატონ ზაურ მოლაშხიას შემოქმედებითი კავშირი ნაყოფიერი აღმოჩნდა.

ზეიმი

ჩვენი შეხვედრა „კავკასიურ სახლში“ ათიოდე წლის წინ დაუვიწყარი და შთამბეჭდავი იყო. იმ საღამოს საზეიმო განწყობა

ლოდნელი ქათინაური. მადლობა, ზაურ.

პოეზიის რაინდი

აკი გითხარით, ათიოდე წლის წინ შედგა შთამბეჭდავი შეხვედრა. მგონი მანამდე იმ ჩემი მეგობრის მონადინებით და მადლით (დროა ვამხილო მის ინკოგნიტო), ქალბატონ რაისა მუზიჩენკოს მეცადინეობით მომეცა საშუალება ბატონ ზაურ მოლაშხიას პოეტური თვალსაზრისის შემეცნებისა. ზაურ მოლაშხიას პოეტიკა მისი ბუნებრიობით და ამავდროულად ნატიფი ოსტატობით გამსჭვალული, მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩემთვის. შარშან ჟურნალ „მიჯნი-ს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ზაურ მოლაშხიას ლექსებმა განმიახლას ის შთაბეჭდილება.

პოეზიის მოზიარეს და მოტრფიალეს რა გამოლევს. თუმცა ისეთებიც მოიძებნებიან, აღმაცერად რომ უყურებენ ამ „უცნაურ ახირებას“, რითაც არც ფული იშოვება, არც სხვა რაიმე სიამე და დოვლათი იხვეჭება.

მომიტევებთ მიკერძობას და მაპატიებთ მოულოდნელ პათოსს, რითაც ვასრულებ ჩემს წერილს, რამეთუ პოეტი ზაურ მოლაშხია მიმანია პოეზიის რაინდთა კოჰორტის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად, იმ პოეზიისა, რომელიც სამყაროს შემეცნების ერთ-ერთ იდუმალ გამოვლინებადაა მიჩნეული.

ეთერ აგარონოვა

პოეტი



სუფევდა. ის საღამო პოეზიის დღეასწაულად იქცა.

ქათინაური

ჟურნალ „მიჯნი“-ს მორიგი ნომრის გამოსვლა ჩვენი თავშეყრის მიზეზი ხდებოდა. ბატონ ზაურ მოლაშხიას ტელეფონით ვესაუბრე. მან ჩემი ლექსები შეაქო. მეამა მოუ-



* * *

Ушёл грядущего поборник –
Сманила из светлицы новь.
Захлопнет завтра ветр залётный
Его высокое окно.

И ивы над озёрной кромкой,
Тенетов замыкая свод,
Вервь листьев нежных окунают
В искристые разводы вод.

Купается над рябью чайка.
Блик солнца озарил крыльцо,
Из-под зелёного лечаки
Блеснуло светлое лицо.

Маслины глаз, как аметисты.
Волос струящихся виссон.
И белоснежные ирисы,
Похожие на дивный сон.

Взметнутся в небо кипарисы,
Мелькнёт газель, забьёт фонтан.
Нож охранит всех абиссинский,
В ночь погружается сераль.

26. 11.2013

* * *

На необъятное небо
Взор обратит капитан.
Ищущий крова и хлеба,
К берегу корабль пристал.

Не совладать небесам.
Снова настигнут потери.
И очарует краса
Белых соцветий гардений.

Вспомнился мне Марциал,
В ночь уходили галеры,
Светоч созвездий мерцал,
И обступали химеры.

Это настала пора
Новых стихов и напевов,
Кубков хмельных и пиал,
И опьянения без меры.



Голос таинственный свыше,
Нежных мелодий обман.
И мелодичней, и тише
Там дребезжанье гитар.

А в лабиринте не слышно
Ласковых слов и литавр.
Были там звуки излишни,
И поджидал Минотавр.

26. 11. 2013 (21.00)

* * *

Чащи лесной неизбывная сень,
Шорох листвы, пробуждения трепет.
В кроне мелькнувшая коростель
В воспоминаньях о призрачном лете.

Блеск паутин флуоновых нитей.
Листьев шатры. Прохлада тенетов.
И на волшебной зелёной финифти –
Искорки света, искорки света.

В это святилище странник спешит, –
Сладкоголосья и песен воитель.
Сенью прохладною благоволит
К другу-поэту лесная обитель.

Это могучий красавец Тарзан
И ягуару, и волку ровня.
Тот, у кого в глазах бирюза,
Отдохновенья и неги паломник.

Он – чародей песен и гимнов,
Мудрый знаток знамений и мет.
Он возвещает, пророчит и гибнет,
Светлых наитий радетьель – поэт.

28. 11. 2013

* * *

Метерлинку

Эта зелень сравнима
С накатившей бедой,
С потемневшей водой
У широкой запруды.

Обращаюсь в волшебницу,
И иду с Лоэнгрином –
В заповедных лесах
Собирать изумруды.

Вот он, свесился с веток
Светлый жемчуг росы,
Засверкали деревья
В рассветных нарядах.

Ты, наверно, такой
И не ведал красоты,
Тихо шепчутся листья
И лесные наяды.

Здесь заоблачных высей
Синий кивер сравним
С обжигающим цветом,
Густым, киновари.

В этих тайных владеньях
Буонарроти ходил,
И Роден целовал
Оживающий мрамор.

Я иду поутру,
В ожерелье из грёз,
С сердцем радужным встретить
Светозарные зори.

Я хочу угадать,
Коль узреть не смогу,
Заколдованных весей
Расписные узоры.

Быстро воды текли
По долине мечты
Легкоструйным потоком,
И смыкались лазурью.

Мысль летела и таяла
В серебристых проталинах,
И коня погоняла
В неоновой сбруе.

Оживает Лаура
В светлых строках Петрарки,
И Камилла взирает
Взором статуй Родена.

Очи синие застыт
Изумруды запястья,
Белый жемчуг Эдема,
И алмаз диадемы.

11. 12. 2013 (17.15)

* * *

В стране забытых миражей,
В сказаний тридевятом царстве,
Я, в окружении пажей,
Росла, в пленительном всевластии.

Всё, что таили изразцы,
Я различала не по-детски.
И плети тьмы, и ласки лести,
И неизбывный сон предместий.

А сквозь заставы и посты
Сквозила дымчатость тумана,
И кто-то разводил мосты,
И грезилась Фата-Моргана.

Я верю в свет, и в ветер, вольный.
В ночь полнолуния, в безмолвьи,
Омоют алчущие волны
Седые ополоски взморий.

Мне снится ветренный покой,
Налёт волшебный дивных лаков,
И леса девственный покроем –
За плёса облачной завесой.

Люблю туманный твой альков –
Из можжевельника и маков,
И злую чашу – росстань магов,
Растаявшую в полумраке.

14. 12. 1913 (18.30)

ДОРОГИ ВЫЮТСЯ КАК ЛОЗА

Посвящается памяти поэта Заури Молашхия.

„Эссе“

Дорога на гору Мтацминда непременно остается в глубинах сердец по ее красоте и необычности. Мтацминда (что в переводе означает – святая гора) является как бы коронованием всего раскиданного под лучами солнца старинного города Тбилиси. Так возвеличивающе она восседает над

Творец, благословенный, подарил от щедрости своей, мне много благородных и одаренных друзей.

И ощущала долго я себя какой-то избранницей высших сил, поскольку прикоснулась к жизни и творчеству многих магических людей с огромным дарованием.



Но особой лучезарной радугой моих лет оказалось знакомство и сотрудничество с видными деятелями грузинской литературы, как З.Молашхия, М.Закария, Д.Шония, З.Каландия, Г.Сичинава, Н.Арсенашвили, И.Талиашвили и другие.

Знакомство впервые произошло с З.Молашхия случайно. Как-то раз на одной встрече старых друзей и приятелей, поэт Т.Кавшбая рассказал о талантливейшем современнике, о котором буду всегда вспоминать с двояким чувством: с благоговением, восхищением, и глубокой печалью,

трауром на душе. Поскольку с января 2021 года нет с нами З.Молашхия.

Божественный и великолепный, всегда на высоте своих творческих достижений, он снисходил и к таким обычным смертным, как я. Позволял соприкоснуться в творческих диспутах, в продолжительных и необычайно содержательных беседах, в которых было так много познавательного.

Вспоминаю, как скользя по извилистым, словно сама лоза, улочкам, взбегающим на Мтацминду, и торопясь в гости к великим друзьям, я, практически окрыленная, уже ощущала себя частичкой какой-то одухотворенной легенды. Поднималась к эксклюзивному домику на К.Месхи 14, где жила семья Заура.

Быстренько хлопоча, там уже супруга, Нато, уже взмахивала скатертью, а сын Лаша нес, расплескивая из квеври искрящееся янтарное

древним районом неопишуемого Сололаки, над всей обозримой округой. Величественная и недоступная (для врагов в период войн), она во все времена очаровывала иноземных гостей, путешественников и многих известных личностей.

Там существуют самобытные, так называемые итальянские дворики, со своим климатом взаимоотношений жильцов. Даже я целых девять лет проживала в одном их таких в юную пору. Много стихотворений написала я о старинных улочках города, воспевала и святую гору. Но речь не об этом.

Пройдя весь свой взрослый творческий путь, я так многое узнала о легендах и традициях, о сказителях и бардах нашего востока. Подытоживая все это бывшее и прожитое, не могу не остановиться на самом неизгладимом, судьбоносном, быть может, явлении в моей жизни.

вино, сделанное своими руками – оттого оно источало тончайший аромат.

Я редко заскакивала одна. Чаще там уже поджидали старинные его друзья. Среди них был известный прозаик и поэт Г.Сичинава; Д.Шония, чьи стихи так самобытны и цветисты, как новогодние снежинки, порхающие под чудными золотистыми лампами на Руставели...

И начинались изливаться вязью задумчивые разговоры о людях, о времени, о перипетиях творчества. О достижениях, о новаторстве, о задумках и начинаниях.

...И смотрели на нас неутомленные, всепонимающие очи этого человека; проникновенные и добрые, как у волшебника. И всюду они проникали, и всех понимали, обогревали, одаря дружеской любовью своего всегда горящего сердца. Эти крупные, с прозеленью глаза, напоминающие цветом дымчатую, светлейшую листву на молодых побегах виноградной лозы; или же на тончайше светло-зеленые морские агаты.

Глубочайший ум, огромные познания и колоссальная трудоспособность вместе с озарением, наитием отличали Заура, делая его образ без изъянов. А дружелюбию, сердечности и гостеприимству его не было границ. Не чуждался он ни юмора, ни шуток. Он поражал своей удивительной простотой; глубиной и изяществом своего таланта. Покоряла и его всеобъемлющая, бесконечно животрепещущая любовь не только к людям, но и, особенно, к своей родной и страждущей земле...

Поэт Р. Музиченко

Памяти Заури Молашхия.

Странник звезды иной,
Над временем взлетевший и над веком,
Как скоро воспарил ты
Прослав мудрейшим человеком.

И несравненны твои творенья.
Будь сердцем гения ты в поколениях!
Сегодня солнце со мною плачет.
А дух великий в выси маячит.

Светло несется он над Кавказом.
В короне солнца будь же алмазом.
Странник души иной...
Но не земной...

Вот опять та осень-осень года.
Осень и отчаянье в любви.
Кто сказал, что снова непогода,
Будто смена дня и белой полосы...

О, как в это время ищем брода.
Брода. Но не мelenькой реки.
Знаю, седина висков – она как мода
Редкий тон палитры, тень росы.

А душа летит, цветет, страдает.
В осень медлит скоростно упасть
В трудный день как будто ожидает
Как же избежать беды напасть.

Может вознесет судьба, а может сбросит
Под копыта трех лихих коней.
И никто, никто уже не спросит -
Для кого она всего верней...

А какой-то странный забияка
Выручит, когда возникнет драка.
Но взаправду, может, о-е-ей!!!
Не справляясь с дерзостью своей
Пулю вдруг возьмет – вот те подмога!
И бесясь, забывший вовсе Бога
Вдруг в лицо тебе предательски пальнет

Я тебя нарисую!
С думой смертной чела,
И морозною прядью,
И с раскрытием дня,

С тонким дымом сигары
И раздумий в ночи,
С поволокою взгляда;
Не перечь. Не молчи...

Убоюсь твоих взоров,
Даже звука шагов.
И никак не избавлюсь
От любовных оков.

Не знала, не гадала я,
Что Ты, Господь, один на свете;
Один, к кому душа летит.
Не верила примете:

Что лес любовно шелестит,
Птиц песнопенья величавы,
Воды никто не замутит...
Но так легко исчезли нравы;

Не встретила духовный свет.
Полвека в поисках страдала.
И вот пойду, мой бог, к Тебе.
Дорог я сотни поменяла.

Гори, гори, небесный свет.
И привлекай миров свеченье.
Когда-нибудь Ты дашь ответ.
Наш род людской претерпит
Изменения...

XXI-ВЫЙ

Первобытного общества грани
Разрослись. Окультурились. Ранят.
Беды, напасти, проблематика.
Нехитра параллель у грамматики.

На ступеньку! На камешек выше!
Что? Святые уступят вам нишу?!
Все свои невезенья, и хуже
Увеличите, души коль `уже.

Двадцать первый ждёт Мессии прихода,
Лавы огненной, крах небосвода...

Вы расширьте кладовку сознания,
Чтоб не ждало нас всех расставанье.

Расставание с солнцами, лунами,
С снегопадами, веснами, дюнами.
Говорю и кричу – но как в бочку пустую.
Ежечасно встречаю насмешку нагую.

Так посмейтесь всласть. Веселитесь.
Вкус предательства явить не ленитесь.
Можно сгнать, уснуть так навеки.
Люди. Волки. Друзья. Человечи.

«Нет Пророка в своем отечестве», -
Вам известна такая сентенция.
Нет сочувствия, нет в человечестве.
А расплатою – яда эссенция.

А расплата, когда иной ты здесь.
Когда любишь взбивать пыль дорожную.
Когда славу меняешь на зов мечты,
На вершину свою невозможную...

Растекайся река – гладь прохладная.
Расступайтесь ущелья мрачные.
Ну и что – жизнь легла что нескладная,
И в глазах моих – Рица прозрачная.

ДУМЫ ИЗГНАННИКА

Горит. Горит мой дом.
Горит больница за углом.
А где сейчас моя семья
И догадаться мне нельзя...

Мой виноградник, дуб золотой
Весь разнесен этой войной.
И сердца нет. Одни куски...
И помню я одни огни,
Кроваво-черные мазки.

Но хуже то, что нет земли
Где был бы счастлив. Унесли,
Безумным взрывом разнесли
Дом, счастье... Лишь угли

Остались в памяти всех глаз.
Но вот беда – в который раз
Осколки сердца собирать!!!
Мне к Господу взывать, взывать...
Ты слышишь?!!

По колючей тропе,
Где свистит коростель,
А зимою – метель –
Я пройду километров за семь...

Наискось срезав брод
Под напев святых вод;
И увижусь я с тем,
Кто на сердце моем...

Я – и он – мы вдвоем
Две кровинки родных –
Среди близких моих.

Там проклятьем война
Всех смолола дотла.
Мал и стар под земельным бугром...
И теперь там их дом...

А поверх пепелищ – рубцы,
Крепостных стен старейших зубцы...
В камнях древних наш храм
И спалил их урод, бездуховный хам...

По колючей тропе, по примятой траве,
Снявши обувь, босой, я, поверь, сын родной,
Доберусь, помолюсь,
Тем могилам святым поклонюсь...

Среди долов просторных деревня моя.
Может век не вступала в те веси нога.
Этим тропам и скалам, и ТЕМ небесам
Свою душу, всю кровь, все я слезы отдам.

Заросли бурьяном все ограды кладбищ.
И без вас, дорогие, и сир я, и нищ.
Не склоняю чело к драгоценным плитам,
И молитвою там, славу, боль не воздам.

Сиротливые маки качают ветра.
Как же спишь ты, родная страна, без меня?
Только серый песок мне в конце будет мил.
Почему залп огня и меня не убил?

Безотрадно, несносно на сердце щемит...
Лишь с душою моею та боль отлетит.

Нет владений старинных,
Не вьется лоза.
И преданий былинных
Не вернуть никогда...

Я стою на Ингури.
Простёрся там мост.
С слёзным звуком пандури
Язык музыки прост.

Этот мост. Эта даль...
Сердце бьется. Мне жаль,
Жаль до боли страну
И погибших судьбу...

А теперь была – не была,
Превращается в пыль
Тех дорог пелена
И возрастает печалью страна.

Ах, навечно б прильнуть
К той земле навсегда.
Растерзала мне душу
Проклятьем война.

Я помню красивые ветви осин,
Сухумского моря напевы,
Предания сказок – восточных былин,
Разумных деяний посева,

И это шуршание волны за волной,
Цветные каменья прибоя,
Лихие шторма.
Там мы вместе, с тобой...

А юность цвела вне покоя;
На лицах – сияние нового дня;
Дела – громадьё, и надежды на всё,
Просторы морей – что навек для меня...

Неслось по кругам там судьбы колесо...
И грозы я помню, любимые мной,
И встречи, дерзанья с друзьями –
Никто и не знал, что значит покой.

Ни ссор, не предательств меж нами.
Но это проклятая Богом война
Сравняла все планы с землёю,
Ввела в состояние небытия. Забыть?!
Но лишь только тогда, глаза когда навек закрою...

მეგობარმა წიგნი მახუჭა



70-იანი წლების დასაწყისში, ილია ვეკუას რექტორობის ჟამს, უნივერსიტეტმა ერთი პატარა ქოხი დამითმო. მე-4 კორ-

პუსის ეზოში იყო მოყუჩებული. ოცდაათს გადავცილდი და აქამდე საკუთარი ჭერი არ მექონია. ეს ქოხი კანონიერად ვერ გაფორმდებოდა, მაგრამ რაკი უნივერსიტეტს ეკუთვნოდა, არავინ მანუხებდა. ოღონდაც, გახარებულმა კარი რომ შევალე, ნესტის სუნი მეცა, სისველე კედლის ბათქაშს ამოჰყოლოდა. ამასთან, მარცხენა კედელი უზარმაზარ ალვის ხეს თავისი ვარჯით შემოენგრია. მთელი თვე ვცდილობდი კედლების შეკეთებას, ნესტს გუდრონით ვაქრობდი. ხეს ვერაფერი ვკადრე და ჩემი ფართის ნაწილი დავუთმე, კედელი შიგნით შემოვნიე.

ჰოდა, საბოლოოდ გადმოვსახლდი. მადლობა უფალს და უფალ რექტორს, რომ ჭერი გამიჩინა!

ქოხში ორიოდ კვირით სხვისი ტელეფონი იყო დატოვებული და ღამით დამირეკეს. ზაური იყო, მოლაშხია. სადა ხარ-მეთქი, ვეკითხები. უბინაოდ დავრჩი და სასტუმროში ვათევ ღამესო. გადმოდი ჩემთან-მეთქი, ვთავაზობ. აბა, სტუდენტ კაცს სასტუმროს ფული ვინ მისცა. იმ დღიდან ჩემს ქოხში მარტო არ მიცხოვრია. ზაურის გარდა სხვებიც მყავდა ხოლმე... სტუმრინობა ხომ თავისთავად! ყველა ახალგაზრდა, ვინც ლიტერატურული ოლიმპის ასაღებად ემზადებოდა, ჩვენთან სტუმრობდა. დიდად მოქეიფე კაცი არ გახლდით, მაგრამ ჩვენთან ხშირად იყო პურისჭამა და, ცხადია, საუბრები ლიტერატურაზე. მომავალი პოეტების უმრავლესობას დიდი იმედები ასულდგმულედა. ისეთებიც გვერია, გალაკტიონის ტახტზე აბრძანებას რომ ღამობდნენ... დღევანდელი გადასახედიდან, ასეთებმა

ბევრი ვერაფერი მოსავალი მოიმკეს... იმთავითვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მეგობარი ჭეშმარიტ პოეტად დაიბადა... მუდამ მაკვირვებდა ადამიანთა საოცარი ბედი. სოფელში, ჩაის პლანტაციებსა და ევკალიპტის რიგებს შორის საიდან დაუბერა პოეზიის ფოფინა ნიავმა, გამოაღვიძა სული ბიჭისა, რომელიც ასაკშიც კი მეგრულ „ლ-ს“ არბილებს... იცოდა კი მან იმთავითვე, რომ ეს გზა ლექსის ბედნიერებას აზიარებდა, მაგრამ ყოველდღიური გაჭირვებისაგან ვერ იხსნიდა, რადგან დღევანდელ ქაოტურ და ფარისევლურ საქართველოში ცხოვრებას მხოლოდ ისინი „ინყობენ“, ვინაც დროულად და მოხერხებულად ჩაუხტება მეფეს ნავში. ასეთი ეშმაკობებისა არაფერი გაეგებოდა. მიუხედავად სანაქებო ნიგნიერებისა, ის ბუნებით ბავშვურად მიამიტი რჩებოდა, მისი სულიერი სისუფთავე უკადრებელს ვერ აკადრებინებდა. ამასთან, ვფიქრობ, საკუთარი ნიჭიერების ფასიც იცოდა და სხვათა ნაღვანის დაფასებაც...

ჩვენი თაობის პოეტებს ნამდვილად გაუჭირდათ დროულად ასპარეზზე გასვლა. რჩებოდა იმედი, წიგნი და ლექსები, რომლებმაც მისი არსებობა შეავსეს. და, რა თქმა უნდა, ოჯახი – მეუღლე, შვილები და ახლა უკვე შვილიშვილებიც.

სწორედ მაშინ დატოვა ჩემი ჭერი, როცა დავეკორწინდი. თვითონაც დაოჯახდა და გაიჩინა საკუთარი კუთხე, სადაც მთავარი ქონება ისევ და ისევ წიგნი და კალამია...

წლებმა და აუღებელმა ციხესიმაგრეებმა (გამომცემლობებმა) დაგვაბერეს. რომანისტს უფრო უჭირდა, მაგრამ არც პოეტს ჰქონდა გზები ია-ვარდით ფენილი. და მაინც, პოეტს შრომა და ნიჭი დაუფასდა, ზაურის არაერთი კრებული გამოიცა. პოეზიის იმ მოყვარულთათვის, ვისაც თვალი გაუდევნებია მისი შემოქმედებისათვის, ცხადზე უცხადესია, როგორი ხალასი ნიჭის ადამიანს ეცნობა. ოღონდაც, საქართველოს დაუდგა ჟამი, როცა ლექსისთვის და ზოგადად

ნიგნისთვის ცოტა თუ ვინმე იცლის... „რა უცნაურად ჰგვანან ერთმანეთს ჩემი ყოფნა და ჩემი ლექსები...“ ყოფნა – უსახსრო უდაბნოეთი, თუმცა მე მინახავს უდაბნო, გადაპენტილი ფერადოვანი ყვავილებით...

და აი, ბოლო სტუმრობისას მეგობარმა მაჩუქა 631-გვერდიანი „ერთტომეული“, მისი ნახევარსაუკუნოვანი პოეტური შრომის შედეგი, რაც პოეზიის ქეშმარიტი დამფასებლების თანადგომით გახდა შესაძლებელი. „შედეგი“ ცოტათი არაზუსტი ნათქვამია, რადგან ზაურის ნამუშაკევი ალბათ რამდენიმე ასეთ ტომეულს შეავსებდა, რომ არა ფინანსური სიმწირე, რაც პოეტების ცხოვრებას ზოგადად ახლავს. ზაურის შემოქმედება ჩემთვის ჰგავს ვარდებით გადაპენტილ ველს, საიდანაც მან თაიგული დამიკრიფა, თუმცა იმ ველზე სხვა უამრავი, მშვენიერი ყვავილია. ცხადია, აზრი არ ჰქონდა ბედის სამდურავზე ჩივილს, როცა ხელში მეჭირა სოლიდური და ულამაზესი ნიგნი. მარტო დიზაინერის ნამუშევარი რად ღირს, თითქოს ახალი ვარსკვლავის დაბადებას შევესწარი, როცა აფეთქებამ ფერადოვანი სხივები პოეტურ სამყაროში გადმოისროლა.

ლექსები ნიგნში მეტად მოხერხებულადაა განლაგებული. პოეტი სულხან-საბას დაესესხა, საკუთარი ცხოვრება სამ ნაწილად დაყო და ასევე შემოგვთავაზა – ხანა სიჭაბუკისა, ხანა სრულკაცობისა, ხანა სიჭარმაგისა... ეს ნიგნი ავტორის ერთგვარი სულიერი ავტობიოგრაფიაა. მკითხველი

პოეტს ეცნობა, როცა ის თექვსმეტი წლისაა და ფეხშიშველა ქარს ეთამაშება... ოლონდ ცხოვრება თამაში არ არის, სიხარული და ტკივილი ჩვენი არსებობის მუდმივი თანამდევი. მისი ლექსების თემატიკა ყველაფერი ისაა, რაც ავტორს აწუხებდა და ახარებდა... მისი მუდმივი საზრუნავი იყო სამშობლო, სიყვარული, ადრე წასული მამა, დედა, ახლობლები, ბუნების მრავალფეროვნება... ყოველდღიურობის უწყვეტი ჯაჭვი...

მე არა ვარ პოეტის სპეციალისტი, ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, დავიწყო მსჯელობა ლექსის ფორმაზე და მსგავს თემებზე... ცხადია, შემეძლო ყოველ კონკრეტულ ლექსზე ჩემი აზრი დამეფიქსირებინა, მაგრამ ამით მხოლოდ ნიგნის მოცულობას გადავაჭარბებდი. ამიტომ ჩემს სუბიექტურ განწყობასლა გამოვხატავ. ზაურის ლექსების ნაკითხვისას მე მუდამ ვეხები რალაც სათუთს, სუფთას, დახვეწილს... მისი სტრიქონების მიღმა მუდამ ვხედავ მის ავტორს, ვისმენ მის დიქციას, ვგრძნობ მის ბავშვურ ალტაცებას, როცა აღმოაჩენს საკუთარ თუ სხვის პოეტურ სტრიქონებს... ამ ნიგნში მისი სული ანათებს!

80-იან წლებში ჩემს რომანს „მარადი მხედარი“ ზაურმა მიუძღვნა ლექსი „ხილვა“, რომელიც მთავრდება ასე – „აგერ... ციერი შემოციერდა!“

ჩემს აღქმაში სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შემრჩა – „ციერი შემოციერდა!“

ჯემალ ქირია
მწერალი



ოდა, მამეული ოდა

*ის, ვისაც სადღაც მამის სახლი
ვეულება, სახლიდან
გადახვენილი არ არის.
ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი*

1

სახლი გვექონდა მამეული,
სახლი – კოლხის კოხტა ოდა;
ჭიშკარს შემოვალეზი და
ვეგრძნობდი: – როგორ ილიმოდა...
დილა იყო და საღამო –
მზის სურნელი ასდიოდა,
აქ სხვაგვარი ქარი ქროდა,
დროც სხვაგვარად გადიოდა.
თოვლიც თოვდა სხვანაირად,
გულიც უჩვეულოდ თრთოდა...
ზოგჯერ ღამით ჩამესმოდა
შორეული ალილო და
იყო ხმოზა თანატოლთა
და ვინ გრძნობდა: – დრო მიქროდა!
ჩემი სიყრმე, სიყმანვილე
წყაროსავით აქ დიოდა...

2

მრავლის გამომზრდელი ოდა –
მუდამ ჭიშკარს გასცქეროდა,
მოვიდოდი – უხაროდა,
ნავიდოდი – ღონდებოდა...
როცა მაგვიანდებოდა –
თურმე ფერი ეცვლებოდა...
დედასავით მომელოდა,
მომელოდა, მომელოდა...
მერე? – ცეცხლმა გაიტაცა,
დაინაცრა კოხტა ოდა!
ჩამენურა სული სულში,
გული ჯავრმა დამიკოდა!
ულვთომ აღარ შემარჩინა –
რას მერჩოდა, რა უნდოდა!
აღბათ სურდა შეჩვენებულს
გზა-კვალი რომ ამრეოდა!
ჩემი სიჭაბუკის დილა
უცხო ჭერქვეშ გამთენოდა...
მან იცოდა რას შვრებოდა,
რა „სიკეთეც“ მომელოდა!

3

დღეს სიზმარშიც იწვის ოდა
ისე, ცხადში რომ იწვოდა, –
თურმე, როცა ღამდებოდა –
რალაც ნავსად ჩქამდებოდა...
თურმე, არვინ არ ელოდა –
ხანძრის კერა ჩაღებოდა,
ცეცხლის სული ლაღდებოდა,
ტრიალებდა, მაღღდებოდა...
ქარიც თან-თან მძაფრდებოდა,
ალი ღამის ცას სწვდებოდა;
ზეცას მწარედ გაკვნესოდა
ოდა, მამეული ოდა!

მზერა განგების...

ათრთოლებს სიმებს
ეოლოსი – ქარების ღმერთი,
საალიონოდ
ილანძება ციური სახე...
თან-თან აღჩნდება
ამ პლანეტის უდრეკი მკერდი –
კავკასიონი –
თეთრ სივრცეებს ფრთებივით არხევს...
ოცდამეერთე
ღირიჟორი მწვერვალზე დადგა,
მსოფლიო ქნართა –
მრავალგვართა თრთიან ჰანგები...
შორს, ცათა შინა
იდუმალი ღიმილი გაკრთა –
მაღე ცის მადლად
ჩამოთბება მზერა განგების!

მაღლით გამოკრთა შუქი მარადი

მაღლით გამოკრთა შუქი მარადი,
პირველი სხივი ეწილა ყვავილს...
ცამ ნაიკითხა დილის ბართი
და ეს სამყარო ვარდისფრად ყვავის.
ეს ხილულეთი რაღამ დააზროს, –
სივრცე სხივებით გადაიქსოვა...
და, მჯერა ახლა, როგორც არასდროს,
ცისა და მიწის მარადისობა!



სამშობლოზე მოფიქრალი შეძოქედი

ეს სურათი ჩვენი საზოგადოებრივი ჟურნალ „მიჯნის“ გასული წლის ოქტომბრის ნომრის გარეკანზე დავბეჭდეთ და ასე მივულოცეთ ზაურ მოლაშხიასა და მის მეუღლეს, ქალბატონ ნატოს უმცროსი შვილიშვილის, მათეს პირველკლასელობა. უზომოდ იყო ჩვენი მეგობარი გახარებული ამ სიურპრიზით! მას ხომ პატარა სიკეთეც აბედნიერებდა და თვითონაც მთარული სიკეთე იყო: მუდამ სხვებზე მზრუნველი, ნრფელი, უანგარო...

ჩვენ, მისი მეგობრები, დათრგუნული ვართ იმით, რაც მოხდა... დაირღვა ზაურ მოლაშხიას თბილი და ტკბილი ოჯახის ბედნიერება, მის პატარა სახლში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ხანძარმა თითქმის გაანადგურა, ახლა ცივი და გამყინავი ხანძარი დგას, რომელსაც ვერავინ ჩააქრობს...

ზაურის კეთილი და მოსიყვარულე გული გაჩერდა, ვერაგმა სიკვდილმა ხელში ჩაიგდო და აღარ დაგვიბრუნა სიცოცხლესა და ოჯახის,

სამშობლოს სიკეთე-ბედნიერებაზე მოფიქრალი შემოქმედი...

მორჩა ლამაზი სადღეგრძელოები და მისთვის საყვარელი ჭიქების წკარუნი მის სტუმართმოყვარე სახლში, ტაშკენტის 25-სათუ სხვაგან, მორჩა მისი გულალაღი ღიმილი და ლექსების თქმა, მისი ამოუწურავი მოგონებები...

ზაურ მოლაშხია მიდის!

წინ მარადისობისა და უკვდავების გზაა და ჩვენი ძმა და მეგობარი ამ გზის მარადი მგზავრი იქნება; ჩვენთან კი დარჩება მისი დიდებული პოეზია, მისი ლამაზი წუთისოფლის საამაყო გახსენება, როგორც მაგალითი პატიოსანი, მოუსყიდავი, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული, მართალი, მართლაც ღვთისნიერი ღვანებისა და ქმედებისა!

მორჩა, უკვე ველარ მეტყვის მისებურად: „როგორ ხარ, თუ იცი?!”

ძალიან ცუდად ვარ, ძმაო!..

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქციის სახელით
ჯამალ შონია



მურმან სურცილავა

ღვინის ფესტივალი

თქვეს, ორბელიანის მოედანზე ღვინის ფესტივალი ჩატარდებაო, ქვევრის ღვინისაო, დაუმატეს, თანაც – სიმბოლურ ფასადო. ნავედი... მიყვარს ყველაფერი, რაც კი ღვინოს ეხება. ამიტომაც სიხარულით გავემართე. ვოვა ვეკუას ქუჩით ორბელიანზე გავედი (ღირსეულად დაუფასებიათ უსამართლობას შეწირული ეს გამორჩეული სოხუმელი კაცი, ჩემი კეთილი და დაუვიწყარი ვოვა!).

მართლაც გამოეფინათ სხვადასხვა დასახელების ღვინო (ბოთლებით! მიდი და გაიგე, ქვევრისაა თუ კასრისა!); საკმაოდ ბევრი ხალხი მოგროვილიყო, მათ შორის – უცხოელი ტურისტები. იღებდნენ ჭაშნიკს (მესვეურებს მარჯვედ მიგნებული მისაყოლებები არ დავინწყნიათ!). ნამდვილი ზეიმი და ხალისი სუფევდა. სასიამოვნო სურნელიც ტრიალებდა – იქვე მწვადი შიშინებდა. მოკლედ – ნახე და გაიხარე! ღვინო სამგან მოვწრუპე. ურიგო არ ეთქმოდა, თუმცა ვერ ვიტყვი, გოცებული დავრჩი-მეთქი. ყასიდად ფასი რომ ვიკითხე, ოცდახუთი ლარი დამისახელეს, რაც, მერწმუნეთ, სულაც არ არის „სიმბოლური“. მყიდველი ცოტა იყო. უფრო უცხოელნი ყიდულობდნენ.

ერთგან ჩემი ყურადღება ვარდისფერმა სითხემ მიიქცია. დამისხეს: ნამდვილი ჭყაპურტა! რქაწითელის ჭაჭაზე დაყენებული საფერავიაო, ახსნა დახლს მიღმა მოღიმარე ლამაზმანმა (!). რას არ გაიგონებ! შე დალოცვილო, ასეთი „ღვინით“ (ჭიაფერათი შეფერილს რომ ჰგავს) ფესტივალზე თავი როგორ უნდა მოიწონო?.. ეს არ იყო „ფესტივალი“ (ხმაურიანი და ღრმაშინაარსიანი სიტყვაა!), უფრო ჩვეულებრივი სარეკლამო ღონისძიება გახლდათ. განზილებული ნამოვედი. რატომღაც სხვა წარმოდგენა მქონდა. მეგონა, პირდაპირ ქვევრიდან ამოხაპავდნენ ღვინოს (განა არ შეიძლებოდა? უფრო მიმზიდველიც იქნებოდა!).

ისე... ორბელიანის (ყოფილი კოლმეურნის) მოედანი მართლაც მშვენიერი რამ არის! სამი წელია აქეთ არ გამივლია.

უნინ აქ დახურული ბაზარი მოქმედებდა, ალბათ ყველაზე ცუდი დედაქალაქში. კედლებჩამოღლეტილი, უშნო და უხეირო. ლაფი და გუბე იდგა ირგვლივ. ამჟამად სულ ბრწყინავს აქაურობა. ასეთივეა მიმდებარე ბარათაშვილის ქუჩაც, ოღონდ ნამეტანი გადატვირთულია მანქანებით.

მინანერი. „ფესტივალზე“ იყიდებოდა ბროშურები ქართულ ღვინოზე, ქართული ყურძნის ჯიშებზე. ერთი მათგანი სოფელ სალხინოში (მარტვილის რაიონი) ოჯალეშის მოშენების ისტორიას (მიურატის მამულებს) ეხებოდა. მეძვირა და ვერ შევიძინე. ჩემი აზრით, მსგავსი ბროშურები უფასოდ უნდა დარიგებულიყო, დიდი ზარალი არ მოუვიდოდათ (ასეთი ღონისძიებები შემეცნებით მხარესაც უნდა შეიცავდეს)... „ოჯალეშის საკითხი“ დიდი ხანია მანუხებს. ვფიქრობ, მთელი მარტვილის რაიონი (არა მარტო სალხინო) ამ ძვირფასი ქართული ყურძნის ჯიშის კერად უნდა იქცეს, ხალხის დასაქმების ძირითადი კულტურა გახდეს. შეიძლება ამან მოიცვას ლაკადა (მთაგორიანი სამეგრელო), ბარშიც გაშენდეს (საცა შესაძლებელია). უფრო მეტიც – მთელი სამეგრელო ოჯალეშის ქვეყნად უნდა ითვლე-



ბოდეს. თავად ყურძენი უფრო „სახალხო“ უნდა იყოს. ვალიარებ, მე არც გამისინჯავს (აბა, სად იყიდი?) ოჯალეში, არც ამ ყურძნისგან პატიოსნად დაყენებული ღვინო დამიგემოვნებია (მაღაზიებში შეძენილს არ ვთვლი!) ჯერ მარტვილიდან უნდა დავინწყოთ-მეთქი. ის ისეთივე მომხიბვლელი უნდა გახდეს, როგორც სახელგანთქმული „ხვანჭკარას“ სამშობლოა. რაიონში ამისთვის ყველა პირობა არსებობს. საჭიროა მეტი მონადინება და სახელმწიფოს მხარდაჭერაც (ასაკოვნება ხელს რომ არ მიშლიდეს, უეჭველად დავბრუნდებოდი მშობლიურ რაიონში და ამ საშვილიშვილო საქმის აღორძინებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებდი), გასარკვევია საზოგადოების, მეღვინეებში, აგრონომ-სპეციალისტების მოსაზრება. გასათვლელია ყველა მიმართულება – მოსალოდნელიც და მოულოდნელიც (შრომა წყალში რომ არ ჩაიყაროს). ასევე ძვირფასია მეუფე პეტრეს თანადგომა, შეხედულება. ის არა მარტო სულიერი მოძღვარია ამ კუთხისა, არამედ მოსახლეობის კეთილდღეობაზე მზრუნველიც არის, ჭირის და ღვინის გამზიარებელი.

დაბოლოს, ერთი რამ: მართალია, ო-ჯალე-ში თავის სახელწოდებას უნდა ამართლებდეს (ხეზე გასულს, მაღლარს ნიშნავს), თუმცა შეიძლება სხვა წესითაც გაშენდეს (ალბათ, ასეც ხდება). ეს ტექნიკის საკითხია, ადვილად მოსაგვარებელი.

მეორე მინანერი. ზემორე წერილი კაიხნის გამზადებული მქონდა („ჩანაწერების“ მორიგი წიგნისთვის), როცა გავეცანი ბ-ნ კლიმენტი კიკალიშვილის მეტად საგულისხმო გამოხმაურებას გაზეთ „ილორში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე (იხ. ურნ. „მიჯნა“, №2, 2020), რაც ამყარებს ჩემს პოზიციას. ავტორი ბრძანებს, რომ ოჯალეში გაშენება ჰაიპარად, შეუფერებელ ნიადაგებზე (ხაზგასმა ავტორისა – მ.ს.) არ შეიძლება“. მე ამ საქმეში ნამდვილად ჩაუხედავი ვარ, ამიტომაც ვითხოვ სწავლულთა ჩაბმას. არა მგონია, მხოლოდ ერთი სოფლის (ან რაიონის) მიკროკლიმატი განსაზღვრავდეს ამ ჯიშის გავრცელების გეოგრაფიას.

დამაჯერებელია და სათანადო წყაროებით დასაბუთებული პატივცემული ავტორის ეტიმოლოგიური ძიებანი. სავსებით ვეთანხმები მის თვალსაზრისს და წერილში გამოხატულ შესაბამის პათოსსაც.

რაც შეეხება „შონურს“, ბავშვობიდან მახსოვს, ორიოდე ძირი ჩვენს ეზოშიც ხარობდა (გვექონდა აგრეთვე „ცოლიკაური“, „იზაბელა“ ანუ „ადესა“ და „კაჭიჭი“. „ოჯალეშს“ კი სოფელი რატომღაც არ სწყალობდა). ბაბუაჩემი მევენახე კაცი იყო (ებარა ვრცელი საკოლმეურნეო ვენახი) და თვლიდა, რომ „შონური“ მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა. მახსოვს ჩვენი დიდი მარანი, ჩაყრილი ჭურები (ლაგვანები), სწორედ იმგვარი დანიშნულებისა, როგორც მწერალ ნ.წულეისკირს აქვს აღწერილი (სხვათა შორის, ცხონებული მეზობელი სოფლიდან გახლდათ, რომელიც მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა კარგი მევენახეობით. პირიქით, ჩემს თანასოფლელებს იქ ჩაჰქონდათ ღვინო გასაყიდად)... ჩემდა სავალალოდ, დღეს ეს ლაგვანები უპატრონოდ არის მიგდებული. აქვე ვიტყვი: ამას წინათ მოვინახულე მშობლიური სოფელი. გული დამწყდა, ვაზისთვის ზურგი უქცევიათ, თხილით ჩაუნაცვლებიათ. ღვინოს მაინც აყენებენ. ყურძენი იმერეთიდან შემოაქვთ.. სამწუხაროა ეს ფაქტი. თხილი თხილად, მაგრამ ვაზის ტრადიცია არ უნდა მოიშალოს. ეს ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნებას... ხოლო ის აზრი, თითქოს „ჰომეროსის თქმით, ძველ კოლხეთში ცირცვა გაუმასპინძლდა ოდისევსს სურნელოვანი ღვინით“, სინამდვილეს არ შეეფერება. ჰომეროსს თავის ეპოპეაში არსად უხსენებია კოლხეთი (თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამასპინძლება არ შეიძლებოდა შემდგარიყო). ეს ანაქრონიზმი დაუშვეს მთარგმნელებმა. მათ (ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა) აღიარეს კიდეც და მას „უმტკივნეულო ანაქრონიზმი“ უწოდეს. ვფიქრობ, სწორედ რომ მტკივნეულია: ავტორს (თანაც ისეთს, როგორც ჰომეროსია) არ უნდა მიაწერო ის, რაც მას არ უთქამს, მით უმეტეს, როცა საუბარი ეხება მნიშვნელოვან საკითხს – შემცდომში შეიყვანო.

ჯუმაერ აბრამია

გაუტკეპლი კაცი

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისია. საქართველოს მიძიმე დრო უდგას. წამებული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთშია გახიზნული, საქართველოს ხუნტა „მართავს“, ქვეყანაში ბანდფორმირებები დათარეშობენ...

ასეთ ვითარებაში ნათელი სხივივით ველოდით გაზეთ „აღდგომის“ ყოველ ნომერს, რომელიც დიდი რისკის ფასად ჩამოჰქონდათ აფხაზეთიდან თბილისში, ტაშკენტის 25-ში, ქალბატონ ლუარა გამყრელიძესთან, უშიშარ და თავდადებულ ადამიანთან.

შევარდნადის რეჟიმის მიერ აფხაზეთის რუსეთისთვის ჩაბარების შემდეგ გაზეთის გამოცემა შეწყდა.

გავიდა ხანი და რას ვხედავთ: „აღდგომა“ თბილისში „გაცოცხლდა“. ეს ნამდვილი გმირობა იყო იმ ავბედით ხანაში, როცა მხოლოდ ხუნტის მათმებელ მედიას ეძლეოდა მუშაობის შესაძლებლობა და გენერალური პროკურორი ბალუაშვილი მოძალადეთა მონინააღმდეგე ჟურნალისტების დაჭერით იმუქრებოდა. არაერთი დააპატიმრეს კიდეც.

გმირობა იყო იმიტომაც, რომ ამ მამულიშვილურ საქმეს, ზვიად გამსახურდიას ძალისხმევით დაარსებული გაზეთის აღდგენას შეეჭიდა აფხაზეთიდან დედაქალაქში სრულიად უსახსროდ ჩამოსული გაუტეხელი კაცი – მურმან ზაქარაია. სწორედ მაშინ გავიცანი იგი ტაშკენტის 25-ში, სადაც რედაქციამ დაიდო ბინა და სულ მალე ეროვნული სულის კერად იქცა.

დილიდან შუალამემდე ღია იყო ამ სახლის კარი. ჩამოდიოდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან. მოდიოდნენ პოლიტიკოსები, საზოგადო

მოღვაწეები, ხელოვანები, უბრალო ადამიანები... ყველა მათგანს სამშობლოს სიყვარული აერთიანებდა.

გაოცებული ვიყავი ბატონი მურმანის შემართებითა და ენერგიით. იგი მთელი პროცესის მამოძრავებელი ძალა იყო – გეგმავდა გაზეთს; ეცნობოდა თითქმის მთელი ქვეყნიდან გამოგზავნილ კორესპონდენტებს; წერდა ანალიტიკურ სტატიებს და დაუნდობლად ამხელდა გამეფებულ უსამართლობას, სიღრმისეულად აშიშვლებდა უზნეობის ანატომიას; აგვარებდა ტექნიკურ საკითხებს; იმისთვისაც პოულობდა დროს, რომ იმედის საძებნელად მოსულ ადამიანებთან ესაუბრა და რწმენით დამუხტულები გაესტუმრებინა – გადამდები იყო მისი ოპტიმიზმი.

გადაქანცული დღის ბოლოს ზოგჯერ განმუხტვის ღონისძიებებიც ეწყობოდა ხოლმე მოკრძალებული პურმარილით, მაგრამ აზრთა გაცვლა-გამოცვლით, საოცარი სითბოთი და სიყვარულით დამუხტული. ერთი სიამოვნება იყო იქ ყოფნა, ტყუილად არ არის ნათქვამი, ქართული სუფრა (ოღონდ ქვემარტი, ტრადიციული) აკადემიააო.

მხოლოდ გაზეთით როდი შემოიფარგლებოდა მურმან ზაქარაიას ასპარეზი. „მრგვალ მაგიდა – თავისუფალ საქართველოში“ შემავალი ერთ-ერთი მძლავრი პარტიის – „ჭყონდიდელის“ პოლიტსაბჭოს წევრი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სხვადასხვა აქციის დაგეგმვასა თუ განხორციელებაში, შეხვედრებში... აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა ხანგრძლივი საპროტესტო აქციის მხარდასაჭე-

რად „აღდგომის“ ბაზაზე გამოდიოდა გაზეთი „ზანი“.

მურმან ზაქარაია ავტორია წიგნად გამოცემული პოლიტიკური თუ ისტორიული კვლევებისა და ნაშრომებისა, რომლებშიც სიღრმისეული ანალიზითა და თვალნათელი პარალელების მოხმობით გაცემულია პასუხი მრავალ მტკივნეულ კითხვაზე.

და ბოლოს, გაზეთი „აღდგომა“, იმ დროს გამომავალ ორიოდე გაზეთთან ერთად, ისტო-

რიაში შევა, როგორც სიმართლის მესიტყვე, საქართველოს უკეთესი მომავლისთვის მებრძოლი გამოცემა.

„აღდგომის“ გამომცემელს, გაუტეხელ კაცს – მურმან ზაქარაიას ვულოცავ იუბილეს, უფალი ფარავდეს ჭეშმარიტ პატრიოტს, ღირსეულ მამულიშვილს, ვუსურვებ დღეგრძელობას, ქვეყნის გაერთიანებასა და აღორძინებას, თავის მამულში ღირსეულად დაბრუნებას!



მიღიან უსაყვარლესი ადამიანები...

ჟურნალ „მიჯნის“ ეს ნომერი ძირითადად ჩვენი სასიქადულო პოეტიკისა და საზოგადო მოღვაწის, „ტაშკენტის 25“-ის შემოქმედებითი სამმოს ღირსეული წარმომადგენლის ზაურ მოლაშხიას გარდაცვალების წლისთავს ეძღვნება, მაგრამ, სამწუხაროდ, წინა, 2021 წელმა იმდენი მეგობრისა და მამულიშვილის გარდაცვალებით გვატკინა გული, რომ არ შეიძლება ისინი არ მოვიხსენიოთ.

როგორც მთელი მსოფლიო, საქართველოც მთელი გასული წლის განმავლობაში ვერაგ, დაუნდობელ კოვიდთან ომში იყო ჩართული. უამრავი თანამემამულისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ეს ომი, ბევრი მათგანი ვერ დაეხსნა ეშმაკეული ვირუსის კლანჭებს და არა მარტო შედარებით არც ისე ხანდაზმულები, არამედ სოლიდური ასაკისანიც ნაადრევად გამოასალმა წუთისოფელს, რადგან, რომ არა კოვიდი, სასიკვდილო არა სჭირდათ რა.



ვირუსმა 2021 წლის დადგომისთანავე შემოგვიტია: ზაურ მოლაშხია 4 იანვარს თუ გარდაიცვალა, უკვე 2 იანვარს ნავიდა ჩვენგან ცნობილი მეცნიერი, საპატრიარქოს უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ტარიელ ფუტყარაძე, რომელიც, როგორც ზაური, მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს. ბატონი ტარიელი ხშირად გვინვევდა საპატრიარქოს უნივერსიტეტში გამართულ იმ საინტერესო ღონისძიებებზე, რომელთა ინიციატორი თვითონ გახლდათ, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჟურნალ „მიჯნისთან“ და რედაქციის თანამშრომლებთან.

9 იანვარს არა მარტო ჩვენმა სამეგობრომ,

არამედ მთელმა საქართველომ დაკარგა ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართული ეროვნული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მრავალმხრივ განათლებული და მოაზროვნე პიროვნება გიორგი (გოგი) გაჩეჩილაძე. განსაკუთრებით დიდი იყო ბატონი გოგის



წვლილი ეროვნული თანხმობისათვის ბრძოლაში; ეს ბრძოლა გასული საუკუნის ბოლოდან დაიწყო და თავდაპირველად შევარდნაძის ჯურღმულებში გამომწყვდეული პოლიტპატიმრების განთავისუფლებას ისახავდა მიზნად, შემდეგ კი, „ვარდების რევოლუციის“ დროს უფრო ფართო ამოცანები დაისახა, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო ჩვენი სახელმწიფოსათვის იმით, რომ უნდა მომხდარიყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და მისი შედეგების სამართლებრივი შეფასება და პუტჩის შედეგად დარღვეული კანონიერების აღდგენა. ბატონ გოგის ამ ბრძოლაში აქტიურად ედგნენ გვერდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის მოღვაწენი, რომლებიც „ტაშკენტის 25“-ის, ჟურნალ „მიჯნის“ ერთობისა და ცხოველმყოფელობის უპიველესი შემოქმედნი არიან; მათ შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ გურამ აბსანძე მურმან ზაქარაია, მანგული ხუბუა, ლუარა გამყრელიძე, ლაშა გვასალია და სხვები. გულსტაკივლით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული თანხმობის პროცესს შემდგომი განვითარება ვერ მიეცა, რამაც განაპირობა დღემდე არსებული მწვავე დაპირისპირება და აუტანელი კონფრონტაცია პოლიტიკურ ძალებს შორის და, საერთოდ, მთელ ჩვენს საზოგადოებაში. გულსატკენია ისიც, რომ ბატონი გოგის გარდაცვალებით დიდად არ შეწუხებულან ქვეყნის საინფორმაციო საშუალებები, არადა, როგორც აღვნიშნეთ,

გოგი გაჩეჩილაძეს ღვანლი იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ იგი სათანადო პატივგებასა და დაფასებას საჭიროებს დღესაც და მომავალშიც.



11 იანვარს ასევე კოვიდმა შეინირა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, მხატვარი და პოეტი შალვა ნიკლაური. იგი ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი იყო ტაშკენტის ქუჩაზე და თავისი ბოლო

ნიგნები ჩვენს გამომცემლობაში ჰქონდა გამოცემული.

თებერვალში წავიდა ჩვენგან ღვანლმოსილი ადამიანი, ჩვენი ჟურნალის ავტორი კუკური ფიფია. მისი წერილების ერთი ნაწილი მეგრული ენის შესახებ გასულ წელს დავბეჭდე. ბატონი კუკურის ინტერესის სფეროს სწორედ მეგრული ენის კვლევა წარმოადგენდა და საინტერესო მოსაზრებები ჰქონდა. მძიმე სენის მიუხედავად, კუკური ფიფიას ბევრი შემოქმედებითი ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არ დასცალდა.

12 მაისს მძიმე სენმა წაგვართვა ყოვლად გამორჩეული ადამიანი, ეროვნული მოძრაობის რიგითი, მაგრამ უღალატო, შეუდრეკელი წარმომადგენელი, სიტყვის კაცი, ტრადიციების ერთგული, გულითადი, სიმართლითა და სიკეთით განთქმული ბუხუტი კობახიძე. ბატონ



ბუხუტის ჩვენს პოლიტიკურ და შემოქმედებით ერთობასთან ურთიერთობა იმ 90-იანი წლებიდან აქვს, როდესაც ქართველი ხალხი პუტჩისტური ხელისუფლების სასტიკ რეპრესიებს უშიშრად ებრძოდა. ასე რომ, ჩვენი ეს კავშირი მრავალჭირგამოვლილი და გამონრთობილი

იყო. ყოველთვის სიამაყითა და სიხარულით ვხვდებოდით ჩვენს უფროს მეგობარს ტაშკენტის ოცდახუთში, ჩვენი ლუარა გამყრელიძის ბინაში; ვყოფილვართ ბატონი ბუხუტისთანაც, გვინუგეშებია იგი თავისი ტრაგიკულად დაღუპული ვაჟიშვილის საფლავთანაც. ბუხუტი კობახიძეს, შვილგარდაცვლილ მამას, ყოველთვის ეამაყებოდა, რომ შესანიშნავი შვილებისა და შვილიშვილების პატრონი იყო და ჩვენც ოჯახის წევრებივით გვესიყვარულებოდა, ჩვენი ყოველი წარმატება გულს უხარებდა.

29 აგვისტოს ფოთში, მშობლიურ ქალაქში, გარდაიცვალა სამშობლოს ნამდვილი პატრიოტი, ეროვნული ხელისუფლების ერთგული დამცველი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის თავდადებული მებრძოლი, ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი გურამ ლაკია. ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემდით ამ სამაგალითო მამულიშვილის ყოველ სიტყვას, ყოველ საქმეს. ბატონ გურამსაც, როგორც თავისი ერის ჭეშმარიტ შვილს, გული ეწვოდა სამშობლოს სავალალო მდგომარეობის, ურთიერთშუღლის, ერთმანეთის უპატივცემულობის გამო და ყოველივე ეს დარდად ჩაჰყვა საფლავში.



სექტემბრის ბოლოს გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის უხუცესი წარმომადგენელი, ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ადამიანი, იმ უიშვიათეს პიროვნებათაგანი, რომელიც უთვალავჯერ ყოფილა საქართველოს ყოველი ოჯახის სტუმარი თავისი სამსახურის მეშვეობით – საქართველოს ტელევიზიის ყველაზე თვალსაჩინო დიქტორი, ბატონი დავით სოკოლოვი. ყველამ ვიცით, თუ სად იდგა და როგორ იხდიდა მამულიშვილურ ვალს იგი 1991-92





წლების დეკემბერ-იანვარში, დასავლეთ საქართველოში შემდგომ განვითარებული მოვლენებისას, როდესაც ისევ და ისევ ტელეეკრანიდან სიმართლეს ეუბნებოდა თანამოქალაქეებს.



არც შემდეგ დაშორებია იგი შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა კოჰორტას, ხშირად ვხვდებოდით ბატონ დავითს ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირისა თუ სხვა ღონიძიებებზე.

ძალიან სამწუხარო რამ მოხდა 2021 წლის ნოემბრის ბო-

ლოსაც: მძიმე სენის შედეგად უდროოდ გარდაიცვალა ჩვენი გამორჩეული მეგობარი, ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის წინა ხაზზე მუდამ უშიშრად მდგარი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, მშობლიურ წალენჯიხის რაიონში ყველას მიერ დაფასებული პიროვნება ელგუჯა მესხია. ჩვენს გუჯას თავის რაიონში პოლიტიკური ოპონენტებიც კი რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, თვითონაც გამოირჩეოდა ობიექტურობით, სა-

მართლიანობით, პრინციპულობით; იგი ყოველთვის შეურიგებელი იყო იმათ მიმართ, ვისაც ბრალი მიუძღვით ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და ქვეყნის ძარცვაში, უსამართლობის, ქაოსის დამკვიდრებაში. გუჯა მესხია ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი იყო; როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, თბილისში ჩამოვიდოდა დაბადების დღეებზე. ასე იყო ლუარა გამყრელიძეს იუბილეს დროსაც; დაუეცნყარია მისი მოლხენა მეგობრებთან, კოლხური წესი და რიგი, მისი საოცრად კარგად ნამღერი „ლალე“... წალენჯიხელებმა სათანადო პატივით მიაბარეს გუჯა მესხია მშობლიურ მიწას.

2021 წელს კიდევ ბევრი გამოგვაკლდა: უახლოესი ნათესავები, ოჯახის წევრებივით საყვარელი ადამიანები, მეზობლები, თანამებრძოლები, ახლო თუ შორეული ნაცნობები... მარადიულ ნათელში იყონ ეს ადამიანები, ჩვენი სულის ნაწილები და სისხლხორცნი; უფალმა ბედნიერად ამყოფოს მათ მიერ დატოვებული ოჯახები, ჩვენ კიდევ ვეცადოთ, რომ სათუთად ვატაროთ მათი ხსოვნა, ვეფეროთ იმიერში გარდასახულ ძვირფას ლანდებს და ვისწავლოთ მეტი მიმტევებლობა, მეტი თანადგომა და თანაღმობა, რათა ეს სწრაფად წარმავალი ნუთისოფელი უფრო კეთილშობილური, უფრო თბილი, უფრო ლამაზი და შინაარსიანი იყოს!

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია

ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია, ემა ჩიბიროვი

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვანოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აინყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

☒ ტაშენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

☒ ა. პოლიტკოვსკაიას, №4, ტელ. 5-99-33-52-02



მორჩის!

ავიჯარ გუდა-ნაბადი,

უარი გემებს!

ნუ მივდის მაცარებლები...

დღეს არ მჭირდება სხვისი ფარი და მუხარადი

მივემგზავრები

ჩემი მიწის და მზის ემბლეით.

მადლობა ყველას, -

ვისაც სურდა ჩემი დაწინააღმართა

და ჩემთან ყოფნა რომ უხაროდა...

ყველა მიყვარხარით!

მომიწვევი ეს აღმადგინა, -

მსურს ამოვიღე წითლისფერის მრუმე ხაროდანი..

და სხეულოვით მოვირტვიო შიშის ჯედელი...

უერთხელ იყოს ეს ქვეყანა, ველი, ფლასკი...

მივემგზავრები!

შორით მივდის თვალუზღუნელი

ჩემი ახალი სამყოფელი _ ბევს ქალაქი.

